სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 6 მაისი 1999 №82 (855) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს!!!

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრები სასტუმრო „შერატონში“ შეიკრიბებიან.

დღეს, 12 საათიდან, ვინ იცის, ეგებ ქართული ფეხბურთისთვის, უფრო სწორად, დამბლადაცემული ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებებისთვის ახალი დროება დაიწყოს.

დღეს აღმასკომის წევრებზეა, ვინ გაწვრთნის რჩეულ ქართველ ფეხბურთელებს.

დღეს, თუკი რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, 99 პროცენტი უნდა გაასდეს და ეროვნული გუნდი ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპს, ახალგაზრდული ნაკრები კი მურთაზ ხურცილავას უნდა ჩაბარდეს.

დღეს აღმასკომის წევრებს ბევრი სამუშაო არ ექნებათ. ისინი ფედერაციის პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურებს ალბათ უპრობლემოდ დაატკიცებენ.

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების რიგით მეხუთე მწვრთნელი „შერატონში“ პრესკონფერენციას გამართავს. გუშინ კი, იოჰან ბოსკამპს უკვე ულოცავდნენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას...

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთადერთი კანდიდატი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი (მარჯვნივ) და თბილისის „დინამოში“ მისი დამხმარე ფრანსუა დე იონგი ეროვნულ სტადიონზე მოკალათებულიყვნენ და ლაღობდნენ

სტეფანიას სიეტლი არ უშვებს

ქართველთა შანსები თეორიულამდე მცირდება



AP ბორტლენდიდან

ამერიკული „სიეტლ სუპერსონიქსის“ ქართველი ფორვარდ-ცენტრის ვლადიმერ სტეფანიას სადებიუტო პროფესიულ სეზონს უდაოდ წარმატებული ეთქმის, რასაც ვერაფრით ვიტყვით მთლიანად „ზებგერითების“ გამოსვლაზე: ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელ გათამაშებაში — „სონიქსი“ 90-იანი წლების დამდეგიდან მოყოლებული პირველად დარჩა პლეი ოფის მიღმა.

ახლა, როცა „სიეტლის“ უკანასკნელი შეხვედრა „კლიპერსთან“ მხოლოდ ფორმალურია და რეგულარული ჩემპიონატის ჩამთავრებასთან ერთად სტეფანიას გუნდიც ჩაამთავრებს სეზონს, კალათბურთის ქართველ გულშემატკივარს გულში იმედი ჩაესახა. იმედი, რომელიც ვლადიმერ სტეფანიას ეფუძნება — იქნებ, ჩემპიონატმოლეული ვოვა სამშობლოში ჩამოვიდეს და ცუდ დღეში მყოფ ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შვეიცარიის საკვალიფიკაციო ტურნირზე შეეშველოსო.

ერთი შეხედვით, თითქოს ამაში არსებობს გარკვეული ლოგიკა, მაგრამ თავად სტეფანია სანუგეშოს ვერაფერს ეუბნება „სარბიელს“:

— ჩემი საქართველოში ჩამოსვლა ძალიან საეჭვოა, თითქმის შეუძლებელიც კი. კლუბის ნებართვა მჭირდება, რასაც, დარწმუნებული ვარ, არ მომცემენ.

— რატომ, თხოვე და უარი გითხრეს?

— ჯერ არაფერი მითქვამს, მაგრამ თხოვნას აზრიც არა აქვს. ჩვენთან „სონიქსში“ ერთი ბრაზილიელი ბიჭი ირიცხება. ჯერ გუნდში არც ათამაშებენ, მაგრამ ძალიან პერსპექტიულია. ამას წინათ ბრაზილიიდან ჩამოვიდნენ, ამერიკელებს 20 ათასი დოლარი შესთავაზეს და თხოვეს, იქნებ ეს ბიჭი ერთი კვირით დაგვითმოთ, ნაკრებს ძალიან სჭირდებაო, აქაურებმა კი ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — რამე რომ მოუვიდეს, ფული გვიშველისო?

— ესე იგი, გაუთვალისწინებელ ტრავმებს უფრთხიან. ასეა?

— ძირითადად მაინც ეგ არის. დაუშვათ, ჩამოვედი და დავშავდი. მერე იცით რა მოხდება? „სიეტლს“ უფლება აქვს კონტრაქტი გამიუქმოს. ეს კი ჩემთვის რასაც ნიშნავს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

— შენთვის სეზონი ფაქტობრივად დამთავრებულია, მაშ რას აპირებ, ზაფხულსაც მანდ გაატარებ?

— ჩამოსვლით აუცილებლად ჩამოვალ, მაგრამ ვფიქრობ, ივნისის დასაწყისისთვის. იქამდე ჩემს საქმეებს მივხედავ, უმნიშვნელო პრობლემები მაქვს და ბარემ მოვაგვარებ.

გიორგი ბიკაშვილი

ცნობიალია ყველაფერი, მაგრამ ჯერაც არაფერი

საეჭვო და სადავო აღარაფერია: „დინამომ“ ჩემპიონობა გაიანადა, „ტორპედომ“ — ვერცხლი, „ლოკომოტივმა“ — ბრინჯაო. „გურიას“ და „ოდიშს“ გავარდნა ალბათ არანაირად ასცდებათ, მაგრამ ამ ყველაფრის ოფიციალურად გაფორმებას სულ ცოტა ერთი ტური კიდევ დასჭირდება. თუ წაუგებელი „დინამო“ ქუთაისში „ტორპედოსთან“ არ დამარცხდა, კვირასვე მისალოცად ექნება საქმე

საქართველოს ჩემპიონატი — 26 ტური

დინამო	26	21	5	0	75:12	68
ტორპედო	26	18	4	4	63:23	58
ლოკომოტივი	26	14	10	2	33:13	52
კოლხეთი	26	12	6	8	51:35	42
ბათუმი	26	10	11	5	35:19	41
მერანი	26	9	9	8	24:24	36
იბერია	26	10	5	11	39:40	35
დილა	26	10	5	11	34:43	35
ვიტ ჯორჯია (-3)	26	11	4	11	32:26	34
არსენალი	26	7	11	8	29:40	32
გორდა	26	6	10	10	24:37	28
თსუ	26	6	9	11	21:29	27
სიონი	26	6	7	13	25:45	25
სამგურალი	26	7	3	16	24:48	24
ოდიში	26	6	2	18	20:53	20
გურია	26	3	3	20	26:68	12

5 მაისი, ოთხშაბათი

დინამო	1
ლოკომოტივი	0
სამგურალი	2
ტორპედო	3
გორდა	3
ვიტ ჯორჯია	2
არსენალი	0
კოლხეთი	0
სიონი	1
ბათუმი	1
დილა	5
გურია	3
მერანი	0
იბერია	2
თსუ	4
ოდიში	1

ბადრი ქუთელაძის ფოტო

„ბათუმი“ უეცროთასებოდ რჩება და შოთა ჭეიშვილს ელევა

გამოცანას მოგახსენებთ...

„ბათუმი“ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებების წინაშეა. ჩვენი ცნობებით, უკვე გადაწყვეტილი საქმეა — ბათუმლებს მწვრთნელი შოთა ჭეიშვილი დატოვებს (თუ არ დატოვა უკვე) და მის ადგილს მავანი უცნობი (შეიძლება ნაცნობიც) იტალიელი სპეციალისტი დაიკავებს (თუ არ დაიკავა უკვე).

ჭეიშვილისა და „ბათუმის“ გაყრაზე კარგა ხანია, დადის ხმები, მაგრამ ბატონი შოთა ყოველ მომდევნო ტურს ზღვისპირელთა სათადარიგო სკამზე მჯდომარე ხვდებოდა და ხმები ხმებად რჩებოდნენ.

როგორც გავიგეთ, შოთა ჭეიშვილმა თავისი გათავისუფლების ამბავი მხოლოდ „სიონთან“ მატჩის წინ გაიგო და, რა თქმა უნდა, არც ესიამოვნებოდა.

რას იზამს მწვრთნელი, დააზუსტებს თავისი გადაყენების ამბავს თუ უხმაუროდ დაიხურავს ქუდს, ამაზე წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ყველაფერს მოვლენათა განვითრება გვიჩვენებს.

კონსტანტინე გოგიშვილი

თეთრი, შავი — რამ გაჰყო

გუშინ „თემურ სტეფანიაზე“ ლამის ნახევარი ქვემო ქართლი შეიყარა, რათა ბათუმელთა შავი ლეგიონერი უჩე უვაკვე ეხილა. სეირი არ შედგა — ისევე, როგორც წინა ტურში, „გორდასთან“, უვაკვე არც ამჯერად დაულანდავს ვინმეს.

მიზეზი მეტად პროზაულია, მას საფეხბურთო ენაზე ტრავმა ჰქვია და ნიგერიელმა ფეხბურთელმაც სწორედ ტრამის გამო გამოტოვა შეხვედრები.

როგორც „ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ გვითხრა, უვაკვეს ბარძაყის უკანა ნაწილი სტკივა და, ალბათ, მალე მომჯობინდება. ისე, უვაკვეს ზღვისპირელებთან გამოსაცდელი ვადა ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და თუ არ ითამაშა, ვინ რაში უნდა გამოსცადოს, ვერ გეტყვით.

სხვა მხრივ კი უჩეს იმით დავამშვიდებთ, რომ ტრავმისგან არც ერთი ფეხბურთელი არ არის დაზღვეული და ტრავმა, როგორც ასეთი, ერთნაირი ალბათობით შეიძლება შეემთხვეს როგორც თეთრ, ასევე შავ ბარძაყს.

კონსტანტინე გოგიშვილი

ყიფშიძე სიონის სიმშვიდეა

ტრავმამ გააწამა ბოლნისის „სიონის“ „ბებერი ხარი“ — გიორგი ყიფშიძე წინა ტურში „ოდიშთან“ პრინციპულ მატჩში კი ითამაშა გიორგიმ, მაგრამ მაშინ გამაყუჩებლები და სხვა ათასი საშუალება დასჭირდა, რათა ზუგდიდელების წინააღმდეგ თანაგუნდელებს დახმარებოდა. მატჩის მერე ტკივილი უარესად გამიმიზეზდა და არ ვიცი, კიდევ რამდენი ხანი მომიწევს მკურნალობაო, გვითხრა ფეხბურთელმა.

არადა, „სიონს“ განსაკუთრებით ახლა სჭირდება ყიფშიძის გამოცდილება და უშფოთველი გარჯა მინდორზე — მან წინასწარ იცის, ბურთი სად დავარდება და მუდამ ადგილზეა. ამიტომაც როცა „ყიფილო“ თამაშობს, ყოველთვის უშიშრად ვგრძნობთ თავსო, მიაჩნიათ „სიონის“ ფეხბურთელებს.

კონსტანტინე გოგიშვილი

ძმები ბულონის გზაზე

თბილისის „ლოკომოტივსა“ და წყალტუბოს „სამგურალში“ მოთამაშე ძმებმა — ვარლამ და გიორგი კილასონიებმა შესაძლოა კარიერა საფრანგეთის მეოთხე დივიზიონელ ბულონის „ბულონში“ გააგრძელონ.

ისინი საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქიდან ხუთშაბათს დაბრუნდნენ და ისევ თავიანთ კლუბებს შეურთდნენ. თუმცა კი კილასონიები „ლოკომოტივსა“ და „სამგურალს“, ალბათ, სეზონის ბოლომდე დაეხმარებიან.

ერთკვირიანი ვარჯიშისა და ორი საწვრთნელი თამაშის შემდეგ ჩვენებურებს „ბულონის“ ხელმძღვანელობის მოწონება დაუმსახურებიათ, მათი დატოვებაც განუზრახავთ, მაგრამ შესაფერისი პირობებით დაკმაყოფილება არ მოუსურვებიათ. ბულონელებს რომ შეუტყვიათ, ძმები იქ გამჩერებლები აღარ იყვნენ, მაშინ კი დაფაცურებულან და...

„ბულონის“ მწვრთნელი თურმე თბილისში ჩამოსვლასაც აპირებს. 23 მაისს „ლოკომოტივის“, 26-ში კი „სამგურალის“ სათასო მატჩებზე დასასწრებად. სავარაუდოდ, საბოლოო მოლაპარაკებაც მაშინ უნდა შედგეს.

კობა ინასარიძე

რევაზიშვილი ვანელ თურქებთან

ბადრი ქუთელაძის ფოტო

გიორგი რევაზიშვილი

მას შემდეგ, რაც სამარის „კრილია სოვეტოვის“ მწვრთნელ-ყოფილმა ალექსანდრ ავერიანოვმა იაროსლავლის „შინიკის“ გაწვრთნა გადაწყვიტა, სამარელთა ქართველი ლეგიონერი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი გიორგი რევაზიშვილი თან წაიყვანა, თუმცა იაროსლავლის გუნდში ფეხი ვერც ავერიანოვმა მოიკიდა და ვერც რევაზიშვილმა. „კრილია სოვეტოვში“ კი იმხანად ალექსანდ ტარხანოვი მივიდა. ამის მერე ქართველი მცველის უკან დაბრუნებაზე დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ტარხანოვმა თავი შეიკავა. ფეხბურთელიც აქამდე უგუნდოდ იმყოფებოდა. ამბობდნენ, თითქოს რევაზიშვილი ამ სეზონს მშობლიურ გორის „დილაში“ ჩაამთავრებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სათამაშო პრაქტიკას მოკლებული ფეხბურთელი ფორმის შენარჩუნების მიზნით „დილასთან“ მხოლოდ ვარჯიშობდა, ინდივიდუალურად ემზადებოდა. ახლა კი...

— თითქმის გადაწყვეტილია ჩემი თურქეთში თამაში. „ვანსფორის“ ხელმძღვანელობას პირობებზე უკვე შევუთანხმდი. თურქეთში სეზონი 23 მაისს გასრულდება. კლუბში კი 20-ისთვის მელიან. ჯერ ახალგაზრდა ვარ და მინდა, თურქეთში თამაში ტრამპლინად გამოვიყენო. „კრილია სოვეტოვს“ საბოლოოდ დავშორდი. ის საკომპენსაციო თანხა, რაც სამარელებმა მოითხოვეს, თურქებმა უკვე გადაიხადეს. ვანელებმა ვიდეოფირზე ნახეს საბერძნეთში, ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული ჩემი თამაში. „ვანსფორი“ ორნლიან კონტრაქტს მთავაზობს. ალბათ, დავთანხმდები კიდეც — გვითხრა ახალგაზრდული ნაკრების მცველმა გიორგი რევაზიშვილმა.

„ვანსფორი“ თურქეთის პირველ ლიგაში გამოდის და უმაღლესში გადასვლის რეალური შანსიც აქვს. დღესდღეობით კლუბი პირველ ადგილზეა და უახლოეს მდევარ „ქაისერისფორს“ 2 ქულით უსწრებს.

გიორგი ვაშაკიძე

ვიტ ჯორჯია დასუსტდა და გაძლიერდა

თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელი დაიმატა — ირაკლი ბარქაია. იგი პირველ წრეში ზუგდიდის „ოდიშში“ ირიცხებოდა და მის რიგებში ეროვნული ჩემპიონატის მატჩებშიც მონაწილეობდა. თუმცა ზამთარში ეს გუნდი დატოვა და ამ ხნის განმავლობაში უკლუბოდ იყო.

შეგახსენებთ, ბარქაიამ კარიერა „დინამო 2“-ში დაიწყო, თუმცა იქ დიდხანს არ გაჩერდა და „ოდიშს“ მიაშურა. იმ დროს ზუგდიდელთა პრეზიდენტი ვახტანგ ნანავა იყო, რომელმაც პოლონეთთან თავისი საქმიანი ურთიერთობები გამოიყენა და ბარქაიას პოგონის „შეცინთან“ გაფორმებინა კონტრაქტი. თუმცა ირაკლიმ მძიმე ტრავმა მიიღო და ამის გამო პოლონურ კლუბში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია. მეათე ეროვნული ჩემპიონატის წინ კი კვლავ საქართველოში დაბრუნდა და „ოდიშში“ გააგრძელა კარიერა.

„ვიტ ჯორჯია“ ვახსენეთ და ერთსაც ვიტყვით. მართალია, ვიტელებმა ბარქაიას სახით კარგი ცენტრალური მცველი შეიძინეს, მაგრამ მცირე ხნით დანაკლისიც განიცადეს. ვერც მომავალ ტურში დაეხმარებიან გუნდს ნახევარმცველები — ლაშა ნოზაძე და თამაზ ბოკერია. გუნდის მთავარი მწვრთნელისა და ვიცე-პრეზიდენტის, სერგო კოტრიკაძის თქმით, ბოკერიას ფეხის ტრავმა აწუხებს, ხოლო ნოზაძე ვახტანგ კოპალეიშვილმა 18-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახა, ისევე როგორც მცველი ჯაბა მუჯირი.

ვანო ოძროპირიძე

ბადრი ქუთელაძის ფოტო

„არსენალის“ ხელმძღვანელობა ფეხბურთის სადარაჯოზე

პრეზიდენტებო, მიბაძეთ გენერლებს!

საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტი თბილისის „არსენალი“ ცოტა ხნის წინ თითქმის დაშლის პირას იყო. მიზეზს, ალბათ, თავადაც ხვდებით. გუნდში თებერვლის შემდეგ არც ხელფასი დარიგებულიყო და არც პრემია. გუნდის მეპატრონე გენერლები გასამრჯელოს გაუცემლობას ბიუჯეტს აბრალებდნენ. ფეხბურთელებიც მთელი მეორე წრის მანძილზე ჯერ ყოფილი მთავარი მწვრთნელის, მამუკა გეგეჭკორის ხათრით გადიოდნენ სათამაშოდ, შემდეგ მისი შემცვლელი დავით ჩახავასი. თუმცა მინდორზე ხვეწნა-მუდარით და მომავლის იმედით გასულ მოთამაშეს რომ შედეგს ვერ მოსთხოვ, ფაქტია. „არსენალიც“ ნელ-ნელა ცხრილის ფსკერისკენ ეშვებოდა, მაგრამ საქმეს სასიკეთო პირი გამოუჩნდა. ცოტა ხნის წინ პარლამენტმა ბიუჯეტი დაამტკიცა და ეს „არსენალსაც“ დაეტყო. რამდენიმე დღის წინ კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს დავალიანების ნაწილი გაუსტუმრა და დარჩენილი თანხის უახლოეს მომავალში გადახდას დაჰპირდა. არმიელებმაც გასულ შაბათს, ჩემპიონატის მორიგ ტურში, ლანჩხუთში „გურიას“ საკმაოდ იოლად მოუგეს.

„არსენალის“ დღეში ჩვენს ჩემპიონატში კიდევ ბევრი გუნდია და მათმა უფროსობამაც თუ არმიელთა ხელმძღვანელობას მიჰბაძა, ურიგო არ იქნება.

ვანო ოძროპირიძე

საქართველოს ჩემპიონატი **26 ტური**

ბადრი კვითელაძის ფოტო

თემურ ტუღუშს გოლის გატანას მიხეილ აშვეთია (მარცხნივ) ულოცავს

ერთი 390-ში

თბილისი
5 მაისი
18 საათი
ერროვნული
1 200 (ტევადობა 75 000)

დინამო 1:0 ლოკომოტივი

1:0 ტუღუში (42)

დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, მ. მაჭავარიანი, ა. სახვაძე, ტუღუში, ალექსიძე, ა. მუჯირი (წიტაიშვილი 62), აშვეთია (გოგიჩაიშვილი 85), გუჩუა (ჩომახიძე 79)

სათადარიგონი: მამალაძე; ქებაძე, პ. ჯინჭარაძე

ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი, გოგობერიშვილი, შ. ხუჯაძე, ბაქრაძე (ნ. მინდიაშვილი 83), კ. მელქაძე, დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე (კაციაშვილი 46)

სათადარიგონი: დ. ჯანელიძე; ნ. მელაძე, ზ. არჩვაძე, ქოიავა, ვ. კილასონია

გაფრთხილება: ჩიხრაძე (21), დიდავა (51), ტუღუში (63)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ქარქაშაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. კაჭახიძე

კობა ინასარიძე

წლევანდელ სეზონში ჩემპიონატში ორი ლიდერი ერთმანეთს მეოთხედ დაუპირისპირდა, ორ სათასო მერვედფინალს, ორიც ტურის მატჩი დაუმატეს, სულ 390 წუთი ითამაშეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, თასის საპასუხო მატჩისშემდგომი პენალტების ჩაუთვლელად ერთადერთი გოლი გაიტანეს, გუშინ, ისიც შემთხვევით, მცველთა უყურადღებობის შედეგად.

უცვლელმა ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" როგორც იქნა, ნავსი გატეხა, უხერხული მეტოქე დაამარცხა და დარჩენილ ოთხ ტურში მათ ერთი მოგებაც ეყოფათ ცხრილში მეზობელი „ტორპედოსთვის" მიუწვდომელი რომ გახდნენ. თუმც ჩემპიონობის ზედიზედ მეათედ გაფორმება დინამოელებს ერთი ქულითაც შეუძლიათ — კვირას ქუთაისში თუ არ წააგეს, საქმე მისალოცად ექნებათ.

„ლოკომოტივმა" კი თუ კვირას ვაკეში „მერანი" დაამარცხა, თავი ქუდში ექნება და პრიზიორებში დაიბეგებს ადგილს. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად მომდევნო ტურში ოქროს, ვერცხლს, ანაც ბრინჯაოს პატრონი ნაღდად გამოუჩნდება.

თუმცა ეს კვირას გაირკვევა, მანამდე კი- მატჩმა ინტერესი ვერ გაამართლა. ორივე გუნდი დაცვაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე შეტევაზე. არც ერთი რისკავდა, ბურთიც უმეტესად მოედნის შუაში დაგორავდა.

ორივე ტაიმის დასაწყისი „ლოკომოტივისა" იყო. ისინი ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. „დინამო" გონივრულად თამაშობდა. მეტოქეს თავის ნახევარზე შეიტყუებდა მერე მარწუხებში მოაქცევდა.

შესვენებამდე რკინიგზელებმა მხოლოდ ერთხელ დაურტყეს გვარამაძეს, წივწივაძის თავურის მოგერიება მეკარეს არ გასჭირვებია. ლოკომოტიველებს თბილისელთა კარში მეტად არც დაურტყამთ, თუმცა, როგორც ვთქვით, პირველი 10-15 წუთი მათი უპირატესობით მიმდინარეობდა.

შემდეგ თამაში გათანაბრდა. „დინამომ" ტემპს უმატა და ტაიმის მიწურულს გაიტანა კიდეც. მარცხნიდან სახვაძის აუტიდან საჯარიმოში ნასროლ ბურთს „ლოკომოტივის" მცველებმა ზუსტი ადგილი ვერ შეურჩიეს, ტუღუშსაც მეტი არაფერი უნდოდა, ისარგებლა მეტოქეთა შეცდომით, მეურვე ბაქრაძესაც წამით დაასწრო და მეკარესთან ცხვირწინ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა. სხვა საინტერესო შესვენებამდე არაფერი მომხდარა. თუმცა, მაინდამაინც არც მეორე ტაიმი იყო თვალსაჩინო. მწვრთნელმა მახარაძემ წივწივაძე მარჯვენა ნახევარმცველ კაციაშვილით შეცვალა და ამით აქცენტი ფლანგიდან შეტევებზე გადაიტანა. პირველ თხუთმეტ წუთსაც, სანამ კაციაშვილს ძალა ერჩოდა, „ლოკომოტივი" ჩემპიონების ნახევარზე დასახლდა. სახიფათო კი მაინც ვერაფერი შექმნეს. ერთადერთი, თუ ამას მომენტს ვუწოდებთ, ის იყო, ბარნოვის შორიდან დარტყმული ბურთის აღება გვარამაძემ წამით რომ დაასწრო მეორე ტაიმში სტუმართა ერთადერთ გამოკვეთილ თავდამსხმელ გოდერძიშვილს. მერე ისევ „დინამომ" იყოჩაღა. თუმცა ალექსიძემ ახლოდან მიზანი ვერ გაისწორა, წიტაიშვილს კი ორჯერ დოლაბერიძემ აჯობა.

მატჩიც ასე მორჩა, როგორც იქნა, თამაშიდან გოლიც გავიდა და... მთელი სეზონის განმავლობაში გუშინდელი იუბილარის, მურთაზ ხურცილავას გაწვრთნილმა „დინამომ" საჩემპიონოდ ერთი ნაბიჯიღა დაიტოვა.

დაველოდოთ

თბილისი
5 მაისი
18 საათი
სინათლე
600 (ტევადობა 3 000)

მერანი 0:2 იბერია

0:1 ივეჩიანი (71), 0:2 ვ. გიგიაძე (89)

მერანი: ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ბ. ამბიძე, ჭინჭარაული (ბაჯელიძე 81), გელა ქორიძე, ჯიშკარიანი (ბერაია 85), თოლორდავა, კარიაული, ჩუხუა, დავითაშვილი

სათადარიგონი: კოროშინაძე; დ. ჭელიძე, ხარებავა, ცქიფურიშვილი, ივანიშვილი

იბერია: გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მუმლაძე, ს. თოდუა, ს. გიგაძე, ხუჭუა (ვარდიაშვილი 88), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ფილიპაშვილი 89), ვ. გიგიაძე (მიქელთაძე 90)

სათადარიგონი: ვარდანიძე; ცომაია, ზ. ფხაკაძე, ნ. გიორგაძე

გაფრთხილება: კარიაული (17), ნიკოლეიშვილი (26), ხუჭუა (79)

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

სფფ-ს ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

გაიოზ თალაკვაძე

რა არის საჭირო, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონე ამაღლდეს? ამ კითხვაზე პასუხი მრავალპუნქტიანია. ჩემი აზრით, ერთ-ერთი მთავარი პირობა ისაა, რომ ქართულმა გუნდებმა ნორმალურ მინდორზე ითამაშონ. „სინათლე" საქართველოში არსებულ მოედანთაგან უარესი როდია, მაგრამ სწორედ ესაა სავალალო. ასეთ მინდორზე თამაშისას ვერც ტექნიკას დახვეწ, ვერც პასის კულტურას აიმაღლებ და ვერც კომბინაციებს დაამუშავებ — ბურთის გაგორება ხომ თითქმის შეუძლებელია, ხტუნვა-ხტუნვა კი...

ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმ ულამაზო და ულაზათო თამაშისა, ავჭალაში თავმოყრილმა ფეხბურთის ენთუზიასტმა გულშემატკივრებმა რომ იხილეს. ფეხბურთელებმა თავიანთი უგერგილობით განსაკუთრებით პირველ ტაიმში დატანჯეს მაყურებელი. არა, თითქოს რაღაც მონდომება კი შეიმჩნეოდა მათ თამაშში, მაგრამ მარტო „რაღაც მონდომებით" ფონს გასვლა შეუძლებელია. ერთმა ქომაგმა ისიც ჩაილაპარაკა, სამსახურში უსაქმოდ ვიყავი და იმიტომ მოვედი, ახლა კი ვნანობ, ჯობდა დავრჩენილიყავიო. თქვა ეს, ადგა და წავიდა. მე კიდევ დავრჩი. სამსახურში ვიყავი და იმიტომ.

„მერანის" თამაში ძალიან მარტივი და სწორხაზოვანი იყო. მცველები მეტოქისთვის ბურთის წართმევის შემდეგ გააზრებული შეტევის წამოწყების მცდელობის ნაცვლად მას თავიანთ თავდამსხმელებისკენ მაღლიდან გზავნიდნენ. ამის გამო კი „იბერიას" დაცვას ბევრი თავსატეხი ნამდვილად არ გასჩენია. ტუღუშიც ცალმაღალი ტასპინძლებთან შედარებით მცველები ადვილად იგერიებდნენ მასპინძელთა იერიშებს. ხოლო როცა თბილისელები კომბინაციისმაგვარ რამეს გაითამაშებდნენ, რაც მეტად იშვიათი იყო, სამტრედიელთა კართან მეტ-ნაკლები ხიფათი იქმნებოდა.

პირველ ტაიმში ასეთი ორად ორი მომენტი იყო. ჯერ ჩუხუამ მიიღო ბურთი მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან და სწრაფად დაარტყა, მაგრამ დოლიძემ იყოჩაღა. შემდეგ კი თითქმის იმავე პოზიციიდან დავითაშვილის დარტყმის მერე ბურთი „იბერიას" კარის ზედა ძელს მოხვდა.

სამტრედიელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. ისინი მოკლე პასებით ცდილობდნენ სწრაფი კონტრშეტევების განხორციელებას და ასე თუ ისე გამოსდიოდათ კიდეც. ერთი ასეთი იერიშის ჩაშლისას კარიაულმა სტუმართა თავდამსხმელი ხელით შეაჩერა და გაფრთხილებაც დაიმსახურა.

მეორე ტაიმი შედარებით უკეთესი საცქერი იყო. 54-ე წუთზე ლომაიამ ძლიერად დაარტყა წინ, ჩუხუამ თავით დაუგდო ბურთი დავითაშვილს, რომლის დარტყმულიც დოლიძემ მოიგერია.

რამდენიმე წუთში მასპინძელთა მე-11 ნომერმა მარცხენა ფლანგიდან დაბალი ჩააწოდა, მაგრამ თოლორდავასთან ჭიდილში ისევ დოლიძემ იმარჯვა და ბურთი კუთხურზე გადააგდო.

პირველი გოლი 71-ე წუთზე გავიდა. მოედნის შუაგულში ვასო გიგიაძემ მიიღო ბურთი. რამდენიმე მოწინააღმდეგეს გასცდა და ივეჩიანი გამოზომილი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ივეჩიანს მცველი კი წამოეწია, მაგრამ სტუმართა თავდამსხმელმა გადამწყვეტი დარტყმის შესრულება მაინც მოახერხა. ბურთი მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შევარდა.

ამის მერე „მერანი" მატჩის გადარჩენას შეეცადა და მთელი ძალებითაც შეუტია, მაგრამ ვერას გახდა. შეხვედრის მიწურულს კი შეცვლაზე ახალგამოსულმა ფილიპაშვილმა თბილისელთა მცველების შეუთანხმებლობით ისარგებლა, ბურთს დაეუფლა და ვასო გიგიაძე ზუსტი პასით ლომაიასთან პირისპირ დატოვა. თავდამსხმელმა ამჯერადაც ივარგა და ლომაიას მეორედ მოუწია ბურთის საკუთარი კარის ბადიდან გამოტანა. რამდენიმე წამში მატჩიც დამთავრდა.

ამ წაგებით „მერანმა" ფაქტობრივად დაკარგა ინტერტოტოზე გასვლის ყველანაირი შანსი. თუმცა ასეთი თამაშით ტრანსპორტელებს ევროპაში ნამდვილად არაფერი ესაქმებოდათ. იმედია, მომავალში უკეთესობა დაეტყობათ და სინათლის პატარა სხივი „სინათლეზეც" გაჩნდება. ჩვენც დაველოდოთ. სხვა მაინც არაფერი დაგვრჩენია.

ნუგზარ კვითელაძის ფოტო

„მერანი" — „იბერია": ჯუბა ჩუხუა ვალერი გეგეშიძის შლაგბაუმმა შეაჩერა

დილას რაა?.. მოგება!

გორი
5 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

დილა 5:3 გურია

0:1 ლ. ჩხაიძე (13), 1:1 გაგნიძე (44), 2:1 ლომიძე (52), 2:2 დ. მახარაძე (75), 2:3 თ. ჩხაიძე (77), 3:3 ახალკაცი (82), 4:3 სულთანიშვილი (85), 5:3 შატაკიშვილი (88)

დილა: თ. ილურიძე, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი (სულთანაშვილი 72), მარეხაშვილი, ცინცქიშვილი, რ. ახალკაცი, ლომიძე, შატაკიშვილი

სათადარიგონი: სოღოლაშვილი; მ. მინდიაშვილი, ხიხალაშვილი, საყვარელიძე, არუთინიანი

გურია: ნიკურაძე, მაჩიტიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი (კ. სვანიძე 46), ძოძუაშვილი (თ. ჩხაიძე 56), შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (გულორდავა 46), ბოლქვაძე

სათადარიგო: ბერძენიშვილი

გაფრთხილება: ნიკურაძე (43), ხაჭაპურიძე. (77), ახალკაცი (88)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ო. მოლოდინაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

გიორგი ვაშაკიძე გორიდან

კიდევ კარგი, მოვიგეთ, თორემ ამათ საცოდაობას რა გაუძლებდაო, ამბობდა ერთი ქომაგი მატჩის შემდეგ. ამათ რომ ჭკუა ჰქონოდათ და თავში არ ავარდნოდათ, „გურიასთვის", მე თუ მკითხავ, დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგოო, შეეპასუხა მეორე. რაზე ვიშლით ნერვებს, ბოლო-ბოლო ხომ მოვიგეთ, არ გვეყო ამდენი წაგებებიო? დაამატა მეორემ.

დიახ, გუშინ გორში სტადიონზე მოსული ათას ხუთასიოდე ქომაგი დიდიან-პატარიანად დარწმუნებული იყო, „დილა" გურულებს იოლად დაამარცხებსო, მაგრამ საქმე არც მთლად მასე ყოფილა. „გურიამ" რა ქნას, თავს ზემოთ ძალა არ არის. „ლოკომოტივის" ფარმ-კლუბის ლანჩხუთში განათხოვრებულმა ფეხბურთელებმა მეტი ვერ მოახერხეს. მაინც, რაც არ უნდა იყოს, პირველ ჯგუფში თამაშის გამოცდილება სხვაა. „დილამ" კი სწორედ გამოცდილებით დაამარცხა მეტოქე, მაგრამ რომ გაუჭირდათ ფაქტია. როცა სტუმარმა, მოედანზე მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა თემურ ჩხაიძემ მატჩის გასრულებდე 13 წუთით ადრე „დილას" კარში მესამე ბურთი გაიტანა, გორის „ცენტრალურზე" შემაძრწუნებელი, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. არავის ეგონა, თუ „დილა" ამ თამაშს წააგებდა, ზოგმა ხელიც კი ჩაიქნია, ეჰ, ვაი სირცხვილო, დაჩაჩანაკებულ, უკვე მეორე ჯგუფელ „გურიასაც" ვეღარ ვუგებთო, მაგრამ...

„დილა" აბობოქრდა, ფეხბურთელებმაც იგრძნეს პასუხისმგებლობა, შეუტიეს „გურიას" და გოლებიც გავიდა, რაშიც ბრალი სტუმართა პერსპექტიულ, მაგრამ გამოუცდელ მეკარე გიორგი ნიკურაძეს მიუძღვის. მან პირველი ტაიმში კარგად ითამაშა, ერთიორჯერ ისეთი ბურთები აიღო განსაკუთრებით 0:1-ზე, რომ კაცი იფიქრებდა, მორჩა, ნიკურაძე „უდარზეა" და ძნელად თუ გაუტან ამას ბურთებსო, მაგრამ პირველი ნახევრის ბოლო წუთიდან მოყოლებული განერვიულდა, შეცდომებსაც უხშირა და შედეგიც სახეზეა — ჩაგდებული მეორე ნახევარი და საკუთარ კარში ხუთი გაშვებული ბურთი.

სხვა რა უნდა ითქვას მატჩზე, ორივე გუნდის საკითხი წლევანდელ სეზონში პრაქტიკულად გარკვეულია. თუ „დილა" ჩემპიონატის ცხრილის შუაგულში მშვიდდაა მოკალათებული, „გურიამ" ოფიციალურად ალბათ მომავალ ტურში გაიფორმებს მეორეჯგუფელობას. ალბათ ამიტომაც არავინ ფიქრობდა კარის დაცვაზე, ორივემ შემტევი ფეხბურთი ირჩია და გორის „ცენტრალურზე" გუშინ 8 ბურთი გავიდა.

ერთი, რისი აღნიშვნაც აუცილებლად მივიჩნიე, მეშვიდე გოლის ავტორის ვინაობაა. რატომღაც მსაჯთა გარდა ყველამ დაინახა, რომ ეს ბურთი სულთანიშვილმა გაიტანა და არა შატაკიშვილმა, როგორც ეს მატჩის ოქმში შეცდომით დაფიქსირდა.

ბოლნისიონი

ბოლნისი
5 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
2000 (ტევადობა 3 000)

სიონი 1:1 ბათუმი

0:1 მაჭუტაძე (54), 1:1 მოსეშვილი (78)
სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანიძე, ტყავაძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ლ. გაგუა 46), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი (დ. ჯაფარიძე 89), მოსეშვილი (ხელაშვილი 80)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე, ყიფშიძე
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მაქაცარია, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, გადელია, რუსია, ვ. მახარაძე
სათადარიგონი: ვერემჩუკი, მჟავანაძე, კანტიძე, ყულეჯიშვილი, ღლონტი, ქუტიძე, მინდაძე
გაფრთხილება: თ. სამხარაძე (87), რუსია (87)
მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ა. ორდენიძე (ონი), ს. კახიანი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

კონსტანტინე გოგიშვილი ბოლნისიდან

პრიზების დაწესებისთვის აბა, ვის სცალია ქართულ ფეხბურთში, თორემ ამგვარი რამეები რომ არსებობდეს, ავდგებოდი, მოვძებნიდი ყველაზე ჯიგრიან პრიზს და ბოლნისელებს გადავცემდი სამუდამო მფლობელის უფლებით — ჯიგრები არიან ბოლნისელები და იმიტომ, და თუ „თემურ სტეფანიას“ სახელობის სტადიონზე არეულობებიც ხდება-ხოლმე, ესეც თავისი ჯიგრის გამო მოსდით ბოლნისელებს.

ამიტომ აფსუსია „სიონი“ პირველ ჯგუფს მოსწყდეს. ეს ყველაზე უკეთ „სიონის“ ფეხბურთელებმა უწყიან და ამიტომაც დებენ თავს ყოველ თამაშში. შინ „სიონი“ იშვიათად აგებს, არა აქვს მნიშვნელობა, ვის ეთამაშება — ლიდერს თუ აუტსაიდერს, მუდამ მოგებისთვის იბრძვის. ასე იყო „დინამოსთან“, „კოლხეთთან“ და გუშინ „ბათუმთანაც“.

მთელი შეხვედრის განმავლობაში ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ. მიუხედავად „ბათუმის“ წარსული დიდებისა, საგოლე მომენტებიც ბლომად შექმნეს მეტოქის კართან და დაწყობილადაც თამაშობდნენ, განსაკუთრებით გაშვებულ ბურთამდე.

ეს შეხვედრა გიორგი ტყავაძის მორიგი გასიონელებით აღინიშნა. წლევანდელ სეზონში სწორედ „ბათუმთან“ მატჩის წინ შეიყვანეს განაცხადში ტყავაძე ბოლნისელებმა და, რა თქმა უნდა, ამით არც წაუგიათ — გიორგი ჩვეული პლასტიკურობით გამოირჩეოდა რაც შეეძლო იბრძოლა, პასებიც ბლომად არიგა და ერთადერთი გოლიც მისი პასიდან გაიტანა მოსეშვილმა.

სხვა ბოლნისელებიც კარგად გაისარჯნენ. რაც მთავარია, მათ მონდომება, ჟინი და აზარტი აჩვენეს მაყურებელს. თემურ სამხარაძის და მურმან გოგოლაძის სახით კი იმ დღეს მინდორზე ნამდვილი გლადიატორები ვიხილეთ.

„ბათუმი“ ჩვეულად იყენებდა ფლანგებს. ხან რუსია, ხან გადელია, ყველაზე ხშირად კი ვანო მახარაძე აწიოკებდნენ მასპინძელ მცველებს და მომენტებშიც მეტოქეზე არანაკლები შექმნეს. ბათუმელების შეტევისას აქცენტი ძირითადად რუსიას სისწრაფეზე ჰქონდათ გადატანილი და მამუკაც არ აწბილებდა პარტნიორებს — პირადად პირველად ვნახე, ფეხბურთელს ოც მეტრში სანახევროდ ჩამორჩენილი ფეხბურთელი მეტოქეს დასწეოდეს. მაჭუტაძის გოლიც მსგავსი მონდომების შედეგად გამოაცხო რუსიამ — იქამდე სდია შაკიაშვილს და ბურთს, სანამ არ დაეწია, მერე მეკარე გუგუნავასაც ებრძოლა, მისგან ასხლეტილი ბურთი მაჭუტაძეს მიუგორდა და პაატამაც თავისი დაბრუნება თითქმის ცარიელ კარში გატანილი გოლით აღნიშნა.

მოსეშვილის საპასუხო ბურთი ჯარიმიდან ჩაწოდებულს მოჰყვა. შეხვედრის დამთავრებამდე თორმეტი წუთი რჩებოდა, როცა კახა გოდერძიშვილმა საჯარიმოში ჩაჰკიდა, შაკიაშვილმა თავით უკან გადააგდო, ბურთი ტყავაძეს მიუვიდა, ბუბამაც კარის გასწვრივ ჩაწოდა და ბახვა მოსეშვილი ბურთიანად კარებში შეგორდა. 1:1 — ეს შედეგი მთლად მაინც ხელს აძლევდათ ბოლნისელებს.

შეხვედრის ბოლო წუთებმა ორმხრივ იერიშებში ჩაიარა. ნორმალური ფეხბურთის შესაფერისი მომენტებიც არაერთი შეიქმნა, მაგრამ სხვებისგან გამორჩეული, მაინც მურმან გოგოლაძის დარტყმა იყო — მურმანმა აგდებული ბურთს ისე დასცხო, ლამის ხარიხა ჩამოიღო.

ერთობ ნერწყვისმომგვრელი დარტყმა გამოუვიდა მურმან გოგოლაძეს.

შეხვედრის ბოლოს ერთხელაც გაბრძოლეს გუნდებმა, მაგრამ მცველებს სიფრთხილე მოსჭარბდათ და დასამახსოვრებელი მომენტები აღარ შექმნილა მორიგი ფრე ამცნო. ბოლნისელები შეხვედრის დამთავრების შემდეგაც დიდხანს არ მოსცილებიან სტადიონს და მომავალ ოთხ ტურსა და „სიონის“ დარჩენილ შანსებზე მსჯელობდნენ.

უყვართ ფეხბურთი ბოლნისელებს.



თსუ — „ოდიში“: ლევან მაღრაძე (№8) სტუდენტთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო

ოდიშმა გინება ტყუილად ინება

თბილისი
5 მაისი
18 საათი
შევარდენი
500

თსუ 4:1 ოდიში

0:1 ცაცუა (8), 1:1 ბუკია (51), 2:1, 3:1 გოგოლაძე (63, 75), 4:1 ჭუმბურიძე (78)
თსუ: გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, თ. კობიაშვილი (სვანაძე 81), ი. ხუჯაძე, ბუკია (ილურიძე 76), ვ. ღუდუშაური, მაღრაძე, გონჩაროვი (ინწკირველი 83), ჭუმბურიძე, დ. გოგოლაძე
სათადარიგონი: მერლანი
ოდიში: გოგია, რ. გბისონია, კ. კვეკვესკირი, აკობია, კაკულია, ცაცუა, იოსავა, კუტალია, მარკოზია, გოგოხია (შელია 76), გვიჩია
სათადარიგო: ჭედია
გაფრთხილება: კვეკვესკირი (48), ზამთარაძე (73), ილურიძე (83)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ვ. ელოევი (ცხინვალი), მ. ელიკაშვილი, დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

პაატა კვანტალიანი

...მატჩის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ მამუკა ელიკაშვილს ზუგდიდელი ფეხბურთელები დაუხვდნენ და გვერდით მსაჯს ვინც მოუკითხეს, თავადაც კარგად მიხვდებით. მაგრამ არც ელიკაშვილი და არც სხვა მსაჯები გუშინ ზუგდიდელთა საგინებელი არ იყვნენ. ისინი ზედიზედ მეორედ დამარცხდნენ ერთი და იგივე ანგარიშით (წინა ტურში „ოდიშმა“ 1:4 დათმო „სიონთან“) და მარცხიც მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

უშუალო კონკურენტთან შეხვედრაში თსუ-მ დასაწყისიდანვე შეუტია. მარჯვენა ფლანგზე მაღრაძემ გაილაღა და საწყის ხუთ წუთში სტუდენტებმა ექვსი კუთხური ჩააწოდეს მეტოქის საჯარიმოში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ გოლი უნდა გასულიყო და გავიდა კიდეც, ოღონდ მასპინძელთა კარში. კონტრშეტევაზე ზუგდიდელებმა ზუსტად ითამაშეს, მეტოქის საჯარიმოს ხაზთან მყოფმა კუტალიამ უკან, ცაცუას დაუგორა ბურთი. ამ უკანასკნელმა კი მოულოდნელად 25 მეტრიდან გაისროლა და ბურთს მეკარე გაბელიასთან ერთად ბადეში ამოაყოფინა თავი. ამგვარ დასაწყისს სტუდენტები არ ელოდნენ და მომდევნო ათი წუთის განმავლობაში ინიციატივა მეტოქეს დაუთმეს. შემდეგ კი მაღრაძის და ჭუმბურიძის სტუდენტებმა კვლავ მოიპოვეს მოულოდნელად დაკარგული უპირატესობა და არაერთი ხელსაყრელი მომენტიც შექმნეს მეტოქის კართან. ამათგან ყველაზე რეალური მე-20 წუთზე იყო მაღრაძე თავისი ნახევრიდან დაიძრა, გზად სამი მეტოქე მოატყუა და საჯარიმოში შეჭრილმა გოგიას შეატოვა გონჩაროვი, თუმცა ბოლო წამს მეკარემ ივარგა და ძნელი ბურთის აღება შეძლო. თსუ ტაიმის გასრულებამდე უტევდა მეტოქის კარს, თუმცა პირველ 45 წუთში ანგარიშის შეცვლა ვერ შეძლო.

მეორე ტაიმში კი „ოდიში“ საგრძნობლად დაღლილი გამოიყურებოდა მეტოქესთან შედარებით. თსუ დიდი ძალებით უტევდა და მალე ანგარიშიც გათანაბრდა — საკუთარი საჯარიმოს ხაზთან ზუგდიდელებმა მაღრაძე მოცელეს, ჯარიმა კი უნაკლოდ შეასრულა ბუკიამ. შემდეგ კი დავით გოგოლაძის ჯერი დადგა. მისი გატანილი ორივე გოლი ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში თავდამსხმელმა მცველებთან ჭიდილში იმარჯვა, სტუმართა მეკარეს აუელებელი ბურთები დაურტყა და ყველაფერი ფორმალობად იქცა. ნათელი გახდა, რომ თსუ გაიმარჯვებდა. ფორმალობა ფორმალობად, მაგრამ ჭუმბურიძემ მისი მრავალფეროვნებისთვის იზრუნა და 78-ე წუთზე სტუმრებს მეოთხე გოლი გაუტანა. 86-ე წუთზე გოგოლაძეს ჰეთ-თრიქის გახერხება შეეძლო, თუმცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი გარედან გაარტყა კარის ბადეს. ამას კი მალე მატჩის საფინალო სასტვენი მოჰყვა. ახლა იმ ეპიზოდზე, თავში რომ ვახსენეთ... არ იყო, მართლა არ იყო გუშინ ელიკაშვილი ზუგდიდელთა საგინებელი.

რუსთავი
5 მაისი
18 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 000)

გორდა 3:2 ვიტ ჯორჯია

1:0, 2:0 მელაძე (17, 25), 3:0 ზირაქაძე (51), 3:1 ბოკერია (83), 3:2 მაზიაშვილი (86)
გორდა: მ. ქორიძე, კედელაშვილი, ჩიგოშვილი, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე, მ. მელაძე, კიტეიშვილი, პატარიძე, ლ. ალადაშვილი
სათადარიგონი: ოქროპირიძე; ტარტარაშვილი, რ. მახარაძე, მ. სახვაძე, მჭედლიძე, შენთეშაშვილი, ლაბაძე
ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ჭანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ბარქაია, ქემოკლიძე, ერაძე, მაზიაშვილი, ზ. გვაზავა (ა. ბოკერია 30), დ. დოლიძე, ვ. გოჩაშვილი, გიორგი ქორიძე
სათადარიგონი: ჭურაძე; ი. კაპანაძე, გვირჯიშვილი, ვ. ქუთათელაძე
გაფრთხილება: მელაძე (19), გაბელაია (41), ზირაქაძე (53), ბარქაია (56)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); კ. თბილელი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ვანო ოძროპირიძე რუსთავიდან

ალადაშვილი, ჯერ ძმა და შვილი

ამ მატჩის მოსაგებად ორივე გუნდს საკმაოზე მეტი სტიმული ჰქონდა. „გორდა“ პირველ ჯგუფში დასარჩენად იბრძვის და მისთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს, ისევე როგორც ვიტელებისთვის, რომლებიც მეოთხე ადგილს და შესაბამისად ინტერტოტოს საგზურს უმიზნებენ. ამიტომ ყველა დაძაბულ და საინტერესო თამაშს ელოდა.

„ვიტ ჯორჯიამ“ მატჩამდე წინ შემადგენლობის სამი ფეხბურთელი მოისაკლისა. ლაშა ნოზაძე და ჯაბა მუჯირი 18-წლამდე ასაკის ნაკრებში არიან გამოძახებულნი, ხოლო კახა ალადაშვილმა, მამისა და ძმის წინააღმდეგ არ გავილაშქრებო. შეგახსენებთ, „გორდას“ მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილია, ხოლო კახას ძმა, ლაშა, ჯერაც „გორდას“ ღირსებას იცავს.

ნოზაძეც, მუჯირიც და კახა ალადაშვილიც „ვიტ ჯორჯიასთვის“ ძალიან დიდ ძალას წარმოადგენენ და მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება სწორედ ეს იყო.

ამ სამეულთან ერთად „ვიტ ჯორჯიას“ მეკარე სერგო ჭურაძეც აკლდა. კარში დავით მამარდაშვილის ჩაყენება, ალბათ, წინა ტურში ჭურაძის სუსტმა თამაშმა განაპირობა.

პირველი ტაიმი. სტუმრების მცირე ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა. ვიტელებმა მეტოქეს რამდენჯერმე ძალიან მწვავედაც შეუტიეს, თუმცა ვერაფერს გამორჩნენ. არადა, ორჯერ ძალიან კარგი შესაძლებლობა მიეცათ. მე-10 წუთზე მაზიაშვილმა კარგი პასით გოჩაშვილი ფაქტობრივად მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ვიტელმა იჩქარა, ბურთი ფეხზე კარგად ვერ მოირგო და ისიც მამუკა ქორიძის იოლი ლუკმა გახდა. 29-ე წუთზე გიორგი ქორიძეს შეეძლო გატანა, მაგრამ მასპინძელთა შეუთანხმებელი მოქმედებით მოგვარესთან პირისპირ გასულმა ბურთი კარს გადააცილა. ამ მომენტებს შორის „გორდამ“ ორი გოლის გატანა მოასწრო. მე-17 წუთზე მასპინძლებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მელაძემ მიიღო, რომელმაც გაისწორა და ძლიერად დაარტყა. ბურთი ძელს მოხვდა და იქიდან ვიტელთა კარის ბადეში გაეხვია. ცოტა ხანში მელაძემ დუბლიც შეასრულა. რუსთაველთა კაპიტანი ცენტრიდან სტუმართა საჯარიმოს მიუახლოვდა და სუსტად დაარტყა, მაგრამ მამარდაშვილმა ნახტომი ააგვიანა — 2:0. ორბურთიანი ჩამორჩენის შემდეგ კოტრიკაძემ თავდასხმა გააძლიერა — გვაზავას ნაცვლად არჩილ ბოკერია შეიყვანა, მაგრამ თბილისელთა თამაშში ამით არაფერი შეცვლილა. ტაიმის მიწურულს სტუმრებმა კიდევ ერთი სახიფათო შეტევა განახორციელეს, სამ მცველს შორის მოქცეულმა გოჩაშვილმა საჯარიმოში შეიგდო ბურთი და თან შეჰყვა, სადაც ერთ-ერთმა რუსთაველმა ფეხი გამოსდო, თუმცა ლაცაბიძემ თამაში გააგრძელა.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა ერთი შეუტიეს და მერე უპირატესობა მასპინძლებს გადაულოცეს. 48-ე წუთზე დოლიძეს მეტოქის განაწყენება შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ბურთი მცველს მოახვედრა. ამას რუსთაველთა იერიში და მესამე გოლი მოჰყვა. ვალერი ზირაქაძე ვიტელმა მცველებმა საჯარიმოში „შეაცილეს“, მანაც შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი, რომელსაც მამარდაშვილმა მხოლოდ თვალი გააყოლა. სოლიდური უპირატესობის მიუხედავად, „გორდა“ არ მოეშვა და დროდადრო მწვავე შეტევებსაც ახორციელებდა. ზირაქაძეს ორჯერ ძალიან კარგი შანსიც მიეცა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა, ისევე როგორც ლაშა ალადაშვილს. თამაშის ბოლოს მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ, ვეტერინარებმა კი პირიქით, მთელი ძალით შეუტიეს. ამან შედეგიც გამოიღო. 83-ე წუთზე გოჩაშვილის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, იქიდან ასხლეტილს კი პირველმა ბოკერიამ მიუსწრო და თავით ზუსტად დაამატა. სამიოდე წუთში მაზიაშვილმა ითამაშა კარგად, საჯარიმოს წინა ხაზთან ბურთი ერთი ორჯერ აკენწლა და ძლიერი დარტყმით ანგარიში 3:2 გახადა. მეორე გოლმა მინდორზე სიტუაცია უკიდურესად დაძაბა, თბილისელებს მატჩის გადარჩენის იმედი ჩაესახათ. თუმცა ანგარიშის გასათანაბრებლად ძალები აღარ ეყოთ და თამაშიც რუსთაველთა დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა.

ამ მატჩის არბიტრად თავიდან ავთანდილ შალამბერიძე დანიშნა, მაგრამ ბოლო მომენტში ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვეტილება შეცვალა და რუსთავში თამაზ ლაცაბიძე განამწესა. შალამბერიძემ კი თსუ — „ოდიშის“ მატჩი განსაჯა, რომელზეც თავიდან ლაცაბიძე დანიშნეს. მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

გუშინ ასე. 26 მაისს?

წყალტუბო
5 მაისი
18 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 2:3 ტორპედო

0:1 ჯანაშია (12), 1:1 ღონღაძე (20), 2:1 გლუნჩაძე (49), 2:2 ჩხეტიანი (55), 2:3 მეტრეველი (69)
მეგრელაძემ ვერ გაიტანა პენალტი (24, ძელი)
სამგურალი: ბობოხიძე, მახვილაძე (დარსაძე 46), ფრანგიშვილი (მ. ჯინჭარაძე 46), ზ. ქუთათელაძე, ვოსკანოვი, გიორგობიანი (პეტრიაშვილი 46), ღონღაძე, ჯავახაძე, გლუნჩაძე, სუხიაშვილი, გ. შენგელია
სათადარიგონი: ასლანაძე; ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, ძაგნიძე
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი (მაზანიშვილი 46), თურმანიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (კ. მეტრეველი 40), ვაჩიბერაძე
სათადარიგონი: სტურუა; ჩხაბერიძე, კ. ჯანაშია
გაფრთხილება: ვოსკანოვი (25), გიორგობიანი (37)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); თ. ხუჭუა (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

ქვეყნის თასის ფინალისტ იმერლებს 26 მაისამდე საჩემპიონატო საქმეები აქვთ მოსაგვარებელი. „ტორპედო", ბუნებრივია, თავის ისტორიაში ვერცხლის პირველად დაუფლების რეალური შანსის ხელიდან არგაშვებას ეცდება. „სამგურალმა" კი წინა ტურებში უხეირო გამოსვლით თავსატეხი გაიჩინა. წყალტუბოელებს ჯგუფიდან პირდაპირ გავარდნა მაინცდამაინც არ ემუქრებათ, აი გადათამაშებაში მოხვედრის საშიშროება კი ნამდვილად ელით. ელითო? ამას ზრდილობისთვის ვამბობთ, თორემ... აი ნახავთ, დარჩენილ თამაშებში ჯერ სისუსტისაგან გაუხვეულებული „გურია" ლანჩხუთში ჩაახუტებს „სამგურალს" სამ ქულას, მერე „დილა" ჩადის წყალტუბოში და, რა ღმერთი გაუწყრება, მეორე წრეში თავს არავის აკლავს და... მერე, თუ კი არ დასჭირდათ და, მგონი, ასეც იქნება, არც არმიელები გამოიდებენ თავს. ჰოდა, გადარჩენილა „სამგურალი" და ეგ არის. როგორც ჩანს, წყალტუბოელებიც ამ აზრისა გახლავან და ახლა მხოლოდ თასის ფინალი ადარდებთ — სხვა არაფერი.

„ტორპედოსთან" გუშინდელ მატჩში წაგებით რომ „სამგურალი" ტრაგედიას არ შეიქმნიდა, მეორე ტაიმის 50-ე წუთიდან გახდა ცხადი. არადა, ამ დროისათვის მასპინძლები 2:1 იგებდნენ.

მანამდე თამაში იყო, ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდა. ქუთაისელებს უკვე მეორე წუთზე შეეძლოთ დაწინაურება. დათო ჯანაშიამ „სამგურალის" კაპიტან მახვილაძეს საკუთარ საჯარიმოში აართვა ბურთი და უმალ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი მეგრელაძისკენ გაგზავნა, გიამაც არ დააყოვნა და ათი მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ააცილა. „ტორპედომ" უპირატესობა განავითარა და ათი წუთის შემდეგ გოლიც გაიტანა. მარჯვენა მცველად გამწესებული გიორგი შენგელია მოედნის ცენტრთან ახლო საკუთარ ნახევარზე უხეშად შეცდა, ბურთი ჯანაშიას ჩააბარა, ტორპედოელიც წინ გაექანა და მასპინძელთა საჯარიმოში შელწევისთანავე ბობოხიძეს ზუსტად დაურტყა დაბალ კუთხეში.

წყალტუბოელები ვალში არ დარჩენილან, ისინიც გააქტიურდნენ და ლამაზადაც გათანაბრეს. პარტნიორისგან მარცხნიდან ჩაწოდებულზე ღონღაძემ 25 მეტრიდან შეუჩერებელი დარტყმით კარიდან ოდნავ წინ გამოსულ ჭანტურიას მისგან მარჯვენა ცხრიანში გაუტანა. 24-ე წუთზე მასპინძლები სამართლიანად დაჯარიმდნენ 11-მეტრიანით. ჯანაშიას პასის შემდეგ მეგრელაძე მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ ფრანგიშვილმა არ აცალა. პენალტი გამოუყენებელი დარჩა. თავად დაზარალებულმა ძელს გაარტყა.

შესვენებამდე სამი საგოლე მომენტიც შეიქმნა, აქედან ორი მასპინძელთა კართან. 30-ე წუთზე ჯანაშიამ ვერ ისარგებლა კვეტენაძის კარგი პასით, მეკარეს ბურთს თავზე გადავუტარებო, მაგრამ ააცილა. მერე ჩხეტიანი დარჩა ბობოხიძესთან ერთი-ერთზე და ვერც მან იხეირა. წუთით ადრე კი წყალტუბოელმა ილო ჯავახაძემ გაიბრწყინა. იგი ოთხ ტორპედოელს დაუსხლტდა და ვოსკანოვსაც ზუსტად გადასცა, ამან სტუმართა კარის გასწვრივ ჩააწოდა, მეკარის ბაქანში ორი წყალტუბოელი იყო, მაგრამ ამათ ერთმანეთს შეუშალეს ხელი.

შესვენების შემდეგ „სამგურალის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა დავით გენძეხაძემ რამდენიმე სიურპრიზი შემოგვთავაზა. ერთი ის, რომ მასპინძლებმა თამაში სამი ახალი ფეხბურთელით განაახლეს. მეორეც, ტაქტიკური ხრიკი იყო თუ რა, მარცხენა ნახევარმცველ სუხიაშვილს უკანა მცველის პოსტი ჩააბარა. ჰოდა, მახვილაძისა და ფრანგიშვილის არყოფნაში „სამგურალის" დაცვა, ნებსით თუ უნებლიედ მთლად აირია, ოღონდ ეს მას შემდეგ, რაც მასპინძლებმა მეორედ აიღეს „ტორპედოს" კარი. გლუნჩაძემ მართლაც რომ ეფექტურად გაიტანა, პეტრიაშვილის კუთხურს სტუმართა შუაგულ საჯარიმოში ვარდნაში შეაგება თავური და კარის დაბალ კუთხეში მოათავსა ბურთი.

აი, აქედან იყო, „სამგურალის" თამაშში უცნაურმა მეტამორფოზამ რომ იჩინა თავი. მასპინძლებმა დაცვა გააშიშვლეს და „ტორპედოსაც" ეს უნდოდა. ექვს წუთში მეტრეველის პასით ჩხეტიანმა გააყაიმა. 58-ე წუთიდან „სამგურალი" უკვე 10 კაცით თამაშობდა. ჯავახაძემ, მასპინძელთა რიგებში მანამდე ყველაზე ჯიგრიანად მოთამაშემ, ფეხი იტკინა და მოედანი დატოვა. ეტყობა, ჯავახაძემ ესტაფეტა ბობოხიძეს გადაულოცა. წყალტუბოელთა მეკარე, ფაქტობრივად, ერთადერთი იყო, ვინც ტორპედოელებს ეწინააღმდეგებოდა და იმარჯვებდა კიდეც.

ოჰ, დაწყვიტა კი ნერვები ოთარმა ქუთაისელებს. ჯანაშიას, მეტრეველს, მაღლაკელიძეს, ვაჩიბერაძეს, ახვლედიანს, ჩხეტიანს. ვის არ აუღო, მაგრამ ერთხელ უძლური აღმოჩნდა. მეტრეველმა ცარიელ კარში შეაგდო და... ვნებათაღელვაც ჩაცხრა.

ამ მატჩმა ბევრი კითხვა დაბადა. სხვას რომ თავი დავანებოთ, საინტერესოა, რატომ დააკლდნენ გუშინ „სამგურალს" გიორგი კილასონია, ბურნაძე და აფციაური.

ჰო, გუშინ ასე იყო.

თასის ფინალში რა მოხდება? ამას სამ კვირაში შევიტყობთ.

გუშინდელი „სამგურალი" — „ტორპედო": გიორგი სუხიაშვილმა ზაზა ვაჩიბერაძისკენ გაგზავნილი ბურთი ჩაჭრა

„არსენალი — „კოლხეთი": ჯონი კალანდაძე მუხრან მაისურაძეს გაურბის

არეული ამინდი ფეხბურთი

თბილისი
5 მაისი
18 საათი
ისანი
500 (ტევადობა 5 000)

არსენალი 0:0 კოლხეთი

არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია (ხოსროშვილი 65), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი, აბაზაძე, ამირიძე, ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი
სათადარიგონი: აბაშიძე; ყუფარაძე, გ. სულაძე, ვ. გაგუა, კოხრეიძე, თვალაბეიშვილი
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე, მ. ქობულაძე, ტრაპაიძე, კალანდაძე, ბულუსია, ე. გვასალია
სათადარიგონი: ჩემია; ჩაგანავა, ჩადუნელი, ბურკაძე, პაპავა, შავგულიძე, ამაშუკელი
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ო. ხეცაძე (ბორჯომი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

გოჩა ჯანაშია

იშვიათად, მაგრამ ასეც ხდება-ხოლმე: გუშინ „ისანზე" დაპირისპირებულმა გუნდებმა წინა ტური ლანჩხუთში ითამაშეს. მაშინ ორივემ ერთნაირი ანგარიშით მოიგო — 2:0. ისიც გეცოდინებათ, რატომ მოხდა ასე — კოლხებმა იქ თსუ-ს უმასპინძლეს, ხოლო მეორე დღეს „გურიას" არმიელები ესტუმრნენ.

წინა ტურში აჭარლებმა რუსთაველებს რომ ვერ სძლიეს, „კოლხეთი" მეოთხე საფეხურზე აღზევდა. მეოთხე ადგილი კი, წესით, ინტერ-ტოტოს თასზე მონაწილეობის წინაპირობა უნდა ყოფილიყო და ევროპაში თამაშდაჩვეულ კოლხებს ერთადერთი ამის ეიმედებოდათ. თუმც იქნებ ვერც ამან უშველოს, რადგან ინტერტოტოს თასის მონაწილის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

„სამგურალის" თასის მფლობელობის შემთხვევაში ყველაფერი ცხადია, მაგრამ თუ „ტორპედომ" იმარჯვა, მაშინ წყალტუბოელებს რაღა ვუყოთ? მოკლედ, ყველაფერი უეფამ და შემდეგ სფფ-ს უნდა გადაწყვიტოს. მანამდე კი „კოლხეთს" ისღა დარჩენია, იბრძოლოს, მიღწეული შეინარჩუნოს და საფეხბურთო მამების ვერდიქტს დაელოდოს.

„არსენალს" თავი ქუდში აქვს. გავარდნით, არ უნდა გავარდეს. ძალიან რომ მოინდომოს, ცხრილის ზემოურთა მარაქაში ვერ მოხვდება. მიუხედავად ამისა, ბრძოლა მაინც არ შეუწყვეტია, რაზეც ამ მატჩის შედეგიც ნათლად მეტყველებს.

გუშინ „ისანზე" ძლიერი ქარი ქროდა. ვერ გეტყვით, მთლად ამის ბრალი იყო, თუ სხვა რამ, ფაქტია, მეტოქეებმა არეული ამინდისდარი, არეული ბურთაობა გააჩაღეს. განსაკუთრებით პირველ ტაიმში, სადაც სახიფათო მომენტიო რომ იტყვიან, ერთი არ შექმნილა.

ორივე გუნდი ერთმანეთს შეცდომების იმედზე იყო. შეცდომები და ტექნიკური წუნი იცოცხლე, არ დაჰკლებია მატჩს. ამას მინდვრის უვარგისი საფარი დაუმატეთ და ხეირიანი პასი, მით უმეტეს კომბინაცია, შესვენებამდე არავის უნახავს. სულ დაიკარგა ტარიელაშვილ-ზირაქიშვილის არმიელთა დუეტი. ამ უკანასკნელმა ერთი მეხუთე წუთზე დაარტყა, ისე რა სახიფათოდ და მორჩა, გათავდა.

კოლხები უმეტესწილად შორი არტილერიის იმედზეღა იყვნენ. თანაც ქარი ეხმარებოდათ და კარგა ბლომად ურტყეს შორიდან ჩლაიძეს. ამათგან ერთი, მიხეილ ქობულაძის დარტყმის გამორჩევა თუ ღირს, რომელიც არმიელთა მეკარემ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე.

თამაშის განახლებას კარგა ხანი სასიკეთო არაფერი მოუტანია. აი, 70-ე წუთზე კი, ალბათ, მატჩის უმთავრესი მომენტი შეიქმნა, როცა კალანდაძემ საჯარიმოში მარჯვნიდან შევიდა, კარგადაც ჩაურბინა მცველებს და კარის გასწვრივ ჩააწოდა. იქ ცოტაძემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ უხეიროდ და შექმნილ არეულობაში, ღაღანიძემ ათიოდე მეტრიდან არაზუსტად დაარტყა.

ამის შემდეგ თამაში გამოცოცხლდა. ეს უფრო სტუმართა აქტივობის ხარჯზე მოხდა და ათ წუთში ჩლაიძემ ერთობ იყოჩაღა, როცა ელდარ გვასალიას ეფექტურად დარტყმული ბურთი ჩინებულ ნახტომში მარცხენა ცხრიანიდან გამოაძრო.

ბოლოსკენ კი მეტოქეებმა თითო მომენტი გაცვალეს. ჯერ ზირაქიშვილს მართებდა უეჭველად გატანა, მაგრამ პენალტის ნიშნულიდან მაინცდამაინც მამუკა გვასალიას გაარტყა. ხოლო ბოლო წუთზე გვასალიას თავით დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა და მოედანი დატოვა.

აღმოსავლელი რონალდოს ხელფასი 96-ჯერ გაიზრდება

ანდრეი შევჩენკოს (მარჯვნივ) შეჩერება ნებისმიერი მცველისთვის ურთულესი საქმეა

სარგებლის არქივიდან

როგორც იცით, კიევის „დინამოს“ და უკრაინის ნაკრების მრისხანე თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო მიმდინარე წლის ზაფხულიდან კარიერას პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს, უტიტულოვანეს კლუბში, „მილანში“ გააგრძელებს.

22 წლის ფორვარდის შეძენას მრავალი გრანდი ცდილობდა, რომლებიც მზად იყვნენ „აღმოსავლელი რონალდოს“ სანაცვლოდ უკრაინის ჩემპიონისთვის ასტრონომიული თანხა, 18 მილიონი გირვანქა გადაეხადათ. თუმცა ყველას მაინც ორწლიანი კრიზისის შემდეგ აღზევებულმა, იტალიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში რომის „ლაციოს“ უმთავრესმა კონკურენტმა „მილანმა“ აჯობა. თუ რამდენი გადაიხადა ალბერტო ძაკერონის გუნდმა შევჩენკოში, ჯერჯერობით საიდუმლოა, მაგრამ ზემოაღნიშნულ 18 მილიონზე მეტი რომ გაიღო, ფაქტია.

მიუხედავად ამისა, ბოლო დღეებში იტალიური პრესა სენსაციურმა ცნობებმა მოიცვა. თურმე შევჩენკო „მილანის“ ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იქნება და მიიღებს იმდენს, რამდენსაც სერია A-ს უძვირფასესი მოთამაშე, მეორე მილანური გიგანტის „ინტერის“ ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი რონალდო იღებს. მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი (რონალდო) კი არც მეტი, არც ნაკლები კვირაში 120 ათასი გირვანქას, ანუ დაახლოებით 200 ათას დოლარს გამოიმუშავებს, რაც წელიწადში 9,6 მილიონ დოლარს შეადგენს. ცნობისთვის გეტყვით, რომ კიევის „დინამოში“ თამაშისას შევჩენკო „სულ რაღაც“ 100 ათას დოლარს იღებდა ერთი წლის განმავლობაში.

ასე, რომ ახალგაზრდა ფორვარდის გასამრჯელო ერთბაშად 96-ჯერ გაიზრდება, თუმცა ეს „მილანის“ უფროსობას სულაც არ აღელვებს. მილანში სჯერათ, რომ, როგორც იქნა, კლუბში გამოჩნდა დიდი ჰოლანდიელის მარკო ვან ბასტენის შემცვლელი და ისიც, რომ მომავალ სეზონში „მილანი“ ძველებურად ბრწყინვალე და ძლავრი გუნდი იქნება.

თავად შევჩენკო კი უკვე იტალიური ენის შესწავლით არის დაკავებული, ხოლო აპენინურ გაზეთებში ასეთი რამ იწერება — აღმოსავლეთიდან ციკლონი მოდის!

დავით კოტეზირიძე

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

გრიმსბი 0:0 ვულვერჰემპტონი

სანდერლენდი	45	30	12	3	89:27	102
ბრედფორდი	45	25	9	11	79:45	84
იფსვიჩი	45	25	8	12	65:31	83
ბირმინგემი	45	23	12	10	65:35	81
უოტფორდი	45	20	14	11	64:56	74
ვულვზი	45	19	16	10	62:40	73
ბოლტონი	45	19	16	10	76:59	73
შეფილდი	45	18	13	14	70:62	67
ნორვიჩი	45	15	17	13	62:60	62
გრიმსბი	45	17	10	18	40:51	61
ჰადერსფილდი	45	15	15	15	62:71	60
ვესტ ბრომვიჩი	45	16	11	18	68:73	59
კრ. პალასი	45	14	16	15	58:65	58
ბარნსლი	45	13	17	15	56:55	56
ტრანმერი	45	11	20	14	60:60	53
სტოკპორტი	45	12	17	16	49:55	53
სვინდონი	45	13	11	21	58:78	50
პორტსმუთი	45	11	14	20	57:71	47
ქრიუ	45	12	11	22	54:78	47
პორტ ვეილი	45	13	8	24	45:74	47
ქუინზ პარკი	45	11	11	23	46:61	44
ბერი	45	9	17	19	34:60	44
ოქსფორდი	45	9	14	22	43:71	41
ბრისტოლი	45	8	15	22	56:80	39

მსოფლიოს უძლიერესი კლუბები

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციამ (IFFHS) გუშინ გამოაცხადა, რომ მსოფლიოს უძლიერესი კლუბი ბრაზილიური „პალმეირასია“. ეს ორგანიზაცია რეიტინგის შედგენისას ბოლო 12 თვის მაჩვენებლებს ეყრდნობა და ისე ავლენს საუკეთესოს. სან პაულუს გუნდმა IFFHS-გან 359,5 ქულა მიიღო და ჩამოიტოვა ჩემპიონთა ლიგის ორი ფინალისტი — ბუნდესლიგის გათამაშების ლიდერი მიუნხენის „ბაიერნი“ (346 ქულა) და პრემიერლიგაში პირველობისთვის მებრძოლი „მანჩესტერ იუნაიტედი“ (334).

დღესდღეობით მსოფლიოს უძლიერესი 10 კლუბი IFFHS-ის ვერსიით: *პალმეირასი (ბრაზილია), ბაიერნი (გერმანია), მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), ბოლონია (იტალია), პარმა (იტალია), ჩელსი (ინგლისი), ინტერი (იტალია), რეინჯერსი (შოტლანდია), დინამო (უკრაინა), მადრიდის რეალი (ესპანეთი).*

28 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ



იოზეფ ბლატერი

განხეთქილებაა პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციაში — ქვეყნის სპორტის სამინისტრო პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ეუბნება, გადადექიო, ფეხბურთის მამები კი ჯიუტობენ. ფედერაციის პრეზიდენტი მარიან ძიუროვიჩი სპორტის სამინისტროს ბრძანებებს ყურსაც არ უგდებს — თქვენ ჩვენი გაკონტროლების უფლება არ გაქვთო.

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია უშუალოდ ფიფაზე დამოკიდებული ორგანიზაციაა და ქვეყნის სპორტის სამინისტროს მის საქმეში ჩარევის უფლება არ აქვს. თავდაპირველად, როცა ძიუროვიჩმა სპორტის სამინისტროს მის ორგანიზაციაში უკითხავად ჩარევის შესახებ ფიფას აცნობა, მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ პოლონეთის სპორტის სამინისტროს საქციელი დაგმო და ამის შესახებ ქვეყნის მთავრობასაც აცნობა, მაგრამ პოლონეთის სპორტის სამინისტრომ ფიფას უმალ გაუგზავნა მასალები, რომელშიც ფეხბურთის ფედერაცია შავბნელ საქმეებში იყო მხილებული.

ყველაფერი ამის შემდეგ დაიწყო — ფიფა პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობით დაინტერესდა, ამბებში გაერკვა და ფედერაციის პრეზიდენტის ხელახალი, რიგგარეშე არჩევნების ჩატარება ბრძანა.

ფიფამ ოფიციალურად განაცხადა, რომ თუ 28 ივნისისთვის პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ხელახალი არჩევნების შედეგები ცნობილი არ იქნება, პოლონეთის წევრობა ფიფაში შეჩერდება, ხოლო ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან მოიხსნება.

— მას შემდეგ, რაც ფიფამ არჩევნების ჩატარება ბრძანა, ჩვენ ვალდებულნი ვართ, მის მოთხოვნას დავემორჩილოთ — განაცხადა პლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე ტომაშ იაგოძინსკიმ.

— პოლონეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ თითქმის თვეა გვაცნობეს. ინფორმაციის მიღებისთანავე ფიფამ საქმის შემსწავლელი ჯგუფი გამოყო, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. პირველადი დასკვნის შემდეგ გარკვეული ფაქტები დღის სინათლეზე გამოვიტანეთ. მომავალში რა იქნება წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ჩვენ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციაში მიმდინარე ამბებს კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი, საგანგებო სხდომის შემდეგ გადავწყვიტეთ 28 ივნისამდე პოლონეთში ფეხბურთის ფედერაციის ახალი, რიგგარეშე არჩევნები დავნიშნოთ. ეს უბრალო თხოვნა არაა, ეს კატეგორიული მოთხოვნა გახლავთ — ფიფას პრეზიდენტმა შვეიცარიელმა ზეპ ბლატერმა ეს განცხადება რამდენიმე დღის წინ გააკეთა. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრეზიდენტის სიტყვებს პოლონეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ხოლო პოლონეთის სპორტულმა პრესამ ქვეყნის ფეხბურთიის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნებს დაუფიქრებლად დაუჭირა მხარი.

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მარიან ძიუროვიჩი ჯიუტობს. მისი თქმით, სპორტის სამინისტროს არანაირი უფლება არ ჰქონდა, ფედერაციის საქმეში ჩარეულიყო და ყველა ის მასალა, რომელიც მისი და ფედერაციის საქმიანობის წინააღმდეგაა მიმართული, ყალბია.

იქ, პოლონეთში, ძიუროვიჩს მაინც-დამაინც მართალ ადამიანად არ იცნობენ. იქნებ ძიუროვიჩის შავბნელ საქმეებს ფაქტებით ვერ ამტკიცებენ, მაგრამ ეჭვები არის, ეჭვები კი არსაიდან და არაფრიდან არ ჩნდება. პოლონეთის სპორტული პრესა ერთთავად ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის კრიტიკაშია, თუმცა ჯერჯერობით სერიოზული ძვრები არ იგრძნობა.

პოლონეთის სპორტული სამყარო მოუთმენლად ელის, 28 ივნისს, თუმცა იმის იმედი, რომ ძიუროვიჩს შეცვლიან, არ აქვთ.

— რა გითხრათ. ვფიქრობ, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ ძიუროვიჩი დარჩება და ჩვენს ფეხბურთში სიტუაცია სრულიადაც არ შეიცვლება. ფეხბურთის ფედერაციის დელეგატები სწორედ ძიუროვიჩს უჭერენ მხარს, აქედან გამომდინარე, მას თანამდებობაზე დარჩენის დიდი შანსი აქვს. თუ ცვლილებები მალე არ მოხდა პოლონური ფეხბურთი დაიღუპება, ეს კი მეეჭვება ვინმეს გაუხარდეს. ყველას აჯობებს დავიცადოთ — მომავალი არსად გაიქცევა და ყველაფერს მალე დავინახავთ — ამბობს ქვეყნის სპორტის სამინისტროს თავმჯდომარე იაცეკ დებოკი.

...დღესდღეობით პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია გაურკვევლობაშია, ქვეყნის ფეხბურთი კი უკან-უკან იხევს. პოლონელები ეძებენ გზას, რომელიც მათ ძველ დიდებას დაუბრუნებს, არადა, დიდების ჟამი პოლონურ ფეხბურთს მართლაც ჰქონია.

ირაკლი ილაშვილი

მადრიდელთა იაპონური ინტერესი

ჰიდეტოში ნაკატას ესპანეთში თამაში სურს

მადრიდის „ატლეტიკო“ რომ კრიზისშია, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა, ეს ფაქტია. 1996 წლის ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი ამჟამად პრიმერა დივიზიონში სამარცხვინო, მე-13 ადგილზე იმყოფება. ბუნებრივია, ეს ამბავი კლუბის გიჟმაჟ პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილს გულზე სულაც არ ეხატება და ამიტომაც გუნდში ძირეულ ცვლილებებს აპირებს. პირველი, საკმაოდ დიდი ნაბიჯი „ატლეტიკოს“ აღმშენებლობისკენ უკვე გადაიდგა — ხილი ხილმა კვლავ მიიწვია სამუშაოდ იუგოსლავიელი მწვრთნელი რადომირ ანტიჩი, ზემოხსენებული წარმატების თავიდათავი.

სეზონის დასაწყისში მადრიდელმა კლუბმა იტალიელი ვარსკვლავი კრისტიან ვიერი რომის „ლაციოს“ მიჰყიდა და სალარო 19 მილიონი გირვანქით შეივსო. დღესდღეობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ატლეტიკოს“ მეორე იტალიელი ლეგიონერი, მცველი მიქელე სერენა კარიერას მილანის „ინტერში“ ან ტურინის „იუვენტუსში“ გააგრძელებს. მადრიდელები ამ ტრანსფერიდან დაახლოებით 7 მილიონ დოლარს მიიღებენ.

და კიდევ. ანტიჩის „ატლეტიკოში“ დაბრუნების შემდეგ ესპანეთში დაიწყო საუბრები კლუბიდან ბრაზილიელი გამთამაშებლის ჟუნინიოს წასვლის შესახებ. იგი თურმე იუგოსლავიელის ტაქტიკურ მონახაზს არ შეესაბამება. ტანმორჩილ სამხრეთამერიკელს მთელი სეზონის განმავლობაში ეპატიჟებოდნენ სხვადასხვა კლუბები, ყველაზე მეტად ბირმინგემის „ასტონ ვილა“ აქტიურობდა, მაგრამ წლეულს, იანვარში, ჟუნინიომ ინგლისში დაბრუნება იუარა. მისივე თქმით, იგი ესპანეთში თავს მშვენივრად გრძნობს. და მაინც, „ატლეტიკოს“ უფროსობამ ისეთი განცხადება გააკეთა, ბრაზილიელის კლუბიდან გაშვებაზე რომ მიგვანიშნებს. მადრიდელებს იაპონელი ჰიდეტოში ნაკატას შეძენა სურთ, რომელიც ჟუნინიოს ამპლუის ფეხბურთელია.

ამას წინათ იტალიური „პერუჯას“ ნახევარმცველმა ჟურნალისტებთან საუბრისას თქვა, გაისად ესპანეთში თამაში მინდაო და ხესუს ხილი ხილიც დატრიალდა. „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი მზადაა, აზიელი ვარსკვლავის სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა გაიღოს და ნაკატაც, ალბათ, მომავალში თეთრ-წითელ მაისურში მოგვევლინება.

ცნობილი გახდა ისიც, რომ „ატლეტიკოს აღმშენებლობა ნაკატას ყიდვით არ ამოიწურება. ვიერის, სერენას და ჟუნინიოს სანაცვლოდ მიღებული საკმაოდ მოზრდილი თანხით ანტიჩი კიდევ რამდენიმე ახალი ფეხბურთელის შეძენას და მომავალ სეზონში „თავისი სიტყვის“ თქმას აპირებს.

ნოდარ ძასრაძე

სუზანა გაარტისტებულა

სარბიელის არქივიდან

მსოფლიოს ორგზის უძლიერესი ფეხბურთელის რონალდოს მომავალი თანამეცხედრე, ერთ დროს ასევე პლანეტის საუკეთესო მოთამაშე ქალი, ამჟამად კი ფოტომოდელი სუზანა ვერნერი მსახიობობაში აპირებს ბედის ცდას. ფილმის სამუშაო სახელწოდება ჯერჯერობით „სროლათა იმპერია“ გახლავთ და იგი ცნობილი ფანტასტიკური სერიალის „ვარსკვლავეთის ომების“ ერთ-ერთი მორიგი სერია იქნება.

ფილმის შემქმნელთა თქმით, თვალწარმტაცი სუზანა კეთილი, მშვიდობისმოყვარე გმირის როლს შეასრულებს, თანაც, „სროლათა იმპერიაში“ ხშირი იქნება კადრები, რომლებშიც ყველაზე ცნობილი პატარძლის მშვენიერი სხეულის სხვადასხვა ნაწილები ზედმიწევნით იქნება ნაჩვენები, რაც ფილმის პოპულარობას უეჭველად ერთი-ორად გაზრდის. გადაღებები ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გაიმართება.

უკომპლექსო რონალდოს თურმე საერთოდ არ აღელვებს ეს ამბავი და ზაფხულში გასამართი სამხრეთ ამერიკის (კოპა ამერიკა) ჩემპიონატისთვის გაცხოველებით ემზადება. ზაფხულშივე, გეგმისდა მიხედვით „ინტერის“ ბრაზილიელი გოლეადორი ოფიციალურად მიიღებს თავის ცუნცულა შეყვარებულთან სარეცლის გაყოფის უფლებას — აგვისტოში რიო დე ჟანეიროში გრანდიოზული ქორწილი გაიმართება.

ყველა გზა ლონდონში მიდის

დავორ შუკერი მიმდინარე სეზონის ბოლოს მადრიდის „რეალს“ დატოვებს. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. საფრანგეთის შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა რატომღაც ვერც გუს ჰიდინკის და ვერც ჯონ ტოშაკის გემოვნება დაკმაყოფილა. „რეალის“ ყოფილი და ამჟამინდელი თავკაცები უპირატესობას ახალგაზრდებს, რაულ გონსალესს და ფერნანდო მორიენტესს, აგრეთვე პრედრაგ მიატოვიჩს ანიჭებენ. 30 წლის ფორვარდი კი, ბუნებრივია, არ არის მოხიბლული სათადარიგოთა სკამის „ხეხვით“.

ერთი სიტყვით, ზაფხულიდან შუკერი ახალ კლუბში ითამაშებს. ხორვატი ფორვარდის ფასიც ცნობილია — მის მსურველებს 8 მილიონი გირვანქით მოუწევთ ჯიბის შეთხელება. ამ ვარიანტზე უკვე რამდენიმე თვეა ყაბულსაა ბერძნული „პანათინაიკოსი“, რომლის წარმომადგენლებიც ძალიან ხშირად უკავშირდებიან ესპანურ გრანდს. თავის მხრივ „რეალს“ საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ თავად თავდამსხმელს არ სურს მისთვის შეუფერებელი დონის გუნდში კარიერის გაგრძელება.

ასე რომ, შუკერის საქმე გაყინულია, უფრო სწორად იყო, ვინაიდან გამოცდილი მოთამაშეთ დაინტერესება ახალმა, „პანათინაიკოსთან“ შედარებით სოლიდურმა კლუბმა გამოთქვა. საუბარი ინგლისის ლიგის თასის მფლობელ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფურზე“ გვაქვს.

შუკერის შეძენის დიდი სურვილი გამოუთქვამს ლონდონელთა თავკაც ჯორჯ გრემს, თუმცა ამას მწვრთნელსა და „ტოტენჰემის“ თავმჯდომარე ალან შუგარს შორის კონფლიქტი მოჰყოლია. საქმე ის არის, რომ გრემს გეგმაში ხორვატის გარდა სხვა ფეხბურთელების შესყიდვაც ჰქონია და შუგარს მოსთხოვა, ზაფხულისთვის ასე 20 მილიონი გირვანქა მჭირდებაო. თავმჯდომარეს კი თანხა ეძვირა.

დასტყუებს თუ არა გრემი შუგარს სასურველი რაოდენობის გირვანქებს ძნელი სათქმელია, ისე კი, ლონდონური გაზეთები ირწმუნებიან — ყველა შემთხვევაში 8 მილიონი უნდა გამოიძებნოს, ამ ვარიანტის (შუკერის) ხელიდან გაშვება არ იქნებაო. გრემიც, თურმე, ამ აზრზე ყოფილა. სხვათა შორის, მშობლიური მადრიდიდან გარკვეული პერიოდით ინგლისის დედაქალაქში გადაბარგების იდეა დავორის ლამაზმან მეუღლეს, ცნობილ ესპანელ მსახიობს ანა ობრეგონსაც მოსწონებია.

აქედან გამომდინარე ნურავის გაუკვირდება, თუ მომავალ სეზონში დავიდ ჟინოლას, ლეს ფერდინანდის, სოლ კემპბელის, დარენ ანდერტონის გვერდით დავორ შუკერსაც დაინახავს.

ნოდარ კასრაძე

სარბიელის არქივიდან

მადრიდის „რეალის“ მწვრთნელები დავორ შუკერს ძირითადში აღარ ათამაშებენ და სანამ იგი ახალ კლუბს გამოძებნის, თავის მომხიბლავ მეუღლესთან, მსახიობ ანა ობრეგონთან ერთად ისვენებს

ფეხბურთის რუკასთან

საფრანგეთის ნაკრების კაპიტანს დიდიე დეშამპს ტურინის „იუვენტუსის“ დატოვება გადაუწყვეტია. მსოფლიოს ჩემპიონს ესპანეთის 1996 წლის ჩემპიონი და თასის მფლობელი მადრიდის „ატლეტიკო“ ეპატიჟება. თავად დეშამპის აზრი უცნობია, თუმცა, იტალიური პრესის ცნობით, „იუვენტუსი“ 7 მილიონ გირვანქას მიიღებს და ფეხბურთელიც მადრიდში გადავა. ამბობენ, დიდიე დეშამპს ესპანეთში განუზრახავს კარიერის დასრულებაო. ტურინელთა ნახევარმცველს წლის დასაწყისში ლონდონის „ჩელსიც“ ეპატიჟებოდა.

ბრაზილიელი მცველი ფლავიო კონსეისაო სეზონის დასრულებისთანავე ლა კორუნიის „დეპორტივოს“ დატოვებას აპირებს და სურს, კარიერა იტალიაში გააგრძელოს. ფეხბურთელმა თავის აგენტ აუგუსტო ლენდოიროს კარგი ტრანსფერის გაჩარხვა სთხოვა. ლენდოიროს თქმით, კონსეისაოთი ტურინის „იუვენტუსი“ დაინტერესებულა, მეტიც, კლუბის სატრანსფერო საკითხთა გამგებელი რობერტო ბეტეგა თავად შეხვედრია ფეხბურთელს და შესაძლო ტრანსფერის საკითხები განუხილავთ. „დეპორტივო“, ესპანური პრესის ცნობით, ბრაზილიელი ფეხბურთელის სანაცვლოდ 16 მილიონ გირვანქას ითხოვს, ამდენს კი „იუვენტუსი“ არ გადაიხდის. ფლავიო კონსეისაოთი ბებერი ქალბატონის გარდა „პარმა“, „ინტერი“ და „მილანიც“ დაინტერესებულან. 25 წლის ფლავიო კონსეისაო „დეპორტივოში“ მესამე სეზონია, რაც თამაშობს, მანამდე კი „პალმეირასის“ ღირსებას იცავდა.

რუსეთის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“ კიდევ ერთ ფეხბურთელს მოისაკლისებს — 20 წლის არტიომ ბეზროდნიმ აქილევსის მყესის ტრავმა მიიღო და კარგა ხნით გამოაკლდა კლუბს. „სპარტაკის“ ექიმების პირველადი დასკვნით, ბეზროდნი გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი „სპარტაკში“ კლუბის ტრავმირებული კაპიტნის, ილია ციმბალარის ადგილზე თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ „სპარტაკს“ ბეზროდნისა და ციმბალარის გარდა მიროსლავ რომაშჩენკო და დმიტრი პარფიონოვიც გამოაკლდნენ.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა შესაძლოა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ შავკანიანი თავდამსხმელი იან რაიტი დასაჯოს. საქმე ისაა, რომ ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვესტ ჰემი“ შინ 1:5 დამარცხდა „ლიდსთან“, რაიტი კი მე-14 წუთზე გააძევეს. გასახდელში ჩასულმა იან რაიტმა მსაჯთა ოთახის კარი ჩაამტვრია. „ძალიან გაბრაზებული ვიყავი და ვერ ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი“ — განუცხადა რაიტმა გაზეთ „სანს“. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი ამ საკითხზე დღეს იმსჯელებს.

გერმანიის ფეხბურთის კავშირი სერიოზულად დაფიქრდა ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების მომავალზე და გადაწყვიტა, შემდეგი ხუთი წლის მანძილზე ახალგაზრდებში 5,2 მილიონი მარკა დააბანდოს. გერმანიის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, ბუნდესნაკრების ბოლო შედეგები ძალიან დამაფიქრებელია და ამის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ვეძიოთო. „ჩვენ შევიმუშავეთ ხუთწლიანი პროგრამა, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა გერმანელ ფეხბურთელებს 5,2 მილიონი მარკა მოხმარდება“ — განაცხადა ბეკენბაუერმა.

ესპანელმა ნახევარმცველმა ივან ელგერამ მადრიდის „რეალთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სამეფო კლუბს 1 ივლისს შეუერთდება. ბარსელონას „ესპანიოლის“ ფეხბურთელის გასამრჯელო „რეალში“ მილიონნახევარი დოლარი იქნება. „რეალი“ „ესპანიოლს“ ივან ელგერას სანაცვლოდ 7,6 მილიონ დოლარს გადაუხდის. ნახევარმცველის შეძენა მადრიდის მეორე კლუბ „ატლეტიკოსაც“ სურდა, თუმცა ფეხბურთელმა სხვანაირად გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ შარშან „ესპანიოლმა“ 23 წლის ივან ელგერა იტალიურ „რომაში“ გაანათხოვრა, ამ სეზონის წინ კი უკან დაიბრუნა. ნახევარმცველს ქვეყნის ნაკრებში ორჯერ უთამაშია.

უელსის თასის ფინალში, რომელიც ეიბერსტივიტში გაიმართა, „ბერი თაუნმა“ 3:0 დაამარცხა „კერნერფონ თაუნი“. სამივე გოლი „ბერი თაუნის“ საუკეთესო თავდამსხმელმა რიჩარდ ჯონსმა გაიტანა 34-ე, 71-ე და 86-ე წუთებზე. თასის ფინალს 507 მაყურებელი ესწრებოდა.

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ ბუქარესტის „სტიაუას“ გამოცდილ ნახევარმცველ მარიუს ლეკეტუშს სასჯელი შეუმსუბუქა და 15 მატჩამდე შეუმცირა. აპრილში, ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრაში, ლეკეტუში ისე ეუხეშა მოწინააღმდეგე „ბაკეუს“ მოთამაშე ვიორელ არდელეანუს, რომ დაზარალებულს მარჯვენა ფეხი ორ ადგილას მოტყდა. თავდაპირველად რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, ლეკეტუშისთვის მანამ არ მიეცა თამაშის უფლება, სანამ არდელეანუ ფეხბურთს არ დაუბრუნდებოდა, ახლა კი, როგორც მოგახსენეთ, გადაწყვეტილება შეცვალა.

ჰოლანდიელი ნახევარმცველის, კლარენს ზეედორფის „ნიუკასლ იუნაიტედში“ გადასვლის ცნობა ინგლისური კლუბის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა რუდ გულიტმა უარყო. „ვერ გეტყვით, საიდან დაირხა ეს ხმები, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს სიცრუეა. ზეედორფთან „ნიუკასლ იუნაიტედს“ სატელეფონო საუბარიც კი არ ჰქონია“ — განაცხადა რუდ გულიტმა. ინგლისურმა პრესამ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ცნობა, რომ ექსაიაქსელი და ექსამპდორიელი კლარენს ზეედორფი ჩრდილოინგლისურ კლუბში 5,5 მილიონ გირვანქად გადადიოდა.

შოტლანდიის თასის ფინალში გასულ „სელტიკს“ ტექნიკურ დირექტორად შესაძლოა ცნობილი კენი დალგლიში მოევლინოს. შოტლანდიის ნაკრებში ყველაზე მეტჯერ — 102-ჯერ ნათამაშები დალგლიში აგვისტოს შემდეგ უმუშევარია. აგვისტოში მან „ნიუკასლ იუნაიტედი“ დატოვა. BBC-ს რადიოს ცნობით, კენი დალგლიშს „სელტიკის“ ტექნიკურ დირექტორად შოტლანდიის თასის ფინალამდე, ანუ 29 მაისამდე დანიშნავენ. შეგახსენებთ, რომ მისი პირველი კლუბი სწორედ „სელტიკი“ გახლავთ.

ბრაზილიელი ნახევარმცველი დედე, რომელიც ბუნდესლიგის კლუბ დორტმუნდის „ბორუსიას“ ღირსებას იცავს, გერმანულ კლუბში 2003 წლამდე დარჩება. დორტმუნდის კლუბის ხელმძღვანელობამ დედესთან კონტრაქტი იმიტომ გაახანგრძლივა, რომ მიმდინარე სეზონში 21 წლის იმედისმომცემმა ფეხბურთელმა შესანიშნავად ითამაშა. 1997 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ბორუსიამ“ 21 წლის ბრაზილიელი ამ სეზონის წინ შეიძინა ბრაზილიური „ატლეტიკო მინეიროდან“.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ზაფხულის ცხელ დღეებში

ედვინ ვან დერ სარი

პეტერ შმაიხელი იშვიათად, მაგრამ შეტევებშიც ჩართულა

ზაფხულში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი — ფეხბურთელებს რომ თავი დავანებოთ, მეკარეებიც გვარიან სიახლეებს გვპირდებიან.

სატრანსფერო სეზონში შესაძლოა სამმა მათგანმა შემოგვთავაზოს სიურპრიზი: აიაქსელი ედვინ ვან დერ სარი, მანჩესტერიუნაიტედელი პეტერ შმაიხელი და მალიორკელი კარლოს როა კლუბების გამოცვლას აპირებენ. ჰოლანდიელი ვან დერ სარის და დანიელი პეტერ შმაიხელისგან განსხვავებით, არგენტინელ როაზე ამბობენ, სულაც ფეხბურთიდან წასვლა განუზრახავსო. ერთი სიტყვით, ზაფხულში ცხელ-ცხელ ამბებს უნდა ველოდეთ.

დაახლოებით ორი თვის წინ ინგლისის ბოლო წლების ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახოვანმა მეკარე პეტერ შმაიხელმა განაცხადა, ინგლისში თამაშით დავიღალე, მზად ვარ, სხვაგან გადავიდეო. იგი აგერ უკვე შვიდი წელია, მანჩესტერელთა ღირსებას იცავს, კლუბთან ერთად უამრავი ჯილდო თუ ტიტული მოიგო და როგორც ჩანს, მართლაც გადაიღალა. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შმაიხელი თითქმის 35 წლისაა და ინგლისში კვირაში დაახლოებით სამჯერ უწევს თამაში, ადვილი მისახვედრია, რომ სკანდინავიელს ნისლიანი ალბიონის საფეხბურთო სამყარო მობეზრდა.

— დავიღალე. ის აღარ ვარ, სამი წლის წინ რომ ვიყავი. დღესდღეობით ასეთ დატვირთვებს ველარ ვუძლებ და მირჩევნია, მანამ წავიდე, სანამ ამას მაიძულებენ. ძალიან მიჭირს „მანჩესტერთან“ განშორება, მაგრამ რა ვქნა. ასე აჯობებს ჩემთვისაც და კლუბისთვისაც — განაცხადა შმაიხელმა.

ამ განცხადებიდან გავიდა ორი-სამი კვირა და შმაიხელმა დასძინა, სიამოვნებით ვცდიდი ძალას იტალიის ან ესპანეთის საფეხბურთო ლიგებშიო. მიწვევები და თან არაერთი, უმალ გაჩნდა — „რომა“, „ბოლონია“, „მალიორკა“ და კიდევ რამდენიმე კლუბი შმაიხელით მალევე დაინტერესდა. საქმე სერიოზულ საუბრებამდე მიდიოდა და თითქოს ასე სეზონის დასრულებამდე გაგრძელდებოდა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ პრიმერა დივიზიონში მოასპარეზე „ესპანიოლმა“ არც აცია, არც აცხელა და ოლდტრეფორდელებთან ხალხი აფრინა შმაიხელის გადაბირების თაობაზე.

— ჩვენ კარგი მეკარე გვესაჭიროება და ძალიან მოხარული ვიქნები, თუ შმაიხელი ჩვენთან გადმოვა. „ესპანიოლს“ აკლია ძლიერი ფეხბურთელები, შმაიხელს კი დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერად მივიჩნევ — „ესპანიოლის“ პრეზიდენტ დაინელ სანჩეს ლიბრეს სამომავლოდ დიდი კლუბის შექმნა აქვს განზრახული, საამისოდ კი უკვე დიდი ხანია, იღწვის.

ინგლისში შმაიხელის წლიური გასამრჯელო რამდენიმე მილიონი გირვანქით განისაზღვრება. იტალიური „რომა“, „ბოლონია“ და „უდინეზე“ დანიელ მეკარეს ორწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ დაახლოებით 2-2 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. ბარსელონას „ესპანიოლს“ იმედი აქვს, რომ შეძლებს შმაიხელთან საერთო ენის გამონახვას და ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების გაფორმებას.

დავუშვათ, რომ პეტერ შმაიხელი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წავიდა. ვინ შეცვლის მას? ნაკლებ სავარაუდოა, რომ ალექს ფერგიუსონმა გუნდის კარი ჰოლანდიელ რაიმონდ ვან დერ გოუს მიანდოს. რაც უნდა იყოს, ვან დერ გოუ ნამდვილად არაა იმ დონის, მუდამ გამარჯვებისთვის მებრძოლი კლუბის მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებდეს. მაინც, ვინ შეცვლის პეტერ შმაიხელს?

დღესდღეობით ორი გამოკვეთილი კანდიდატია — არგენტინელი კარლოს როა და ჰოლანდიელი ედვან ვან დერ სარი.

არგენტინელით დავიწყოთ. კარლოს როა კარგი მეკარეა, საიმედო, მაგრამ უცნაური პიროვნებაა. ძალიან, ძალიან მორწმუნეა. გაზაფხულზე როამ განაცხადა, რელიგიური მოსაზრებების გამო სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთს უნდა შევეშვაო. მისი თქმით, პოპულარობა და ყოველივე ამგვარი რამ ეშმაკეულია და მისგან განრიდებას ამჯობინებს. რამდენიმე ხნის წინ როამ საერთოდაც გააკვირვა ხალხი და ბევრი თავის სულიერ გაწონასწორებულობაში დააეჭვა — მან განაცხადა, ხილვები მქონდა, 2001 წელს სამყაროს დასასრული დგება და მირჩევნია, ცხოვრების დარჩენილი დრო ლოცვებში გავატაროო.

და ყველაფრის მიუხედავად, „მანჩესტერ იუნაიტედს“ როას შეძენა სურს.

— ჩვენ რამდენიმე კანდიდატურა განვიხილეთ და გადავწყვიტეთ, არჩევანი როაზე შევაჩეროთ. ვფიქრობ, იგი შეძლებს შმაიხელის სრულფასოვან შეცვლას. ძლიერი მეკარეა, საიმედო... — „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელმა დირექტორმა მაიკლ ფორესტმა როას შეძენაზე ოფიციალური განცხადება ერთი კვირის წინ გააკეთა.

ისე, ძნელი სათქმელია, რამდენად კარგად შეცვლის როა შმაიხელს, მაგრამ მასავით ტანსრული რომაა, ფაქტია.

მოგეხსენებათ, 26 მაისს ბარსელონაში ჩემპიონთა თასის ფინალი იმართება. „მანჩესტერ იუნაიტედი“ კატალონიაში რამდენიმე დღით ადრე ჩავა. სწორედ მაშინ შეხვდებიან კლუბის წარმომადგენლები კარლოს როას და გადაწყდება, გადავა თუ არა არგენტინელი მეკარე „ოლდ ტრეფორდზე“.

როას დარად, ჰოლანდიელ ედვინ ვან დერ სარსაც დიდი შანსი აქვს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში ჩადგეს. ამ სეზონის დასრულებისთანავე ვან დერ სარს „აიაქსთან“ კონტრაქტი უმთავრდება და თავისუფალი აგენტის სტატუსით სხვაგან სატრანსფერო თანხის გარეშე წასვლა შეეძლება. ამბობენ, მეკარე ამსტერდამში რჩებაო, მაგრამ ძალიან საეჭვოა, ასე მოხდეს — დღესდღეობით „აიაქსი“ იმ დონის კლუბი არაა, ვან დერ სარის მოთხოვნები დაკმაყოფილოს. თუ ჰოლანდიელ ჟურნალისტებს ვენდობით, „აიაქსში“ დარჩენის შემთხვევაში ვან დერ სარი, როგორც მეკარე, მოკვდება.

— ალბათ, კლუბს სეზონის მიწურულს დავტოვებ. ჰოლანდიაში რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოვიგე. აქ ბევრს მივაღწიე. ახლა სხვაგან ვცდი ბედს. ჩემთვის ასე აჯობებს — განაცხადა ვან დერ სარმა. ჰოლანდიაში მან მართლაც ყველაფერს მიაღწია: ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ისევე როგორც თასი, რამდენჯერმე მოიპოვა. გარდა ამისა, „აიაქსთან“ ერთად ჩემპიონთა, უეფას, ევროპის სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასები აღმართა. მიღწევები მართლაც რომ შთამბეჭდავია.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჰოლანდიელ მეკარეს შარშან დაადგა თვალი. გუნდი მის გადაბირებას გეგმავდა, მაგრამ ეს გაზაფხულამდე არ გაამხილა. განაცხადა თუ არა „მანჩესტერმა“, ვან დერ სარის შეძენა მსურსო, „ბარსელონამაც“ აიმაღლა ხმა — თურმე ნუ იტყვით და, ისედაც ჰოლანდიელებით გადაჭედილ „ბარსელონას“ ედვინ ვან დერ სარის ყიდვაც მოუწადინებია. ცნობისთვის: ამსტერდამის „აიაქსი“ ვან დერ სარის სანაცვლოდ რვა მილიონ დოლარს ითხოვს.

სამი დღის წინ ვან დერ სარის მსურველთა კლუბებს რომის „ლაციო“ შეემატა. მოგეხსენებათ „ლაციოს“, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს ჩემპიონთა ლიგის საგზური და სურს, ლიგაში თავი არ შეირცხვინოს. რომაული კლუბის ხელმძღვანელის აზრით, ვან დერ სარი მათი კლუბისთვის ზედგამოჭრილია. „ლაციოს“ წარმომადგენელმა ლუიჯი ფერონიმ განაცხადა, თუ იგი ჩვენთან გადმოვა, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე მეკარე გახდებაო.

ერთი სიტყვით, ზაფხულში ამ სამი ცნობილი მეკარის (თუ მეტი არა) ირგვლივ დიდი ამბები ატყდება. იქნებ ზემოთქმული რამდენიმე პროგნოზი ახდეს კიდეც, მაგრამ თუ არ ახდება, ვფიქრობთ, გული ძალიანაც არ დაგვწყდება. ჩვენ ხომ წინასწარმეტყველება არც გვიფიქრია.

ირაკლი ილაშვილი

ხსოვნა

Torino Calcio

ტორინო 1:1 ვარსკვლავები

1:0 ფატორი (28), 1:1 ფაბიო ჟუნიორი (65)

ტორინო: პასტონე (კასაცა 46, სორენტინო 76), ბონომი (კომოტო 77), კრავეერო (ფატორი 18, მინოტი 46), მეძანო (კუდინი 25, ჩიტერიო 76), კრიპა (პარეტე 46), სანა (ჯაგლიანონე 63), შიეცა (სკარჩილი 32, ბრამბილა 46), ბესოტო (სასარინი 25, მეძანო 46), ბარძალეტი 76), პოჯი (ასტა 25, ტრიკარიკო 46), ვიერი (ფერანტე 25, სომესე 46), ლენტინი (არტისტიკო 32, ლოპესი 63)

ვარსკვლავები: მარკეჯანი (სკარპი 46), კამარა (რინალდი 46), ვერხოვოდი (ნეკრუზი 46), ფრეზი (ლუპი 46, ლასისი 57), მალდინი (პარამატი 46), შენარდი (ლატუზო 44), დი ბიაჯო (მაცოლა 68), ვალემი (ნაკატა 29, ბეკია 56), ძამბროტა (მაკელარი 56), რონალდო (ვეა 21, ფაბიო ჟუნიორი 61), რ. ბაჯო (რეკობა 25, დე ნაპოლი 50, ფ. ინძაგი 66)

მსაჯი: ტრენტალანგი

ხალხს უხაროდა და ამავე დროს ნანობდა. უხაროდათ იმიტომ, რომ ნახევარი საუკუნის წინ დაღუპული დიდებული „ტორინოს“ ხსოვნას ბრწყინვალედ მიაგეს პატივი, რომ ყველას ახსოვს დიდი გუნდი... ნანობდნენ იმიტომ, რომ ის შესანიშნავი ფეხბურთელები ასე უდროოდ და ტრაგიკულად წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ასე რომ არ მომხდარიყო, ასეთი, თუნდაც შესანიშნავი შეხვედრის ორგანიზება საჭირო არ გახდებოდა.

...ტურინის კათედრალურ ტაძარში დაღუპულ ფეხბურთელთა სულების მოსახსენებლად პარაკლისი გადაიხადეს. უამრავი ხალხი შეიკრიბა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლუჩანო ნიცოლადან დაწყებული „ტორინოს“ უბრალო ქომაგით დამთავრებული. იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავები, დიდმოხელენი იქ იყვნენ. ლოცულობდნენ სუპერგას მთაზეც, პატარა ეკლესიაში. ლოცულობდნენ იქ, სადაც ტრაგიკული შემთხვევა მოხდა.

„ტორინოს“ ახლანდელ შემადგენლობასა და იტალიის ჩემპიონატში მოთამაშე ვარსკვლავთა შეხვედრის დაწყებამდე პატარა ბიჭების ტურნირი გაიმართა. შეჯიბრი „ტორინოს“ გუნდმა მოიგო, დაახლოებით საათნახევრის შემდეგ კი საქველმოქმედო სანახაობა დაიწყო.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თამაშში 58 ფეხბურთელი მონაწილეობდა — 31 ტორინოელი და 27 ვარსკვლავი. ყველა მთგანი ცდილობდა, ლამაზად ეთამაშა, ცდილობდა, მაყურებლებისთვის სიამოვნება მიენიჭებინა.

...რამდენიმე დღის წინ 40-იანი წლები დიდებულ „ტორინოს“ ფეხბურთელმა საურო ტომამ თქვა, სუპერგაზე აუცილებლად ავალ და მეგობრებს სანთელს ავუნთებო. 5 მაისს საურო ტომა, ალბათ, სუპერგას ეკლესიაში ლოცულობდა.

ლაშა გოდუაძე

ასე გაიხსნა ინგლარიში

სპორტელის არქივიდან

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი ჯანლუკა ვიალი

თასების მფლობელთა თასი

XXX გათამაშება 1989-90 წლები

სამპდორია

გენუა, იტალია

ლოლიძონ ეყლისაძვილი

UEFA Cup Winners' Cup

სრული ისტორია

იტალიური სეზონი

1990 წლის გაზაფხული განსაკუთრებული იყო იტალიური კლუბებისთვის. სამივე ევროთასის ფინალში ამ ქვეყნის ოთხი გუნდი მოხვდა. ჩემპიონთა თასის გადამწყვეტ მატჩში „მილანმა“ პორტუგალიურ „ბენფიკას“ მოუგო (1:0), თასთა თასზე „სამპდორიამ“ — ბელგიურ „ანდერლეხტს“ (2:0), უეფას თასზე ტურინის „იუვენტუსმა“ — თანამემამულე „ფიორენტინას“ (3:1, 0:0). ამრიგად, სამივე პრიზი იტალიელებმა მოიპოვეს. ასეთი რამ არც მანამდე და არც შემდეგ ევროთასების ისტორიაში არ მომხდარა.

სპორტელის არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამპას ქომაგთა ფავორიტი რობერტო მანჩინი

სპორტელის არქივიდან



გენუელთა კაპიტანი ლუკა პელეგრინი

გენუის „სამპდორიისთვის“ 1989-90 წლების სეზონი უფრო იღბლიანი გამოდგა. ვიალიმ და კომპანიამ შეძენილი გამოცდილება გამოიყენეს და პრიზი ხელიდან აღარ გაუშვიათ. თუმცა, სანამ „სამპას“ თემას შევეხებით, ცოტა რამ თასის მფლობელზე „ბარსელონაზეც“ ვთქვათ.

იმ წლებში პოლონური კლუბები „ბარსას“ ერთგვარ გამღიზიანებლებად იქცნენ. ასე იყო გასულ ტურნირში, როცა მერვედფინალში კატალონიელებმა მხოლოდ მატჩისშემდგომი პენალტებით მოუგეს პოზნანის „ლეხს“, ასე მოხდა ამჯერადაც — პირველივე წრეში შინ 1:1 ითამაშეს ვარშავის „ლეგიასთან“. თანაც აგებდნენ და რონალდ კუმანის თერთმეტმეტრიანის წყალობით გადარჩნენ.

გუნდის მწვრთნელ იოჰან კრუიფს ხშირად აკრიტიკებდნენ, აქაოდა უცნაური ტაქტიკით, სამი მცველით თამაშობს და საქმეს ვნებსო.

კრუიფი თავისას არ იშლიდა, მომავალშიც ასეთივე ტაქტიკით ვიმოქმედებთო, თუმცა ვარშავაში კუმანი მეოთხე დამცველის ფუნქციას ასრულებდა, „ბარსა“ კი მისთვის უჩვეულო ფეხბურთს თამაშობდა: მე-11 წუთზე კატალონიელთა დანიელმა მიქაელ ლაუდრუპმა გახსნა ანგარიში და მერე მთელი „ბარსა“ საკუთარ ნახევარზე „შეიკეტა“. კრუიფი არ ნაღვლობდა, თამაში უსახური გამოვიდა, მაგრამ შედეგი — დადებითი.

შემდგომ წრეში კრუიფს უფრო დიდი გამოცდა ელოდა. წილისყრამ „ბარსას“ მეტოქედ ბრიუსელის „ანდერლეხტი“ დაასახელა, აად დე მოსის გუნდი. თავის დროზე დე მოსი „აიაქსს“ წვრთნიდა, მერე იძულებული გახდა, წასულიყო და მისი ადგილი კრუიფმა დაიკავა. ამიტომ დე მოსს „დიდ იოჰანთან“ პირადი ანგარიშიც ჰქონდა.

„დღეს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ვიხილე. მართლაც დიდებული საღამო იყო. კრუიფმა და მისმა გუნდმაც სასიამოვნოდ გამაკვირვა. მათ ნამდვილი ფეხბურთი ითამაშეს“ — ასეთი იყო ბედნიერი დე მოსის მატჩისშემდგომი კომენტარი. შინ „ანდერლეხტმა“ იუგოსლავიელი იანკოვიჩისა და დე გრიზის გოლებით 2:0 მოუგო პრიზის მფლობელს.

„კამპ ნოუზე“ საქმე დამატებით დრომდე მივიდა. სალინასმა და ბეგირისტაინმა 57-ე წუთისთვის რიცხობრივი თანაფარდობა აღადგინეს. აქ ყველას 11 წლის წინანდელი ამბავი გაახსენდა, როცა ამავე თასის ამავე ეტაპზე „ბარსამ“ სამბურთიანი დეფიციტი აინაზღაურა და „ანდერლეხტი“ გათამაშებიდან გამოთიშა. მაგრამ ამჯერად ისტორია აღარ განმეორდა. დამატებითში, 97-ე წუთზე, ბელგიელი ვანდერლინდენის გოლი საბედისწერო გამოდგა კრუიფისთვისაც და სტადიონზე მისული 110 ათასი მაყურებლისთვისაც.

ფინალამდე „სამპდორიამ“ არაერთი ძნელი ბრძოლა გადაიტანა და ყველგან გამარჯვებული გამოვიდა. „დორტმუნდის“ და „მონაკოს“ ტურნირიდან გამოთიშვა ამის დასტურია. ჩინებულ ფორმაში იყო გენუელთა შემტევი ჯანლუკა ვიალი. ტურნირში მან ყველაზე მეტი 7 ბურთი გაიტანა, მაგრამ აქედან ორი უმნიშვნელოვანესი გამოდგა. გიოტებორგში, გადამწყვეტი მატჩის დამატებით დროში, მან სამი წუთის შუალედში ორჯერ შეძლო „ანდერლეხტის“ კარის დალაშქვრა.

დე მოსი თამაშამდე მაყურებელს თანაბარ ბრძოლას ჰპირდებოდა, მაგრამ ეს სიტყვები მხოლოდ დამატებით დროში გამართლდა. მანამდე „სამპდორია“ აშკარად ჯობდა მოწინააღმდეგეს და მეკარე დე ვილდეს ფანტასტიკური თამაში რომ არა, ალბათ, ყველაფერი მალევე მოთავდებოდა.

იტალიელებს შესვენებამდე ორჯერ შეეძლოთ გატანა. ჯერ ვერხოვოდის დარტყმული სასწაულით მოიგერია მეკარემ, მერე მანჩინიმ დე ვილდეც მოატყუა და ცარიელ კარში ურტყამდა, მაგრამ საიდანღაც გამოჩენილმა მცველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

მოთამაშეები არც უხეშობას ერიდებოდნენ. შვეიცარიელმა არბიტრმა მანჩინი და კარბონი გააფრთხილა, მერე ყვითელი „ანდერლეხტის“ ნიგერიელ დამცველს კეშისაც აუფრიალა, რომელიც უკნიდან უხეშად ეთამაშა ვიალის. დღევანდელ პირობებში ნიგერიელს აუცილებლად გააძევებდნენ. მაშინ კი აპატიეს.

სამპდორიელები მეორე ტაიმშიც უფრო ლამაზად თამაშობდნენ. იმავე მანჩინიმ კიდევ ერთი ნაღდი შანსი ვერ გამოიყენა.

ბრიუსელელების ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი კი მათი ისლანდიელი ლეგიონერის გუდიონსენის დარტყმა გახლდათ. გუდიონსენმა ძირითადი დროის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე კინაღამ გაიტანა. მიმომხილველების აზრით, ამ შემთხვევაში თასი, ალბათ, „ანდერლეხტს“ დარჩებოდა და ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა.

საინტერესო ამბავი კი მოხდა, იტალიელებმა მაშინ გაიტანეს ბურთები, როცა ძალაგამოცლილნი ძლივს უმკლავდებოდნენ მეტოქეს: „სწორედ ამიტომაც უფრო მიხარია. ჩვენ მაშინ გავტეხეთ ბელგიელები, როცა ძალიან გვიჭირდა. მანამდე მინიმუმ ხუთჯერ მაინც უნდა გაგვეტანა. ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ და ეს დამატებითი სტიმული იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ“ — თქვა ნამატჩევს ვიალიმ (სტიმული სტიმულად, მაგრამ ერთ თვეში იტალია საკუთარ ქვეყანაში გამართულ მსოფლიოს თასზე მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. ტურნირის გმირი კი ვიალის თანაგუნდელი ტოტო სკილაჩი გახდა).

„ეს ბრწყინვალე გამარჯვებაა — დასძინა „სამპას“ იუგოსლავიელმა მწვრთნელმა ვუიადინ ბოშკოვმა — მანჩინიმ შესანიშნავად ითამაშა, ვიალის ფანტასტიკური გოლები კი არასდროს დამავიწყდება“.

ვიალიმ ჯერ კიდევ ნახევარფინალში „მონაკოსთან“ ოთხიდან ორი ბურთი შეაგდო, მანამდე კი კარგა ხანს ტრავმას იშუშებდა და ქვეყნის ჩემპიონატის მხოლოდ სამ ტურში ითამაშა.

96-ე წუთზე მინდორზე ახლადშესულმა სალსანომ ბურთი მეტოქის კარის ძელს მოარტყა. მალე სიტუაცია განმეორდა. ისევ სალსანოს. დარტყმა და ძელი, მაგრამ ამჯერად ასხლეტილ ბურთზე ვიალიმ ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა. სამ წუთში მარჯვენა ფრთაზე გათამაშებულ კომბინაციას იმავე ვიალის უძლიერესი თავური და მეორე გოლი მოჰყვა.

„ფინალის წაგება ყოველთვის ძნელი გადასატანია, მაგრამ დღეს ჩვენ თავაწეულებმა დავტოვეთ მინდორი. „ანდერლეხტს“ არაფერი დაუთმია და რომ არა მეტოქის შესანიშნავი ფორვარდები, საკითხავია, ვინ გაიმარჯვებდა“ — ეს სიტყვები დე მოსს ეკუთვნის. მწვრთნელს, რომელსაც ორი წლის წინ „მეხელენთან“ ერთად ერთხელ უკვე მოეგო თასთა თასი.

ბოშკოვის „სიმპდორიამ“ კი განსაკუთრებული ადგილი დაიკავა იტალიური ფეხბურთის მატიანეში. დღესაც კი ბქაური მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ვიალი — მანჩინის მსგავსი თავდასხმის ხაზი კალჩიოს ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელია.

თუ ლეგიონერებს არ ჩავთვლით, ასეთი მოსაზრება სიმართლესთან ახლოსაა.

სპორტელის არქივიდან

სამპდორია 1990 წელს. მარცხნიდან ზედა რიგში: მასაჟისტი მარკი, ვიალი, სერეზო, კატანეცი, მანინი, პელეგრინი, ბრედა, მასაჟისტი დიმი; შუა რიგში: პალიუკა, ლანა, დოსენა, მეორე მწვრთნელი პეცოტი, მწვრთნელი ბოშკოვი, ფიზმომზადების მწვრთნელი ფოკარდი, ლომბარდო, კარბონი, ნუკიარი; სხედან: ვიქტორი, ინვერნიცი, სალსანო, პარი, მანჩინი, ვერხოვოდი

წინასწარი წრე

ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) — **დინამო** (ტირანა, ალბანეთი) 3:1, 0:4

პირველი წრე

ანათინაიკოსი (საბერძნეთი) — სუონსი (უელსი) 3:2, 3:3; **ანდერლეხტი** (ბელგია) — ბოლიმნა (ჩრდ. ირლანდია) 6:0, 4:0; ბრანი (ნორვეგია) — **სამპდორია** (იტალია) 0:2, 0:1; ბუშიკთაში (თურქეთი) — **დორტმუნდი** (გერ) 0:1, 1:2; **ბარსელონა** (ესპანეთი) — ლეგია (პოლონეთი) 1:1, 1:0; უნიონი (ლუქსემბურგი) — **იუვენტუსი** (შვეიცარია) 0:0, 0:5; **პარტიზანი** (ბელგრადი, იუგოსლავია) — სელტიკი (შოტლანდია) 2:1 (მოსტარი), 4:5; სლოვანი (ჩეხოსლოვაკია) — **ბრასპოპერი** (შვეიცარია) 3:0, 0:4 დდ; ბელენენსეში (პორტუგალია) — **მონაკო** (საფრანგეთი) 1:1, 0:3; ვალიური (ისლანდია) — **დინამო** (ბერლინი, გდრ) 1:2, 1:2; **ვალიადოლიდი** (ესპანეთი) — ჰამრუნ სპარტანსი (მალტა) 5:0, 1:0; დინამო (ტირანა) — **დინამო** (ბუქარესტი, რუმინეთი) 1:0, 0:2; **ბრონინგენი** (ჰოლანდია) — იკასტი (დანია) 1:0, 2:1; **ფერენცვაროში** (უნგრეთი) — ჰაკა (ფინეთი) 5:1, 1:1; **ადმირა ვაკერი** (ავსტრია) — აელ (კვიპროსი) 3:0, 0:1; **ტორპედო** (მოსკოვი, [illegible]) — ჯოჯუ სიტი (ირლანდია) 5:0, 1:0

მეორე ფინალი

გრონინგენი — **პარტიზანი** 4:3, 1:3; **ადმირა ვაკერი** — **ფერენცვაროში** 1:0, 1:0 (შეკვდ); **დორტმუნდი** — **სამპდორია** 1:1, 0:2; **ანდერლეხტი** — **ბარსელონა** 2:0, 1:2 დდ.; **მონაკო** — **დინამო** (ბერლინი) 0:0, 1:1 დდ.; **ვალიადოლიდი** — **იუგორდენი** 2:0, 2:2; **პანათინაიკოსი** — **დინამო** (ბუქარესტი) 0:2, 1:6; **ტორპედო** — **ბრასპოპერი** 1:1, 0:3

მეოთხედფინალი

სამპდორია — **ბრასპოპერი** 2:0 (*ვერხოვოდი, მაიერი 1:1*), 2:1 (*სერეზო, ლომბარდო; ვიალი*)

ვალიადოლიდი — **მონაკო** 0:0, 0:0 პენ. 1:3

დინამო (ბუქარესტი) — **პარტიზანი** 2:1 (*რადუჩიოუ 2; სპასიჩი*), 2:0 (*ტიტოვადე; ლუპეასკუ, რადუჩიოუ*)

ანდერლეხტი — **ადმირა ვაკერი** 2:0 (*დეგრიზი 2*), 1:1 (*ნილისი; როდაქსი*)

ნახევარფინალი

მონაკო — **სამპდორია** 2:2 (*კეკა, დიოსი; ვიალი 2*), 0:2 (*ვერხოვოდი, ლომბარდო*)

ანდერლეხტი — **დინამო** (ბუქარესტი) 1:0 (*ნილისი*), 1:0 (*ანდერლინდენი*)

ფინალი. გიოტებორგი. 9 მაისი. 20 103 მაყურებელი

სამპდორია 2:0 ანდერლეხტი (0:0 დდ)

1:0, 2:0 ვიალი (104, 107)

სამპდორია: პალიუკა, მანინი, კარბონი, პარი, ვერხოვოდი, ლ. პელეგრინი, ინვერნიცი (ლომბარდო 55), კატანეცი (სალსანო 92), ვიალი, მანჩინი, დოსენა

ანდერლეხტი: დე ვილდე, გრიუნი, მარშელი, კეში, კოიმანი, მუსონდა, ვერვოორტი, გუდიონსენი, დე გრიზი (ნილისი 102), იანკოვიჩი (ოლივერა 116), ვანდერლინდენი

მსაჯი: გალერი (შვეიცარია)

ვლოცულობ და ვმუშაობ

„მარსელის“ კოტ დ'ივუარელი მცველი სირილ დომორო ცხოვრებაშიც ისეთივე მშვიდი და აუღელვებელია, როგორც მინდორზე. გაჰდება თუ არა ივი წლეულს საფრანგეთის ჩემპიონი, ძნელი სათქმელია. ერთი კი უკვე ცხადია — მომავალ სეზონში დომოროს ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ უწერია. ამას კი უბრალო მიზეზი აქვს — აფრიკელი ფეხბურთელი გაისიდან მილანის „ინტერის“ ღირსებას დაიცავს, იტალიის ამ გუნდს კი კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში მონაწილეობის შანსი აღარ აქვს. დღეს გთავაზობთ ფრანგულიდან ნათარგმნ ინტერვიუს ჯერ კიდევ „მარსელის“ მცველთან.

— სირილ, იგრძნობა, რომ „ოლიმპიკი“ ჩვეულად ვეღარ თამაშობს, ყოველი ქულის მოპოვება სულ უფრო და უფრო გიძნელდებათ. შენი აზრით, ეს რისი ბრალია?

— „ლიონთან“ ნაღდად ტყუილად დავკარგეთ ქულები. ფაქტობრივად იმ ტურშივე შეგვეძლო ჩემპიონობის განაღდება. ისეთი მომენტები გავაცუდეთ, რომ ვიხსენებ, ნერვები მეშლება. ლიონელები ქულის ასაღებად გვესტუმრნენ და მიზანს მიაღწიეს კიდეც. ნამდვილად ცუდ ფორმაში ვართ. საჭიროა, ძალების ხელახლა მობილიზება და ჩვეულად ათამაშება. ლანსში 0:4 არ უნდა წაგვეგო. ამას არ ვიმსახურებდით, უბრალოდ, მეტოქეს ძალიან გაუმართლა. ახლა კიდევ „პარი სენ ჟერმენთან“ თითქმის მოგებული მატჩი ბოლო წუთებში დავთმეთ. არ ვიცი, რა მოგვდის.

— თქვენი კონკურენტი „ბორდოც“ უხეიროდ თამაშობს...

— კი, მაგრამ ამ ტურში მშვენივრად მოიგეს ლანსში. ახლა კვლავ ისინი არიან პირველ ადგილზე, ჩვენ კი კვლავაც მდევრების როლში ვართ. ორი მატჩიღა დაგვრჩა. ორივე გადამწყვეტია. იმედი მაქვს, 6 ქულას ავიღებთ, „ბორდო“ კი ერთ ფრეს მაინც „გაიხერხებს“.

— 12 მაისს უეფას თასის ფინალშიც ისევ „დაღლილები“ ხომ არ იქნებით?

— არა. ეს სირთულეები მალევე უნდა გადავწყვიტოთ. მოსკოვის თამაშს მთელი სერიოზულობით ვეკიდებით და მომზადებულნიც უმაღლეს დონეზე ვიქნებით, რადგან ევროტურნირის ფინალში თამაში ყოველდღიური საქმე არაა. პსჟ-სთან მარცხს უცებ მივცემთ დავიწყებას, თუმც შეცდომების გამოსასწორებლად მუხლჩაუხრელად ვიმუშავებთ. დროც გვაქვს. იმედია, „პარმას“ დამარცხებას შევძლებთ.

— გასულ ოქტომბერს „მარსელი“ ძალიან ძლიერად თამაშობდა. ამჟამად იმ გუნდის აჩრდილიღა ხართ. რა ხდება?

— მიჭირს ამას სწორი ახსნა მოვუძებნო. ფიზიკური ჩავარდნა ყველას აქვს სეზონის რომელიმე მონაკვეთში, ასეა, ალბათ, ჩვენ შემთხვევაშიც. აქვე დავამატებ, რომ გუნდი ამ ჩავარდნამ ვერ გატეხა და ყველა ისევ მთელი ძალით ვიბრძოლებთ საფრანგეთის ჩემპიონის ოქროს მედლებისა და უეფას თასისთვის. სეზონის დამთავრებამდე სამი თამაშიღა დაგვრჩა. „მარსელის“ ყველა გულშემატკივარს, როგორც ჩემი, ასევე ყველა დანარჩენი ფეხბურთელის სახელით ვპირდები, სამივეს უმაღლეს დონეზე ჩავატარებთ.

— როგორ ფიქრობ, შენთვის წლევანდელი სეზონი საუკეთესოა?

— თამაშის ხარისხი საგრძნობლად გავაუმჯობესე. შეიძლება ითქვას, მართლაც საუკეთესო სეზონს ვატარებ. ამაში კი უდიდესი წვლილი მიუძღვის ლორან ბლანს. მას უსიტყვოდ ვუგებ. ამ დიდი ფეხბურთელის მხარდამხარ თამაში უდიდესი სიამოვნებაა.

— შენი თამაშისას თვალში საცემია სიმშვიდე, რაც ძალიან ძნელი მისაღწევია...

— საკუთარი თავის გაკონტროლება კარგად შემიძლია. ვიცი, რომ ნერვიულობით მხოლოდ საქმეს გავაფუჭებ, მოგებით კი ვერაფერს მოვიგებ. გარდა ამისა, ძალიან მეხმარება ლოცვა. ეს საუკეთესო საშუალებაა სტრესებისგან თავის დასაღწევად და შინაგანი სიმშვიდის მისაღწევად.

— მომავალ სეზონს მილანის „ინტერში“ დაიწყებ. როგორ შეეგუები მსოფლიოში ყველაზე დაძაბულ ჩემპიონატს?

— ჩემი თავის იმედი ყოველთვის მქონდა. „ინტერში“ წარმატების მისაღწევად მივდივარ. საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენის მშვენიერი შესაძლებლობა მეძლევა. იტალიის ჩემპიონატი უფრო რთულია, ვიდრე საფრანგეთისა, მაგრამ მჯერა, ჩემს სიტყვას იქაც ვიტყვი, რა თქმა უნდა, თუ ღმერთიც დამეხმარება.

თარგმნა გაგი გურულმა

ტიტი კამარა (მარცხნივ) და სირილ დომორო



ზინედინ ზიდანი კვლავ ამ მაისურით ითამაშებს

მე ვრჩები!

ნუთუ აღარ უნდა დასრულდეს მითქმა-მოთქმა? ნუთუ აღარ უნდა დადგინდეს დამრჩენ-წამსვლელთა ვინაობა? რატომ წერს ყვითელი პრესა ყოველდღე ახალ-ახალ, ურთიერთგამომრიცხავ ამბებს?

— დავიღალე. ამდენი აღარ შემიძლია. ყოველდღე ათობით ადამიანი მიკავშირდება, ზოგი „იუვენტუსში“ დარჩენას მთხოვს, ზოგი მევედრება, არსად წავიდე. არიან ისეთებიც, პირდაპირ მოღალატეობაში რომ მდებენ ბრალს. ჩემს ირგვლივ მითქმა-მოთქმა არ წყდება. მინდა, ერთხელ და სამუდამოდ გაიგოთ, რომ არსად წასვლას არ ვაპირებ. მინდა, იცოდეთ, რომ მომავალ სეზონს „იუვენტუსში“ შევხვდები. მე ტურინის დატოვებას წლეულს არ ვაპირებ — ზინედინ ზიდანი დაიღალა ერთი და იმავეს გამეორებით.

ათასგვარ ჭორს მსოფლიოს 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ასე პასუხობს — „მე „იუვენტუსში“ ვრჩები.

რამდენიმე კვირის უკან ფრანგი ფეხბურთელის ესპანელმა მეუღლემ, ვერონიკამ, დაიჩივლა ტურინში ცხოვრება მომბეზრდა, სამშობლოში დაბრუნება მწადიაო. მალე ზიდანს რამდენიმე კლუბმა მიმართა წინადადებით, მათ შორის კი ყველაზე მეტად ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ აქტიურობდა. ინგლისურ პრესასაც სწორედ ეს უნდოდა და თითქმის ყოველ კვირას ახალ-ახალი ამბები ქვეყნდებოდა. დაირხა ხმები, თითქოს ზიდანს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისური დღე-დღეზე უნდა მოერგო. მერე ამბობდნენ, „იუვენტუსი“ არ უშვებს მსოფლიოს ჩემპიონსო. მერე „აიდანლაც ზიდანის ბაინქვამი ჟამნდა — ოლდტრაფორდელებს სიამოვნებით შეკეთებდნენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ფრანგი ფეხბურთელი იძულებული გახდა, ხმამაღლა ეთქვა, „იუვენტუსში“ ვრჩები, არსად მივდივარო. ეგეც არ იყოს, ზიდანის მოსიყვარულე მეუღლე ვერონიკას უთქვამს, ინგლისში ცხოვრება გამიჭირდებაო.

ისე, ზიდანის ცხოვრებაში ვერონიკა არცთუ ისე უმნიშვნელო როლს თამაშობს. თავად ზიდანიც ერთობ ყურადღებიანია ოჯახის მიმართ.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარიანტი გამოირიცხა, მაგრამ პრესამ მაინც არ მოისვენა და ახლა ესპანეთიდან შეუტია ფეხბურთელს. ესპანური ვარიანტი უფრო ხელმოსაჭიდი ჩანდა — ვერონიკა ესპანელია, თან მას მადრიდში ანაც ბარსელონაში ცხოვრება ერჩივნა ტურინში, ინდუსტრიულ ქალაქში ყოფნას.

— ჩემთვის ოჯახი ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია. დღესდღეობით, ღმერთის შეწევნით, მაქვს იმდენი ფული, თავი დამოუკიდებელ, თავისუფალ ადამიანად ვიგრძნო და ჩემი ცხოვრება ისე წარვმართო, როგორც მსურს. თუ ჩემს ოჯახს ტურინში არ მოსწონს, თუ ჩემი შვილები, მეუღლე აქ თავს კარგად ვერ გრძნობენ, მირჩევნია, იქ წავიდე, სადაც ოჯახთან ერთად ბედნიერი ვიქნები — განაცხადა ზიდანმა რამდენიმე ხნის წინ.

ეს განცხადება იყო და მადრიდის „რეალი“ ზიდანით სერიოზულად დაინტერესდა. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ ბებერი ქალბატონის უფროსობას თხოვნით მიმართა, რამენაირად შევთანხმდეთ და ზიდანი დაგვითმეთო. „რეალი“ თითქოსდა წარმოუდგენელ წინადადებაზე წავიდა — ზინედინ ზიდანის ნაცვლად „იუვენტუსს“ კლარენს ზეედორფს, რობერტო კარლოსს და ორ-სამ მილიონ დოლარს აძლევდა. ერთი შეხედვით საინტერესო წინადადებაა, მაგრამ ტურინული კლუბისთვის ზიდანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მადრიდელთა წინადადებაზე უარი თქვა.

რამდენიმე დღის წინ თავად ფეხბურთელმაც უარყო „რეალ“ — „იუვენტუსის“ გარიგების შესახებ გავრცელებული ხმები. მართალია, მეუღლეს ტურინში ცხოვრებას მადრიდში ყოფნა უჯობს, მაგრამ პრობლემა იმდენად აქტუალური არ არის, ერთი ამბავი ატყდესო.

რაღა ვთქვათ? ზიდანი, მსოფლიოსა და ევროპის 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, მინიმუმ ერთი წლით „იუვენტუსში“ რჩება. ამას წყალი არ გაუვა.

მომავალს რაც შეეხება, ამაზე მერე იყოს.

ირაკლი ილაშვილი

მითსარით, ვინ იქნება მასპინძელი?

ეგვიპტე აღარაა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატი.

— ჩვენგან ყველაფერი ნათელია. ეგვიპტე მსოფლიოს პირველობას აღარ უმასპინძლებს — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სამირ ზაჰერმა.

აფრიკის ამ ქვეყანაში სწამდათ, რომ ფიფა მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების უფლებას ეგვიპტეს უბოძებდა, მაგრამ ეს უბრალო ხალხს ეგონა, იქ, მთავრობაში კი ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. ხელისუფლებამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას წამოწყებაში მხარი არ აუბა და ეგვიპტის კანდიდატურაც ამიტომ მოიხსნა.

— ჩვენ ვერ გავაგრძელებთ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლას. როცა ასეთ საქმეში მთავრობა ხელს არ გიწყობს, ფინანსურ მხარდაჭერას არ იჩენს, ძნელია მიზანს მიაღწიო — ისევ ზაჰერი.

მაშ, ასე, მსოფლიოს 2006 წლის პირველობის მასპინძლობისთვის უფლებას ახლა ექვსი ქვეყანა ეცილება ერთმანეთს — ბრაზილია, ინგლისი, გერმანია, ნიგერია, ს. აფრიკა და მაროკო კვლავაც კანდიდატები არიან. ეგვიპტე კი მათ შორის აღარაა. მანამდე უარი განამ განაცხადა.

შავი კონტინენტიდან ბრძოლას ორი ქვეყანა განაგრძობს — სამხრეთ აფრიკა და მაროკო. ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა რამდენიმე ხნის წინ ბრძანა, აფრიკას უკვე ძალუძს ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლობაო. აფრიკელებს ფიფას პრეზიდენტის სიტყვების ძალიან ეიმედებათ.

ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზაჰერმა განაცხადა, რომ ისინი ცალ-ცალკე შეხვდებიან სამხრეთაფრიკელთა და მაროკოელთა დელეგატებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტენ, ვის დაუჭირონ მხარი. სამხრეთაფრიკისთვისაც, ისევე, როგორც მაროკოსთვის, ეგვიპტის ხმა ძალიან მნიშვნელოვანია.

ფიფამ, მსოფლიოს ფეხბურთის განმგებელმა ორგანიზაციამ, ბრძოლას შემორჩენილ ექვს კანდიდატს 31 ივლისამდე მისცა ვადა, რათა მათ ფიფაში მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის პროექტი და სხვა განსახორციელებელი გეგმები წარადგინონ.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელს ფიფა 2000 წლის მარტში დაასახელებს.

ირაკლი ილაშვილი

ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალის კენჭისყრა

06.05.99	ბუენოს აირესი	რივერ პლეიტი (არგენტინა) — ველეს სარსფილდი (არგენტინა)
06.05.99	სან პაულუ	პალმეირასი (ბრაზილია) — კორინთიანსი (ბრაზილია)
06.05.99	მერიდა	ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა) — სერო პორტენო (პარაგვაი)
06.05.99	კალი	დეპორტივო კალი (კოლუმბია) — ბელა ვისტა (ურუგვაი)
12.05.99	ბუენოს აირესი	ველეს სარსფილდი (არგენტინა)— რივერ პლეიტი (არგენტინა)
12.05.99	სან პაულუ	კორინთიანსი (ბრაზილია) — პალმეირასი (ბრაზილია)
12.05.99	ასუნსიონი	სერო პორტენო (პარაგვაი) — ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა)
12.05.99	მონტევიდეო	ბელა ვისტა (ურუგვაი) — დეპორტივო კალი (კოლუმბია)

5 მაისი
თბილისი
ვერის ბაღი
27 ტური

სტუ 82:81 დინამო

I ტაიმი 45:41

სტუ: გაგნიძე (5), ჩხეიძე (12), ნაცვლიშვილი (12), ცქიტიშვილი (17), ოთიურიძე (13); ჩერქეზიშვილი (2), ლოსაბერიძე (12), მინაშვილი (9), მიქაძე

დინამო: ნიკოლაძე (10), მაისურაძე (29), ვაშაკიძე (10), აბულაძე (9), ნინიაშვილი (1); ხოშტარია (16), შანიძე (6)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

საქართველოს ჩემპიონატი
31 ტური

აზოტი	31	30	1	2803:2267	61
ვითა(-1)	31	24	7	2284:1986	54
სტუ	29	21	8	2381:2232	50
დინამო	31	19	12	2461:2342	50
თსუ	29	18	11	2448:2279	47
სდასუ	28	15	13	2094:2102	43
მაკაბი	30	9	21	2203:2383	39
ასკ	31	4	27	1639:1874	35
კოლხა	29	6	23	2115:2524	35
შევარდენი	31	4	27	2165:2604	15

დინამომ მოგება გააჩუქა



სტუ — დინამო. ცქიტიშვილი (მარცხნივ) და ჩხეიძე (წინა პლანზე) ბურთს ეცილებიან დინამოელებს ნინიაშვილს (№14) და ვაშაკიძეს (მარჯვნივ)

ბოლოს ყველას ერთი რამ ეკერა პირზე, ვერავინ მიმხვდარიყო — როგორ შეძლო გამარჯვებასთან ერთი ხელის გაწვდენაზე მყოფმა „დინამომ“ ამ თამაშის წაგება? საკვირველია პირდაპირ...

მატჩის შემდეგ სიხარულით სახეგაბრწყინებული სტუდენტები იმასაც კარგად ათვითცნობიერებდნენ, თუ რა საჭირო ორი ქულა (თითქმის პლეი ოფში გამსვლელი) მოიპოვეს უშუალო მეტოქის ძლევით, მაგრამ ნუ მიწყენენ და მათ ღვაწლსა და დამსახურებაზე მეტად გუშინ დინამოელთა უფხობა უფრო მენიშნა — გუნდი რო! ასეთ მოსაგებ თამაშს წააგებს, პლეი ოფზეც ხელი უნდა აიღოს.

სანამ ცნობისმყვარეობამოძალებულ მკითხველს ვითარებაში სრულად გაკარკვევდე, ვიტყვი, რომ მატჩის დამთავრებამდე წამით ადრე დინამოელმა ნინიაშვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა ბურთმოხელთებულ ცქიტიშვილს ჯიქურ ეკვეთა და მსაჯებს ყოვლად უადგილო ჯარიმა დასტყუა. ცქიტიშვილმაც შეირგო ეს არცთუ ურიგო „ძღვენი“ და ზუსტი პერსონალურით თავისიანებს გამარჯვება გაუფორმა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რაღა გასაკვირია, რომ შემცოდველ ნინიაშვილს ნამატჩევს მწვრთნელის, ლევან მოსეშვილის რისხვა დაატყდა და სამართლიანადაც, თუმცა დინამოელთა მარცხის მიზეზების რკვევისას მხოლოდ ნინიაშვილზე ჯოხის გადატეხვა, ვფიქრობ, უჩრიანი არ არის — თამაში წაგო არა მარტო მან, არამედ მთლიანად გუნდმა მწვრთნელის თაკკაცობით. მოთამაშეებმა ვერ შეძლეს ელემენტარული რამ — ბურთის 30 წამის განმავლობაში შენარჩუნება, ანუ, საკალათბურთო ენით, ბურთის დაჭერა და დამთავრებამდე 4 წუთით ადრე 10-ქულიანი უპირატესობა დინამოელთ ნაჩქარევმა შეტევებმა მარცხად უქცია. ერთი სიტყვით, გუშინ დინამოელთა „ხელგაშლილობამ“ მაყურებელი გააცა, სულგრძელობამ კი — მეტოქე ახეირა.

შეხვედრა თავიდანვე დაძაბულად მიმდინარეობდა, თუმცა მწვრთნელთა ნაფიქრ-ნააზრევის განჭვრეტა ერთი შეხედვითაც შეიძლებოდა. გუნდებმა პერსონალურ დაცვით ტაქტიკას მიმართეს, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ დავიჩემებ, კარგად გამოსდიოდათ-მეთქი. სამაგიეროდ, მოწინააღმდეგენი შეტევებში მარჯვობდნენ და თითქმის ყველა კომბინაციას წარმატებით აგვირგვინებდნენ.

პირველი ტაქტიკური გადაადგილება სტუ-ს მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა მოახდინა — ჯერ ზონური დაცვა მოსინჯა, მაგრამ ამით რომ ვერას გახდა, თავისიანთა მთავარ მარბიელ ირაკლი მაისურაძეს ჩვენში ერთ-ერთ ძლიერ დაცვით მოთამაშედ მიჩნეული რეზო ჩხეიძე აადევნა. ტაიმის ბოლომდე შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ხშირად ანგარიშიც თანაბარი იყო, თუმცა მინაშვილმა ზედიზედ ორი გარღვევით მაინც სტუ გაიყვანა წინ.

„დინამოს“ გუშინ ცენტრი, „ვითასთან“ შეხვედრაში ხელმოტეხილი ვალერი კილაძე აკლდა, რაც გუნდს განსაკუთრებით შესვენების შემდეგ დაეტყო. სტუდენტები ფარზე გაბატონდნენ და გიგი ნაცვლიშვილის კარგი თამაშის წყალობით სულ მალე 10 ქულით 56:46 ჩამოიტოვეს მეტოქეე. ეგ იყო და სტუ საგრძნობლად მოეშვა, რაც „დინამომ“ არ აპატია და მატჩში გარდატეხა შეიტანა. ფარზე ძალიან გააქტიურდა ვანო აბულაძე, შეტევებს კი უმეტესწილად ირაკლი მაისურაძე აბოლოებდა. ამან უპასუხო 11 ქულა მიითვალა და როცა მას ხოშტარიამაც წააშველა ხელი, „დინამო“ 10 ქულას იგებდა — 77:67. მატჩის დამთავრებამდე კი სულ მხოლოდ ოთხი წუთი რჩებოდა.

ჰოდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველივე ამის შემდეგ „დინამომ“ მაინც მოახერხა წაგება...

გიორგი ბიკაშვილი

NBA — რეგულარული ჩემპიონატი

სტეფანიას საუკეთესო მატჩი

REUTERS შარლოტიდან

შარლოტი — ფილადელფია. ჩაკი ბრაუნი (№52) ფილადელფიელ ალენ აივერსონს (№3) უფარებს

4 აპრილი

სიეტლი 110:100 დალასი

სიეტლი: პეიტონი (24), ჰოკინსი (5), მაკლინი (18), ბეიკერი (15 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), სტეფანია (17 ქულა, 10 მოხსნა); მაკკოი (14), შრეიმპფი (6), კროტი (6), ბერი (5)

დალასი: დევისი (21), ფინლი (34 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ენსტი (2), ნოვიცკი (9), ბრედლი (17 ქულა, 15 მოხსნა); სტრიკლენდი (11), გრინი (11), ვოლკერი (2)

„სიეტლ სუპერსონიქსის“ ბედი ოფიციალურად 3 აპრილს დენვერში, იქაური „ნაგითსისა“ და „საკრამენტო კინგზის“ შეხვერაში გადაწყდა. სიეტლის კონკურენტმა საკრამენტომ ის მატჩი მოიგო და ჩვენებურის გუნდი, პირველად ბოლო ცხრა სეზონში, პლეი ოფის მიღმა დატოვა. ამგვარად სიეტლის დარჩენილი ორი შეხვედრა დალასთან და კლიპერსთან მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. „სუპერსონიქსის“ კრახის შემდეგ ერთადერთი, რაც ამ გუნდის ქართველ ქომაგთ გულს გაგვიხარებდა, ეს ჩვენებურის კარგი თამაში იყო. სიეტლს რომ აღარაფერი ეშველებოდა, ეს გუნდის მწვრთნელ პოლ ვესტფოლს ჩვენზე არანაკლებ კარგად მოეხსენება. ამიტომაც მან მეტის საშუალება მისცა სტეფანიას და ვოვამაც თავის დამრიგებელს დაუმტკიცა, რომ იგი აშკარად შეცდა, როცა სტეფანია ლამის მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე აყურყუტა. მატჩის შემდეგ ვესტფოლს ერთგვარად თავიც უმართლებია, სეზონის დაწყებისას ამდენი ხნით რომ გამეჩერებინა მოედანზე, ექვს პერსონალურს მიიღებდა და გავარდებოდაო. ეს ასეცაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სტეფანიას მხოლოდ მაშინ უწევდა თამაში, როცა არაფერი წყდებოდა. ასე იყო ამ მატჩშიც და ვესტფოლმაც იგი ძირითად ხუთეულში დააყენა, სულ 34 წუთი ათამაშა და არც ინანა.

და რა ქნა სტეფანიამ? ვოვამ ამ 34 წუთში სეზონში უმეტესი, 17 ქულა და 10 მოხსნა შემატა გუნდს. ამ ერთი ათეული მოხსნით ყველას აჯობა გუნდში. ცოტა სტატისტიკაშიც ჩავიხედოთ. ქართველმა არცთუ ურიგოდ ესროლა ბურთები კალათში, თამაშში რვიდან ხუთი ჩააგდო და იმდენი იბორგა, ბლომად პერსონალურები მიაღებინა მეტოქეებს. სულაც მისი დამსახურებაა, რომ დალასის გერმანელმა ლეგიონერმა დირკ ნოვიცკიმ ექვსი პერსონალური მიიღო და 9 ქულას დასჯერდა. საბოლოოდ ვოვას 11 საჯარიმოს სროლამ მოუწია და აქედან 7 კალათში ჩაუშვა. 17 ქულისა და 10 მოხსნის გარდა ქართველის ანგარიშზე ერთი პასიცაა. აღსანიშნავია ისიც, რომ სტეფანია საკმაოდ კორექტული და ყურადღებიანი იყო. ნათამაშებ 34 წუთის განმავლობაში მან მხოლოდ სამი პერსონალური მიიღო და ერთადერთხელ დაკარგა ბურთი. ეს სტატისტიკურად, ისე კი სტეფანია მართლაც კარგი იყო. მან ძირითადი ხუთეულიდან ამოაგდო სიეტლის უცვლელი ცენტრი, ჰაიტელი ოლდენ პოლინაისი და მატჩის დაწყებისთანავე დალასელებს კუდით ქვა ასროლინა. აღსანიშნავია, რომ ვოვას ნოვიცკის გარდა შონ ბრედლის წინააღმდეგაც უწევდა თამაში. ის კი 229-სანტიმეტრიანია, ლიგაში უგრძესი კალათბურთელი. მან ვერ აჯობა ვოვას. სიეტლი მატჩის დაწყებისთანავე დაწინაურდა და მეტოქეს პირველი მეოთხედი 11 ქულით მოუგო, რაშიც ქართველმა ლომის წილი დაიდო და არც მერე შეურცხვენია თავი. მესამე მეოთხედის დაწყებისას მისმა ექვსიოდ მეტრიდან ჩაგდებულმა მატჩში ყველაზე დიდი სხვაობა დაფიქსირა — 65:51. მატჩის შემდეგ ვესტფოლმა ქართველს გარჯა არ დაუკარგა: „იგი გასაოცრად შორს წავიდა. ეს განსაცვიფრებელია უცხოელისაგან, რომელმაც არ იცის ენა და ვერ უგებს ვერც მსაჯებს, ვერც თანაგუნდელებს, ვერც მწვრთნელებს“. თავად სტეფანიამ კი თქვა: „ჩემს თავში დარწმუნებული ვარ, დარწმუნებული ვარ სროლის და პასის მომენტში. მჯერა ჩემი თანაგუნდელების. ძალიან მწყინს, რომ პლეი ოფში ვერ მოვხვდით, მაგრამ ასეთია ცხოვრება“.

რაც შეეხება დალასს, ამ გუნდმა სიეტლთან მატჩით, 19 მოგებით და 31 წაგებით ჩაამთავრა რეგულარული ჩემპიონატი. წინა სეზონში დალასს 20 მოგება ჰქონდა, მაგრამ წლეულს ლოკაუტის გამო ჩემპიონატში თითოეული გუნდის გასამართი მატჩები 82-დან 50-მდე შემცირდა. ასე რომ, ტეხასელთათვის 19 მოგება ურიგო შედეგი სულაც არაა.

პორტლენდი 81:87 სან ანტონიო

პორტლენდი: საბონისი (18 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)

სან ანტონიო: რობინსონი (29 ქულა, 12 მოხსნა)

შარლოტი 117:110 ფილადელფია

(ძირითადი დრო 100:100)

შარლოტი: ჯონსი (28), კემპბელი (18 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)

ფილადელფია: აივერსონი (39), გეიგერი (22 ქულა, 13 მოხსნა)

პიუსტონი 100:83 მინესოტა

პიუსტონი: დიკერსონი (31), ოლაჯუონი (17 ქულა, 13 მოხსნა)

მინესოტა: გარნეტი (18)

იუტა 99:82 კლიპერსი

იუტა: მელოუნი (29 ქულა, 12 მოხსნა, 10 პასი)

კლიპერსი: პიატკოვსკი (18)

იუტას ლიდერმა კარლ მელოუნმა სამმაგი დუბლი გაახერხა, იუტამ კი სეზონი 37 მოგებით დაასრულა. ახლა ჯერი სან ანტონიოზეა. თუ ტიმ დანკანის გუნდმა ამაღამ გოლდენ სტეიტის ძლევა მოახერხა, იუტას გადაუსწრებს და რეგულარული სეზონის ჩემპიონიც ის გახდება.

მილუოკი 99:86 ტორონტო

მილუოკი: ალენი (19)

ტორონტო: კარტერი (26)

ინდიანა 100:78 კლივლენდი

ინდიანა: მილერი (24)

კლივლენდი: ბათლერი (19)

მაიამი 93:79 ატლანტა

მაიამი: მაშბურნი (18)

ატლანტა: სმიტი (21)

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
მაიამი*	33	16	67,3
ორლანდო*	32	17	65,3
ფილადელფია*	27	22	55,1
ნიუ იორკი*	26	23	53,1
ბოსტონი	19	30	38,8
ვაშინგტონი	18	31	36,7
ნიუ ჯერსი	15	34	30,6

ცენტრალური დივიზიონი

ინდიანა*	33	17	66,0
ატლანტა*	30	19	61,2
დეტროიტი*	29	20	59,2
მილუოკი*	28	21	57,1
შარლოტი	25	24	51,0
კლივლენდი	22	27	44,9
ტორონტო	22	27	44,9
ჩიკაგო	13	36	26,5

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა*	37	13	74,0
სან ანტონიო*	36	13	73,5
ჰიუსტონი*	30	19	61,2
მინესოტა*	25	24	51,0
დალასი	19	31	38,0
დენვერი	14	35	28,6
ვანკუვერი	8	41	16,3

წყნარი ოკეანის დივიზიონი

პორტლენდი*	35	14	71,4
ლოს ანჯელესი*	30	19	61,2
ფინიქსი*	26	23	53,1
საკრამენტო	26	23	53,1
სიეტლი	24	25	49,0
გოლდენ სტეიტი	21	28	42,9
კლიპერსი	9	40	18,4

* — *გავიდნენ პლეი ოფში*

კვირის მოთამაშე



გრანტ ჰილი დეტროიტი

დაიბადა: *05.10.1972 დალასში, ტეხასი*
უნივერსიტეტი: *დიუკი '94*
ამპლუა: *ფრთა*
სიმაღლე: *203 სმ*
წონა: *102 კგ*
სეზონი ლიგაში: *5*

წინა კვირაში „დეტროიტ პისტონზმა“ ოთხიდან ოთხი თამაში მოიგო და პლეი ოფშიც მოხვდა. მისმა ლიდერმა გრანტ ჰილმა კი მატჩში საშუალოდ 26,8 ქულა, 8,5 მოხსნა, 5,3 პასი და 2,25 ჩაჭრა გააკეთა. ჰილი საშუალოდ 40,5 წუთს იყო მოედანზე და სროლების 63,1 პროცენტი ჩააგდო (65-დან 41).

კვირის პირველ მატჩში ჰილმა 32 ქულა ჩაუგდო „ბოსტონს“ (92:85). „ნიუ ჯერსისთან“ (101:93) 25 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი გააკეთა. „მილუოკისთან“ (81:76) 15 ქულა იკმარა, სამაგიეროდ „ფილადელფიას“ წინააღმდეგ (100:96) საუკეთესოდ ითამაშა — 35 ქულა, 14 მოხსნა და 7 პასი.

რაც არ იცი...

ტაშკენტიდან დაბრუნდნენ ქართველი ძიუდოისტები — ჯონდო მუზაშვილი (73) და ლევან ციგრიაშვილი. ისინი უზბეკთა ეროვნული ჭიდაობის — კურაშის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. მოგეხსენებათ, მუზაშვილი ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვის. ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი ტაშკენტში მას სწორედ საამისოდ ცდიდა. სამწუხაროდ, ძიუდოისტებმა მწვრთნელს იმედები ვერ გაუმართლეს — ორივე პირველივე წრიდან გამოეთიშა შეჯიბრს. მოკლედ, არა შეჯდა მწყური ხესა... აბა, სად ძიუდო და სად კურაში!

მუზაშვილს ნაკრებში დამკვიდრების შანსი მანამდეც, იტალიის ტურნირშიც მიეცა, მაგრამ ტაშკენტისა არ იყოს, თავი ვერც იქ გამოიჩინა. ის რომში მე-7 ადგილზე გავიდა. თუმც შემამსუბუქებელ გარემოებად პრიზიორებთან მარცხი ჩაეთვალა. ახლა კი ტაშკენტიც...

ვერც მისმა კონკურენტმა გიორგი ვაზაგაშვილმა მოაწონა თავი მწვრთნელს. მას შანსი ცოტა ადრე — მზადების პირველ ეტაპზე მიეცა, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისას. თუმცა რად გინდა — ღირებული ვერაფერი გააკეთა და მუზაშვილის შედეგებს დაელოდა. მის გასახარად, ესეც არანაკლები ხვითო გამოდგა. ამასობაში ფედერაციამ სლოვაკეთში 20-23 მაისს გასამართ ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელი თადარიგიც დაიჭირა და ბილეთებიც დაიჯავშნა. მათ შორის, 73კილოგრამიანისთვისაც. ამდენად, მწკრთნელმა ამ ორში არჩევანი ნაღდად უნდა გააკეთოს. ამას ის საკონტროლო შეხვედრით აპირებს.

ირაკლი თავაძე

დარჩიასთან ძველები დარჩნენ

თუმცა ევროპის ვიცე-ჩემპიონისთვის ნაკრებში ადგილი არ აღმოჩნდა

დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს საგრძნობ ცვლილებებს. უმთავრესი სიახლე და მოულოდნელობა ისაა, რომ ნაკრებში ვერ მოხვდა ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი, სართიჭალელი ხვიჩა ბიჩინაშვილი. დიდი ხნის შესვენების შემდეგ გუნდში დაბრუნდნენ გულიაშვილი და ჩაჩუა, ნიშნიანიძე და გოგელია კი დებიუტანტები არიან. მონაწილე არ გვეყოლება 85-ში.

გულიაშვილსა და ჩაჩუას აგერ უკვე თითქმის წელიწადია, ოფიციალურ ასპარეზზე არ უჭიდავიათ. ამიტომ ცოტა გასაკვირია ნაკრებში მათი შეყვანა. თუმცა თავისი საქმისა მწვრთნელმა უკეთ იცის. ისიც სათქმელია, რომ თავი არც მათ შემცვლელებს გამოუჩენიათ. შარშან გულიაშვილმა ზედა წონაში აინაცვლა, მაგრამ იქ ჩაჩუას ვერაფერი დააკლო, საკუთარ თავს კი — ბევრი. ის ვერც სამსოფლოსჩემპიონატო ნაკრებში მოხვდა — შვედეთშიც ბათუმელი ჯამბულ ფუტკარაძე წავიდა. გულიაშვილი სალიცენზიო მსოფლიოსთვის ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. ამიტომ საქართველოს ჩემპიონატიც გამოტოვა და არც ევროპაზე აპირებდა წასვლას. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ მწვრთნელებიო, ამბობდა. მწვრთნელებმა კი წასვლა გადაუწყვიტეს და ისიც მიდის.

ჩაჩუას ბოლო ხანებში ხელი სტკიოდა. ამან საქარველოს ჩემპიონატიც გააცდენინა და „პრეზიდენტის თასიც" ტაშკენტში — ერთადერთი ტურნირი, რომელშიც „ბერძენ-რომაელებმა" შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ანუ სექტემბრის შემდეგ იასპარეზეს. დარჩიამ ჩაჩუას დონეც, გულიაშვილის დარად, მხოლოდ ვარჯიშებით იცის. მის არყოფნაში ამ წონაში მეორე ბათუმელი ბადრი ანთაძე ლიდერობდა. ისიც და ფუტკარაძეც სწრაფები და ტექნიკურები არიან, მაგრამ უცხოეთში სადაც კი გამოვიდნენ, თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს. პირიქით, თავიანთ შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად იჭიდავეს. გულიაშვილსა და ჩაჩუას საერთაშორისო ტურნირების გამოცდილება არ აკლიათ. დარჩია კი ამტკიცებს, ამჟამად ორივე კარგ ფორმაშია, კონკურენტებსაც აჯობებს და ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვებაც შეუძლიათო, მაგრამ, ეტყობა, მის არჩევანზე გავლენა მათმა გამოცდილებამაც იქონია.

ერთხანს ჯინჭველაშვილმაც მოინდომა წონის შეცვლა, მაგრამ აუტკივარი თავის ატკივებას (რაც შეიძლება ნაკრებში ადგილის დაკარგვად დასჯდომოდა) ისევ წონის დასაკლებად შრომა არჩია.

ყველაზე დიდი და მოულოდნელი ცვლილება, ალბათ, მაინც 76კგ-ში მოხდა. საქاველოს ჩემპიონატზე მელელაშვილი და ბიჩინაშვილი ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ის შეხვედრა ბიჩინაშვილმა მოიგო. შეიძლება ითქვას, დამაჯერებლადაც. თუმცა იმასაც ამბობდნენ, ახალდაქორწინებული მელელაშვილისთვის ეს მაქსიმუმი არააო. ტარიელმაც ამ ხმების საფუძვლიანობა ტაშკენტში დაამტკიცა, სადაც ფინალში ბიჩინაშვილს სძლია. დარჩიას თქმით, აშკარა უპირატესობით. შეკრებაზე მწვრთნელმა ისევ მელელაშვილი ამჯობინა. უკეთეს ფორმაშია და იმიტომო. არადა, შარშან მთელი სეზონი მედალს სწორედ ბიჩინაშვილისგან ელოდნენ. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ მედლის გამოკვეთილ კანდიდატს ამ ნაკრებში ვერ ვხედავ. შეიძლება ითქვას, ფარას ყოჩი გამოაკლდა. თუმცა ეს მხოლოდ ჩემი აზრია და მწვრთნელის საქმეში ჩარევა არც მიფიქრია.

ერთი ხანობა დარჩია ბიჩინაშვილის 85-ში გამწესებას აპირებდა, მაგრამ ბოლოს ესეც გადაიფიქრა, თავს ვერ გაართმევსო. ამ წონის ლიდერი ემზარ მახარაძე ნატკენ წელს იშუშებს, მაგრამ ეს 12 მაისისთვის არანაირად მოესწრება. გაურკვეველია, რატომ არ დააყენა. აქ მწვრთნელმა მუმრან ვახტანგაძე, ეს საქارველოს ჩემპიონატზე ფინალში მახარაძესთან კი დამარცხდა, მაგრამ თითქმის თანაბარ ბრძოლაში. მაშინ მათ შორის დიდი განსხვავება ვერ დავინახე. რაც შეეხება შეკრებას, ვერ გეტყვით, იქ ვახტანგაძე როგორ გამოიყურებოდა.

დარჩიას ყველაზე დიდი საფიქრალი მაინც მძიმე წონამ გაუჩინა. აქ მან ლიდერის გამოსავლენად საკონტროლო შეხვედრა დანიშნა თამაზ გოგელიასა და მირიან გიორგაძეს შორის. გიორგაძე შარშანდელ მსოფლიოზე ჩვენებიდან საუკეთესო გახლდათ — მეოთხე ადგილზე გავიდა (თან, დებიუტანტიც იყო). წლეულს ამ შედეგმა ვერ უშველა და გოგელიასთან ჯერ საქართველოს ჩემპიონატზე წააგო, ახლა კი საკონტროლო შეხვედრაშიც. ამასთან, ორივე თითო ქულით. ახალგაზრდებში მსოფლიოს მეორე პრიზიორმა გოგელიამ ორივე შემთხვევაში უფრო ტაქტიკურად იმარჯვა, ვიდრე ტექნიკურად. რაკი გიორგაძეს ტექნიკურად ჩამორჩება, თაფისი ჭიდაობა კონტრშეტევებზე ააგო და გაუმართლა კიდეც.

მე მგონი, ბეგი დარჩია შარშანდელ ევროპაზე უფრო იმედიანად გაემგზავრა, ვიდრე წლეულს წავა. გასული წლის მსოფლიოს პირველობიდან დაბრუნებული მწვრთნელი ძირეულ რეფორმებს შეგვპირდა, მაგრამ მოვიდა ევროპის ჩემპიონატი და ისევ „ძველ გვარდიას" დაეყრდნო. მისი საუბრიდან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ევროპულ მედლებზე მეტად ოლიმპიური ლიცენზიები აინტერესებს, თუმცა უარს არც მედლებზე იტყვის. ლიცენზიები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიცემა. ალბათ, ევროპასაც სამსოფლიოსჩემპიონატო რეპეტიციად გამოიყენებს. ვინ იცის, ეგებ დარჩია თავს იზღვევს და ძველებს ამიტომ ვერ ელევა.

ირაკლი თავაძე

ჭულუხაძეს ოლიმპიური ჩემპიონის სისხლი მართებს

ხუთჭიდშიც ასეა: ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო

ამ ბოლო ხანს ხუთჭიდელმა დავით ჭულუხაძემ იმდენჯერ შეგვახსენა თავი, რომ მასთან გასაუბრების აუცილებლობა თავისთავად წარმოიშვა. და აი, ვაკეში, ფარიკაობის კეთილმოუწყობელ დარბაზში ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ. ტანად საშუალო, წვეროსანი, სერიოზული იერით. ეს გასაკვირი არცაა: მისი დღის რეჟიმი ხომ ძალიან განსხვავდება მის თანატოლთა ყოველდღიურობისგან. ამ დილითაც, 9 საათზე, იპოდრომზე ცხენოსნობაში ივარჯიშა, მერე კუს ტბაზე ასვლა და სირბილიც მოასწრო, წუთი წუთზე კი ფარიკაობაც დაეწყება. არადა, ჯერ 12 საათიც არაა. დღესვე უნდა ივარჯიშოს ცურვაშიც. ამასთან, დათო სასიამოვნო, დახვეწილი მოსაუბრეა, ყველაფერზე დაწვრილებით, დალაგებულად და ამომწურავად ლაპარაკობს.



ბურაბ დოლაბერიძის ფოტო

დავით ჭულუხაძე

გებს მივაღწევდი. ხუთჭიდი ხუთ სახეობას კი აერთიანებს, მაგრამ აქ თითოეულ მათგანში შედარებით ნაკლები მოგეთხოვება, ვიდრე მაშინ, როცა მხოლოდ ერთ-ერთში ვარჯიშობ. გასათვალისწინებელია ჩემი მაშინდელი წლოვანებაც. 16 წელი ხუთჭიდისთვის ოპტიმილაური ასაკია, სხვებისთვის კი უკვე „ხანდაზმული" ვიყავი.

— მიუხედავად იმისა, რომ საგარჯიშო პირობები ხელს არ გიწყობთ, წლეულს სადაც იასპარეზეთ, ცუდად არ გამოსულხართ.

— ინტენსიური ვარჯიში სექტემბრის ბოლოს დავიწყე. კიევში, საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დავიკავე, გერმანიაში, მსოფლიოს თასზე ტრავმამ შემიშალა ხელი უკეთესი შედეგის მიღწევაში. ჩვენთან პროგნოზირება ძნელია, რადგან შედეგი მხოლოდ შენზე არაა დამოკიდებული. შეიძლება ოთხ სახეობაში კარგად იასპარეზო, მაგრამ კენჭისყრით ცუდი ცხენი შეგხვდეს და ყველაფერი გაფუჭდეს. ამიტომ ვერ ვიტყვი, ევროპაზე ან მსოფლიოზე აუცილებლად სამეულში მოვხვდები-მეთქი, მაგრამ ათეულში შესვლა ნებისმიერი რანგის ტურნირში შემიძლია.

— ძალიან თავდაჯერებულად ლაპარაკობთ...

— ჩემს თავში იმდენად ვარ დარწმუნებული, რამდენადაც ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად ვიბრძვი. ეს კი ნამდვილად შემიძლია.

— ყველაზე მეტად თურმე ფარიკაობაში გიჭირთ, თუმცა ამ ბოლო ხანს საგრძნობლად მოგიმატებიათ...

— ამას ქართული ფარიკაობის დღევანდელი დონე განაპირობებს. საქართველოში მაღალი დონის მოფარიკავე აღარაა. ამიტომ ხეირიანად ვერ ვვარჯიშობ. ხუთჭიდში უფროსები სულ სამნი დავრჩით და ერთმანეთისა ყველაფერი ზედმიწევნით ვიცით. ევროპის ჩემპიონატამდე მინსკში შეკრებას ვგეგმავთ. თუ დეპარტამენტმა თანხა გამოგვიყო და წავედით, იქ ძირითადად ფარიკაობაში ვივარჯიშებთ.

— გერმანიაში პირველხარისხოვან ტურნირში — მსოფლიოს თასის ეტაპზე იასპარეზეთ, მსოფლიოს უძლიერეს ხუთჭიდელთა პირისპირ. ჩვენს პირობებში ნავარჯიშევს და საშეჯიბრო პრაქტიკას მოკლებულს ხომ არ გაგიჭირდათ?

— გერმანიაში მართლაც მსოფლიოს ყველა უძლიერესი ხუთჭიდელი ჩამოვიდა იაგორაშვილის ჩათვლით, რომელიც თანამედროვე ხუთჭიდში ერთ-ერთი ფავორიტია. გაჭირვებით ნამდვილად არ გამჭირვებია. ოლიმპიურ ჩემპიონ ალექსანდრ პარიგინს ჩემთვის დაშნით ფეხი რომ არ დაეზიანებინა, ფინალშიც უეჭველად გავიდოდი და შედეგიც უკეთესი მექნებოდა.

— ასეთი კურიოზი პრაქტიკულად არ ხდება და რაღა მაინცდამაინც თქვენ შეგემთხვათ...

— რაც მე ვვარჯიშობ, მსგავსი მართლაც არ მახსოვს. შეტევისას რომ შეეეჯახეთ, ჩემი ფეხი იქ არ აღმოჩნდა, სადაც უნდა ყოფილიყო.

— რას გულისხმობთ?

— შეტევისას ფეხი გადამიბრუნდა. პარიგინმაც ზედ დამაბიჯა, დაშნის წვერი კი ტერფში მომხვდა. იმ ჭრილობამ ასპარეზობა მიმატოვებინა.

— ვახტანგ იაგორაშვილმა რაო, გერმანიაში ხომ მასაც შეხვდით...

— ვახტანგი ჩემი მეგობარია. როგორც ვიცი, საქართველოდან წასვლა მისთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. 1991 წელს ის აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების წევრებმა სპარინგ-პარტნიორად მიიწვიეს. მერე სამუშაოც გამოუძებნეს, ხელფასიც მისცეს, ბინაც და ასე შერჩა იქაურობას. თუმცა, როგორც თავად მითხრა, თავიდან რამდენიმე წელი ძლიერ აწუხებდა ნოსტალგია. ერთი ხანობა სპორტს კიდეც შეეშვა. დაახლოებით 3-4 წელიწადი არ უვარჯიშია, მაგრამ ახლა დაბრუნდა და მთელი მონდომებით ვარჯიშობს.

— ის უკვე 35 წლისაა, მაგრამ მაინც ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში...

— ეს ასაკი ახალგაზრდული ნამდვილად არაა, მაგრამ არც საპენსიოა. მსოფლიოს ხუთჭიდის ისტორიას ახსოვს ოროცს გადაცილებული სპორტსმენებიც. რაც შეეხება კონკრეტულად იაგორაშვილს, მან ამერიკაში აშკარად მოუმატა.

— ოლიმპიადაზე მოხვედრის კანდიდატად გასახელებენ. წლევანდელი შედეგებიც საიმედოა. ახლა მაინც თუ გაგიუმჯობესეს სავარჯიშო პირობები?

— ვიტყოდი, რომ ცდილობენ პირობები შემიქმნან.

— ვინ — ფედერაცია თუ დეპარტამენტი?

— დეპარტამენტი. ფედერაციას სათანადო თანხები არა აქვს.

— უახლოეს ხანებში სად იასპარეზებთ?

— 26 მაისს ვარშავაში ევროპის ჩემპიონატი იწყება, ივლისის ბოლოს კი ბუდაპეშტში მსოფლიოს პირველობაა. ევროპაზე, სულ ცოტა, ფინალში მოხვედრას ვგეგმავთ.

— ოლიმპიური ლიცენზიები სად გათამაშდება?

— დავიწყოთ იქიდან, რომ ოლიმპიადაზე სულ 16 კაცი გამოვა, რაც კონკურენციას კიდევ უფრო ამძაფრებს. ოლიმპიური ლიცენზიების უმეტესობა გაისად, მსოფლიოს ჩემპიონატსა და სალიცენზიო ტურნირებზე გაიცემა.

ირაკლი თავაძე

ჯიმ, როგორ არ გრცხვენია

ჩოგბურთის მოყვარულები ბელარუს მაქს მირნის იქნებ კარგად არც იცნობდნენ, მაგრამ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან ჯიმ კურიეს ეს ახალბედა, ეტყობა, უკვე ყელში ამოუვიდა.

კლასიფიკაციით 159-ე ექსსაბჭოელმა ამერიკელი ორიოდ კვირის წინ ორლანდოს პირველობის მეოთხედფინალში დაამარცხა. გუშინ ფლორიდაში მიმდინარე „სიტრიქსის" ჩემპიონატზე მეტოქეები ერთხელაც შეხვდნენ ერთმანეთს. გამარჯვებული ისევ მირნი დარჩა 4:6, 6:2, 7:6 (8:6) და გაღიზიანებულმა კურიემაც თავი ვეღარ მოთოკა.

როგორც წესი, მატჩის შემდეგ ბადესთან ხელის ჩამორთმევისას ჩოგბურთელების ლექსიკონი ორი-სამი ისეთი მარტივი სიტყვით ამოიწურება, როგორიცაა „საღოლ", „არ გაგიმართლა", „გისურვებ წარმატებებს" და ა.შ. მაგრამ ბელარუსის მტკიცებით, ზემოთქმულისა და მხარზე ხელის მოთათუნების ნაცვლად კურიეს კომენტარი ამჯერად სალანძღავი სიტყვებითა და დაახლოებით შემდეგი შინაარსის ფრაზით შემოიფარგლა — ეს ყველაზე ცუდი მატჩი იყო, შენ კი ყველაზე ცუდი მეტოქე ხარ, ვისთანაც მითამაშიაო.

„ზრდილობიანად ვუთხარი, ჯიმ, ასეთი რამ არ გეკადრება, მე პატივს ვცემ შენს მიღწევებს სპორტში და ვფიქრობ, კარგად ვითამაშე-მეთქი. ის კი მომიბრუნდა და გამიმეორა, მე ასე არ ვფიქრობო" — განაცხადა აღშფოთებულმა მირნიმ პრესკონფერენციაზე.

ბუნებრივია, კურიესეული ვერსია მნიშვნელოვნად განსხვავებული გახლავთ: „ასე სულაც არ მოშხდარა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, არ გამიმართლა, მას კი პირიქით, იღბალმა გაუღიმა-მეთქი. მისთვის, როგორც მოთამაშისა და პიროვნებისთვის, შეურაცხყოფა არ მიმიყენებია".

21 წლის ბელარუსი აქამდე ძირითადად შერეულ წყვილებში წარმატებებით იყო ცნობილი. მან სერენა უილიამსთან ერთად შარშან უიმბლდონი და აშშ-ის ღია პირველობა მოიგო, თუმცა ზედმეტ სითამამეს თუ კაღნიერებას ვერავინ დასწამებს: თავად მას სერენასთვის ვერც კი შეუბედავს, ერთად ვითამაშოთო და ეს საქმე მხოლოდ იმიტომ გაიჩარხა, რომ მორცხვ შვილს შუამავლად მამა გეგზავნა.

მარტინას სპონსორი დაემდურა



მარტინა ჰინგისი ნებისმიერი სპონსორის ოცნებაა — 18 წლის ჩოგბურთელი უკვე მესამე სეზონია, ყველა კოლეგას სჯობნის, გარეგნობით ბარე ორს არ ჩამოუვარდება, თამაშის დროს თუ კორტს გარეთ მუდმივად ღიმილი აკერია სახეზე და ჟურნალისტებსაც არასოდეს ისტუმრებს უარით.

ჰოდა, თქვენ კი არა, თავად მსოფლიოს პირველმა ჩოგანმაც ვერ დამალა განცვიფრება, როდესაც გაიგო, რომ იტალიური ტანისამოსის კომპანია სერჯიო ტაჩინი მასთან კონტრაქტის გაუქმებას აპირებდა, თანაც გაურკვეველ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის მიზეზით. 1996 წელს დადებული ხუთწლიანი კონტრაქტით, მარტინას ყოველწლიურად 2,8 მილიონი დოლარი ერგებოდა.

„ეს ამბავი თავადაც გაზეთებიდან შევიტყვე. ვერაფერი გამიგია, მე ყოველთვის ჩემი სპონსორის ერთგული ვიყავი" — განაცხადა მარტინამ იტალიის ღია ჩემპიონატის დაწყებამდე პრესკონფერენციაზე, რომელზეც მაინც ტაჩინის ფორმაში გამოწყობილი გამოცხადდა — ამ სამოსს ტურნირის მანძილზე კიდევ ვატარებ, მერე კი კომპანიის წარმომადგენლებს მომავალზე გავესაუბრები".

კიდევ ერთი მოულოდნელობა მარტინას კორტზე ელოდა — როგორც აღმოჩნდა, ჩვეულებრივ მეტად კარჩაკეტილი უილიამსების ოჯახის უმცროს წევრს, სერენას თავად გამოუთქვამს მასთან ვარჯიშის სურვილი: „გამიკვირდა, რომ მან ჩემთან ვარჯიში მოინდომა, ადრე ეს არასოდეს გაუკეთებია. სერენა ვინუსზე გაცილებით გულღიაა, მასთან ურთიერთობა ადვილია".

ტურნირის ბადის მიხედვით, ჰინგისი სერენას უკვე მეოთხედფინალში შეხვდება.

ტკბილი და მწარე ჟენიასთვის

სამშაბათს მიღებულ კორესპონდენციაში ევგენი კაფელნიკოვს განსაკუთრებული წერილი ელოდა — მსოფლიოს პირველი ჩოგნობა მას ქვეყნის პირველმა პირმა (ფორმალურად მაინც) ბორის ელცინმა მიულოცა.

„ჩოგბურთის 122-წლიან ისტორიაში პირველად, რუსი სპორტსმენი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე გახდა. ეს დიდი მიღწევაა ჩვენი სპორტისთვის... როგორც ადამიანს, რომელიც თავადაც თამაშობს (წაიკითხე — თამაშობდა) ჩოგბურთს, კარგად მესმის, რა ძნელია ამის გაკეთება" — ნათქვამია პრეზიდენტის ტელეგრამაში.

ისე, ელცინისა და სოჭელი ჟენიას ურთიერთდაფასება-სიყვარულის გზა სულ ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. ერთხელ, 1994 წლის დევისის თასის ფინალში დამარცხება კაფელნიკოვმა სწორედ რუსეთის პრეზიდენტს დაბარალა. საქმე ის იყო, რომ მაგნუს ლარსონთან შეხვედრის მეხუთე სეტში ელცინმა ტრიბუნებზე ისე მოინდომა ადგილის დაკავება, გეიმებს შორის შესვენებას არ დალოდებია. ამან, ცხადია, დიდი არეულობა გამოიწვია, ხალხი კარგა ხანს ვერ დაწყნარდა და ჟენიას თქმით, მისი კონცენტრაციაც შეიწირა.

მწარე

ამდენი ჯაფით და ოფლისღვრით მოპოვებული კლასიფიკაციის პირველი ადგილი კაფელნიკოვმა შეიძლება ძალიან სწრაფადვე დაკარგოს. ჰამბურგში დაწყებულ მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირზე ჰოლანდიელ რიჩარდ კრაიჩეკს ან ესპანელ კარლოს მოიას 25 წლის რუსის ტახტიდან ჩამოსაგდებად გამარჯვება ეყოფათ.

თავად სოჭელმა გერმანიაში ჩასვლაზე ბოლო მომენტში უარი განაცხადა. მიზეზი ვირუსული ინფექცია ყოფილა, თუმცა ბოლო ტურნირზე კაფელნიკოვი ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გადაღლასაც უჩიოდა.

კიდევ მწარე

როგორც უკვე გაუწყეთ, გასული კვირის ჩეხეთის ღია პირველობის პირველ წრეში წაგება სოჭელ ჟენიასა და ხორვატ გორან ივანიშევიჩს ძვირად დაუჯდათ. წესით და რიგით, პრაღაში ჩასვლისთვის მათ 100 000 დოლარი ერგებოდათ, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორმა პეტერ კოვარჩიკმა თანხის გადაცემაზე უარი განაცხადა, არ დაუმსახურებიათო: „არ შეიძლება მათ ხალხის ასე გამასხარავება დაანებო, კაფელნიკოვმა, მაგალითად, განაცხადა, ამ პირველობას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდაო. თუ რომელიმე ფულს მოითხოვს, მზად ვარ, სასამართლოშიც გავარჩიოთ საქმე".

მარკ მილსმა, ATP ტურის ერთ-ერთმა თავკაცმა, განაცხადა, ეს ამბავი თავად ჩოგბურთელებმა უნდა მოაგვარონო, თუმცა მერე დაუმატა: „მე ორივე მოთამაშეს გავესაუბრები. კაფელნიკოვს ისედაც უნდა შევხვედროდი, რადგან მონტე კარლოში მისი საქციელი მიუღებელი იყო" (მონაკოში რუსმა 38 წუთში დათმო შეხვედრა და აღიარა, მე მარტო როლან გაროსზე თამაში მადარდებსო).

თუ კაფელნიკოვის რეაქცია ჯერჯერობით უცნობია, გორან ივანიშევიჩი მომზდარმა ძალიან აღაშფოთა და განზრახ წაგების ბრალდებაც უარყო: „ნამდვილი სისულელეა. ჩვენ კონტრაქტი დავდეთ, რომელიც უნდა შესრულდეს. მე ისე ვიბრძვი ამჟამად, როგორც შემიძლია. რა ჩემი ბრალია, თუ კორტზე არაფერი გამომდის".

ხორვატი პირველ წრეში ჰამბურგშიც დამარცხდა, თანაც 1:6, 3:6 რაინერ შუტლერთან და საკუთარ ფორმაზეც ივიშვიშა: „ჩემი მთავარი იარაღი მოწოდებაა, მაგრამ ამჟამად მასზე (ანა) კურნიკოვასავით ვგრძნობ თავს. ადრე სეზონში 1000 ეისს ვაგროვებდი, წლეულს კი, ალბათ, 1000 ორმაგი შეცდომა მექნება. ფსიქიატრსაც ვესაუბრე, მაგრამ არაფერი მშველის, ჩემში ორი „მე" ზის და მათგან ცუდი სულ აცილებს ბურთებს. მოწოდების ისე მეშინია, მზად ვარ, სულ მიღებაზე ვიყო, ზოგჯერ მარტო იმაზე ვოცნებობ, ორმაგი არ გავაკეთო-მეთქი".

ავთანდილ სვანიძე

ფილ კოულზს ხელს არ აბანინებენ

ფილ კოულზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ავსტრალიელ წევრს ფილ კოულზს ამ ბოლო დღეების განმავლობაში გამორჩეული ყურადღება ეთმობა. მსოფლიო ოლიმპიზმის ჩვენებურ ქომაგთათვის მისი პიროვნება ისედაც ცნობილი უნდა იყოს. მის შესახებ აკი გუშინაც ვიუწყებოდით — ეგ ერთი იმათგანია, სოკ-ის თვენახევრისწინანდელ საგანგებო ყრილობაზე ცხრა ყვითელბარათნაჩვენებთა შორის რომ მოხვდა.

ყვითელი ბარათი ავსტრალიელ ჩინოსანს — ეგებ ეგეც მოიგონოთ — 1996 წლის ზაფხულისა და 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადების მასპინძლობისათვის მოჩალიჩე ათენელთა და სოლტლეიკელთაგან უფასო რამ სამსახურთა თუ ნივთთა მიღების გამო უჩვენეს. ჰოდა, აი, ავსტრალიური გაზეთების მიერ გუშინ გავრცელებული მორიგი ბრალდებაც თუ დადასტურდა, უფალ კოულზს არამცთუ წითელი ბარათის ჩვენება, ვინძლო ვირის აბანოში მოხვედრაც აღარ აკმარონ.

გუშინ გამომზეურებული იქს-ფაილის შინაარსი კი შემდეგია:

როცა სიდნეიმ 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა გადაწყვიტა, ფილ კოულზს, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტსა და „სიდნეი 2000"-ის საინიციატივო კომიტეტის წევრს, თავის თანასოკელ კოლეგებზე დოსიეები შეუდგენია. მის მიერ მოკვლეული ინფორმაცია, მისსავე პირად გავლენიანობასა და მისთანებთან ერთად, ავსტრალიურ ქალაქს კონკურენტ პეკინთან ჭიდილში სწორედ რომ ძალიანაც დახმარებია. მაგრამ კიდევ უფრო მაგარი ამის შემდეგ მომზდარა — გამარჯვებაგანაღდებულ კოულზს აუღია და ხსენებული დოსიეები 2002 წლისთვის ახუნტრუცებული სოლტლეიკელებისთვის გადაუცია. ამასთან, „გადაუცია" თუ „მიუყიდია", ეგ ჯერჯერობით გარკვეული არა ყოფილა.

კოულზის დოკუმენტები სოკ-ის ამა თუ იმ წევრის შესახებ, სხვათა შორის, თურმე, ეგეთ დახასიათებებსაც შეიცავს: „აი, ეგ ფრიად მერყევი ვინმეა", „აი, ის უბრალოდ პოლიტიკური ცხოველია", „ეგეც კიდევ ასეთია და ისეთია" და ასე შემდეგ.

მოკლედ, სკანდალი თუ ვნებავთ, ეგაა და გორის ციხე!

თუმცა, უფალი კოულზი ქვას აგდებს და არაფრის გაგება არ უნდა. მისი ტექსტი უაღრესად მარტივია — მან არაფერი არ იცის, აღნიშნულ ინფორმაციასთან არავითარი კავშირი არა ჰქონია, რომ ეს ყველაფერი მტრების მიერ დაყრილი ჭორებია და რომ მთელი თავისი 67-წლიანი ცხოვრების განმავლობაში მისთვის ეგეთი შეურაცხყოფა არავის მიუყენებია...

მაგრამ ფაქტი, როგორც ამბობენ, ჯიუტი რამაა. ამასთან, ერთი იქაური რადიოს ცნობით, იგი 400-გვერდიან შეკვრას წარმოადგენს, შიგთავსიც კარგი მსუყე აქვს და კოულზის ბრძნული შენიშვნებითაც უხვად შემკობილი უნდა იყოს.

ამიტომაც:

„ფილ კოულზის საქმე ისევ ღიაა" — ამბობს სოკ-ის ახლახან დაარსებული რეფორმისტულ-ზნეობისტური 80-კაციანი კომიტეტის, „სოკ 2000"-ის აღმასაბჭოს ავსტრალიელი წევრი, კევენ გოსპერი. სოკ-ის ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე, სენეგალელი კებამ მბაიე კი ისე დასძენს, რომ ამ საქმის უახლოეს მომავალშივე ძალიან სერიოზულად, ღრმად და საფუძვლიანად განსახილველად სოკ-ი კიდევ ერთ საგანგებო კომისიას გამოჰ ყოფს.

ხოლო სიდნეი 2000-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, სანდი ჰოლვეის აზრით, გუშინ ამტყდარი მორიგი ალიაქოთის შემდეგ კოულზის, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრად დარჩენა, უკვე სავსებით მიუღებელი ამბავია და „თვითლიკვიდაციის" გადაწყვეტილება შერისხულმა შეძლებისდაგვარად მალე უნდა მიიღოს.

არ მიიღებს და...

ლევან კელაურაძე

პროფლიგას მერიონიც დაუფასებს



მერიონ ჯოუნსი

ამერიკელთა მძლეოსნობის ფედერაციის მიერ ახალი პროფესიული ლიგის დაარსების შესახებ ადრეც გიამბეთ. ლიგა თავის პირველ ასპარეზობას 6 ივნისს ნიუ იორკის „მიჩელ ატლეტიკ კომპლექსში" გამართავს. ხოლო უკვე მომდევნო წლიდან მთელ სეზონზე გაჭიმულ შეჯიბრად იქცევა.

როგორც გუშინ მიღებული ინფორმაციიდან გაირკვა, საექვსივნისო ტურნირზე აშშ-ს წამყვანი ათლეტები შეიყრებიან. მათ შორის 100 მეტრზე ქალთა მსოფლიო ჩემპიონი მერიონ ჯოუნსი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მაიკლ ჯონსონი და 100 მეტრზე ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონი მორის გრინიც მოიხსენიებიან. ნორჩი მერიონისთვის ეს ამ სეზონის პირველი ოფიციალური ასპარეზობა იქნება. ამის შემდეგ იგი ჰელსინკიში გადაინაცვლებს და 10 ივნისს იქაურ 200-მეტრიან ბილიკზე გამოცდის ძალას. შეგახსენებთ, რომ აგვისტოში, სევილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე მერიონი 4 ოქროს მოპოვებას გეგმავს და მანამდელ ტურნირებსაც საამისოდ გავარჯიშებად მიიჩნევს.

ციდან წყალში ჩავარდნილი

რუსეთში ციდან ჩამოვარდნილი სტივ ფოსეტი გახარებულია. რატომაც არა, იგი თანამემამულეებივით საჰაერო თავდაცვის ძალებმა იმ ქვეყნად ხომ არ გაისტუმრეს

იანვრის იმ დღეს, უფრო სწორედ შუაღამისას ამერიკის ქალაქ სენტ ლუისში, „სენტ ლუის კარდინალს ბიჩის“ სტადიონზე, მიუხედავად იმისა, რომ კარგა გვარიანად ყინავდა, 200-მდე კაცი მოგროვილიყო. მათ შორის საკმაოდ იყვნენ პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, რომლებიც კოსმონავტის კომბინიზონის მსგავს სამოსში გამოწყობილ თავიანთ თანამემამულეს სეტყვასავით აყრიდნენ კითხვებს.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ხალხი მთვარეულად, ან სულაც არანორმალურად ჩაგთვლით? — ჰკითხა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ყურადღების ცენტრში მოქცეულს.

-- ბევრს ალბათ მართლაც გიჟი ვგონივარ, მაგრამ ის, რასაც მე ვაკეთებ, ყველას აინტერესებს. მეტიც — არის უამრავი ხალხი, რომელიც ჩემს ბედს შენატრის...

მის ბედს მართლაც ბევრი შენატრის. მათ შორის მასავით ყველა შერეკილი როდია. ზოგს ამ კაცის მილიონებზე რჩება თვალი, ზოგს მის კატამარანზე თუ საჰაერო ბურთებზე, რომლებითაც უკვე ოთხჯერ სცადა ძირსდაუშვებლად გარსაქვეყნო მოგზაურობა; ზოგსაც ამ კაცის დაუდეგარი, ხიფათებით აღსავსე მოგზაურობები და თავგადასავლები ხიბლავს, ზოგსაც მისი მსოფლიო რეკორდები.

ერთი სიტყვით, ეს კაცი სტივ ფოსეტია, ჟიულ ვერნის თავგადასავლების მაძიებელი სულით აღვსილი, ოღონდ ჩვენი დროის გმირი.

ეს ჩვენი დროის გმირი მაშინ, 1997 წლის იანვრის იმ ღამეს თავისი საჰაერო ბურთ „სენტ ლუისის სულით“ მარტოდმარტო გარსაქვეყნო მოგზაურობის დაწყებამდე უხვად არიგებდა ინტერვიუებს. როგორც როიტერის სააგენტო იუწყებოდა, ჟურნალისტებმა მას უხერხული კითხვებიც დაუსვეს. ერთ-ერთ რეპორტიორს უკითხავს — კი მაგრამ, ტუალეტში წასვლა რომ დაგჭირდებათ, რა გეშველებათო. პასუხად ფოსეტს ჩვეულებრივი ვედრო უჩვენებია.

— კი მაგრამ, ეგ ხომალდიდან უნდა გადმოუშვათ? — იკითხა რეპორტიორმა.— ამაზე უმჯობესია არ გიპასუხოთ...

სხვა კითხვებზე კი ფოსეტს პასუხები მზადა აქვს — მაშინაც, მანამ მოგზაურობას იწყებს და მაშინაც, როცა მეტნაკლებ წარმატებას აღწევს. სიტყვაძუნწი არც იმ დროსაა, როცა გულისწადილს ვერ ისრულებს, ციდან ხან ოკეანეში ვარდება და ხანაც დედამიწაზე, სადაც ხალხს შიშით ანგელოზებს უფრთხობს. თუმცა, თავადაც ხშირად კი გვარიანი შიშის ჭამაშია, როცა ჰაერში სტიქია ძალადობს, ან დედამიწიდან ნაგიერები თოფ-ზარბაზნების ბათქა-ბუთქითა თუ რაკეტების სროლით ემუქრებიან.

მაგრამ ეს კაცი თავისას არ იშლის და ყოველწლიურად თავგადასავლების მორევში თავით ეშვება.

მაშინ, „სენტ ლუისის“ სტადიონიდან სტარტის აღებამდე ფოსეტის გასაცნობად და გზის დასალოცად მივიდა მასსავით შერეკილი დიდბრიტანელი მილიონერი და საჰაერო ბურთით აერონავსანი რიჩარდ ბრენსონი, რომელმაც თავისი ჯგუფის ორ წევრთან ერთად რამდენიმე დღით ადრე გარსაქვეყნო მოგზაურობა საჰარის უდაბნოს კუნაპეტ ცაში ლამის ტრაგიკულად დაასრულა.

მართალია, ბრენსონმა თავის მეტოქეს კეთილი მგზავრობა კი უსურვა, მაგრამ მის წარმატებაში თურმე ეჭვი ეპარებოდა, იქნებ იმიტომაც, რომ სტივ ფოსეტი, სხვათაგან განსხვავებით, მარტოდმარტო აპირებდა თავის „ლაშქრობას“, მაგრამ თავად ამერიკელი იმედებით აღსავსე დახვდა ბრიტანელს. ბრენსონმა ნახა, რომ ფოსეტის საჰაერო ბურთიც და გონდოლაც თავისაზე პატარა ყოფილა. ბრენსონმა ისიც შეიტყო, რომ ეს კაცი თურმე მინიმალური აღჭურვილობით აპირებდა მოგზაურობას. ფოსეტს თან მიჰქონდა მოკრძალებული სურსათ-სანოვაგის მარაგი, დაახლოებით ისეთი, როგორიც ამერიკის სამხედრო-მოსამსახურეთა ულუფაა. ფოსეტს ეკიპირებაში ჰქონდა ერთი წყვილი სათადარიგო ტანსაცმელი. მისი კაბინის ერთი მხარე სიცივისგან დაცული აღმოჩნდა ტყავის რადიატორით, ხოლო სახურავი დაწნეხილი ორგანული მინისა ჰქონდა.

როცა ფოსეტის „სენტ ლუისის სულმა“ სენტ ლუისის სტადიონიდან სტარტი აიღო, უჩუმრად, ბუმბულივით ასრიალდა ცაში და სულ მალე ღამის წყვდიადში გაუჩინარდა, ქვემოთ დარჩენილებთან მას სატელიტური ფაქსი და კომპიუტერული ფოსტაღა აკავშირებდა.

ამგვარი კავშირებით ქვემოთ დარჩენილებმა თავდაპირველად შეიტყვეს, რომ ფოსეტმა გადაუფრინა ვინსტონ სეილემს, ჩრდილოეთ კაროლინას... იგი გრაფიკის გასწრებით მიფრინავდა და ამაში ქარიც ხელს უწყობდა, მაგრამ სწორედ ამ დროს, მანამ ატლანტის ოკეანის ნაპირებს მიაღწევდა და 5000 მეტრ სიმაღლეზე იყო, ფოსეტმა თავისი ბურთის დამპროექტებელ ბო კემპერს აცნობა, ჰაერის გამაცხელებელმა აურია და მგონი ვარდნას დავიწყებო. 1996 წელსაც ასე დაემართა, როცა გარსაქვეყნო მოგზაურობაში სამხრეთ დაკოტადან კანადის ატლანტის ნაპირებამდე მიაღწია და ტექნიკური სირთულეების გამო ფრენა შეწყვიტა. 97-ში კი „დედამიწასთან“ კონსულტაციების მერე გამაცხელებლების პრობლემა მოაგვარა და ოკეანის თავზე მოექცა. მან გეზი პორტუგალიის ნაპირებისკენ აიღო. იქიდან დანიისკენ უნდა გაფრენილიყო, თუმცა მარშრუტში ქარის მიმართულებას შეეძლო ცვლილებების შეტანა და მაშინ იქნებ პირდაპირ ბრიტანეთისკენ გაფრენილიყო, იქიდან კი ჩინეთისკენ რუსეთზე გადაფრენითაც, მაგრამ ფოსეტი ოკეანის თავზე ცაში გამოკიდებული რუკას რომ დასცქეროდა, სწორედ მაშინ შეაფიქრიანა „ჩრდილოეთის დათვის“ ჭირვეულობამ. ალბათ იფიქრა, ამ რუსებისა მე კი არა, ვერავის ვერაფერი გაუგია. ღმერთმა უწყის, რა შეუფრიკინებთ თავში, როცა მათ ცაში გამოვჩნდები, ე მანდ, არ მბუთქონო.

ეტყობა, სტივ ფოსეტს გაახსენდა თავისი ორი თანამემამულის, ასევე საჰაერო ბურთით მოგზაურების ტრაგიკულად გასრულებული ფათერაკები, რომლებიც მათ 1995 წლის შემოდგომაზე ბელარუსიის ცაში გადახდათ.

იმ უბედურ დღეს, 12 სექტემბერს საჰაერო თავდაცვის ძალებმა ბრესტის რაიონში საჰაერო ბურთი აღმოაჩინეს. ოფიციალური ვერსიით, მათ ბურთთან რაციით დაკავშირება სცადეს მაგრამ იქიდან პასუხი არ ისმოდა. მერე შვეულმფრენიდან გამაფრთხილებელი ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ „ბურთი“ ისევ დუმდა. მერე სამხედროებმა იფიქრეს, მზვერავი ბურთი ავტონომიური რეჟიმით დედამიწიდან იმართებაო და ოსვენციის სამხედრო აეროდრომთან ჩამოაგდეს, ჩამოვარდნის ადგილზე კი გონდოლა და ორი მამაკაცის გვამი ნახეს. აშშ-ის საელჩოში თქვეს, ეს ჩვენი თანამემამულენი საერთაშორისო რბოლა „გორდენ ბენეტ-95“-ის მონაწილენი იყვნენ და 9 სექტემბერს შვეიცარიიდან აფრინდნენო.

ეს ამბავი ბელარუსიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უბედურ შემთხვევად გამოაცხადა, მაგრამ ფოსეტმა, თუმცა მას შერეკილსაც კი უწოდებენ, მაგრამ ჭკუას ძალა დაატანა და პირი იბრუნა, ამჯერად ლიბიისკენ, რომელიც სათადარიგო მარშრუტად ჰქონდა მონიშნული, მაგრამ როცა ალჟირს წამოადგა თავზე, ახლა კადაფმა შეუთვალა, ჩემი საბრძანებლის თავზე არ დაგინახოო. ეს უკვე ფოსეტისთვის ოცნებების დამსხვრევას მოასწავებდა და ამ გაურკვევლობაში ჩვენი ამერიკელი მოგზაური კომერსანტი ჰაერში გამოკიდებული დარჩა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც.

ფოსეტი საგონებელში ჩავარდა — საწვავის მარაგი ამდენ აღმ-დაღმა ფრენას ვერ გასწვდებოდა. ფოსეტს ან ხელი უნდა აეღო გარსაქვეყნო მოგზაურობაზე, ან ლიბიის მბრძანებლის მუქარა ერთ ყურში შეეშვა და მეორეში გამოეშვა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას და მის ბურთს ელოდა იგივე ბედი, როგორიც ბელარუსიის თავზე გადამფრენებს. ამიტომ მეტი რა ჩარა დარჩენოდა — ფოსეტმა კიდევ ერთხელ შეცვალა მარშრუტი და რუკაზე გაავლო ახალი „გზა“ ნიგერიის, ჩადის, ეგვიპტის თავზე.

ბედის ირონია იყო, რომ მანამ ლიბია უარს მიახლიდა აერონავსანს, მან სწორედ იმ დროს შეიტყო რუსთა განცხადება, თუ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის თავზე ფოსეტის „ხომალდს“ ვიხილავთ, ბედნიერები ვიქნებითო, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ამასობაში, როცა ლიბიამ უარი შეუთვალა ფოსეტს, ამ სახელმწიფოში გამოჩენილან მოხალისეები, რომლებიც მოგზაურს ამხნევებდნენ, მარშრუტს ნუ შეცვლით, მანამ ჩვენი ქვეყნის თავზე იფრენთ, 24 საათიან მორიგეობას დავაწესებთ და ჰაერსაწინააღმდეგო ძალებს თქვენზე იერიშის საშუალებას არ მივცემთო.

ასე იყო თუ ისე, ქვემოთ დარჩენილთათვის და თავად ფოსეტისთვისაც ნათელი გახდა, რომ მარშრუტის შეცვლის მერე მოგზაურს საწვავი აღარ ეყოფოდა და „მხოლოდ“ ინდოეთამდე მიაღწევდა.

ვარაუდი გამართლდა. ფოსეტმა ინდოეთამდე მიაღწია. მან ვერ აისრულა გულისწადილი, ძირსდაუშვებლად პირველმა ვერ შემოუფრინა დედამიწას, მაგრამ ცოცხალი გადარჩა და დედამიწაზე მშვიდობიანად დაეშვა. ეს მოხდა 20 იანვარს, სტარტიდან 6 დღეღამის და 16 საათის მერე, როცა სოფელ ნოხარაში დაჯდა, იქ კი ანგელოზები დაუფრთხო ადგილობრივ მცხოვრებთ და პოლიციას, რომლებსაც ლამის ზედ თავზე დაეცა და გულგახეთქილნი ალბათ გაკვირებულნი ფიქრობდნენ, ეს რა ჩიტი მოფრინდაო.

ამ „ჩიტით“ ფოსეტმა მაშინ ძირსდაუშვებლად 16 000 კილომეტრი იფრინა. ეს ყველაფერი მსოფლიო რეკორდი იყო.

შარშან, საზობაო დღეებში, ფოსეტი კვლავ ამერიკიდან აიჭრა ცაში თავისი რეკორდის გასაუმჯობესებლად, რაც დედამიწაზე შემოფრენას გულისხმობდა. ატლანტიკის ოკეანეს მან ორ დღეში გადმოუფრინა. ინგლისის თავზე კი ქარიშხალში მოხვდა, მაგრამ მას თავი დაღწია. ბულგარეთის თავზე ფოსეტს ახლა ჰაერის ერთი გამაცხელებელი გაუფუჭდა და მწყობრიდან საბოლოოდ გამოვიდა. მერე მეორემაც აურია. მაგრამ ფოსეტმა ეს ხელს �ინც გადმოუფრინა. 5 იანვარს, დილით, ფოსეტმა რუსეთის საზღვარი ანკარასთან გადალახა. მაშინ, როგორც „პროგრამა „ურმიაში“ ითქვა, ფოსეტი ეთერში გასულა და უთქვამს, „მგონი რუსეთში ვარ და თუ ეს ასეა, ჩემი აღსასრული მოვიდა“, მერე ფოსეტმა ჟურნალისტებს უთხრა, არაფერი ამისი მსგავსი არ მითქვამსო.

საერთოდ, მაშინ რუსულ პრესაში და ტელევიზიაში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები იბეჭდებოდა. ზოგი წერდა, ფოსეტი ჰაერსაწინააღმეგო ძალებმა ჩამოაგდოო, ზოგი ამბობდა იძულებით დაჯდაო. ბოლოს გაირკვა, რომ სტიქიის მიერ რუსეთში შემოგდებული ფოსეტი ყუბანის ხუტორ გრეჩანია ბალკაში მართლაც იძულებით დამჯდარა და იქ ვინმე პანჩენკოსთვის, ფერმაში თავისთვის რომ საქმიანობდა, შიშით გული გაუხეთქია.

— ბატონო ფოსეტ, რისთვის დაფრინავთ, რისთვის იგდებთ სიცოცხლეს საფრთხეში? — ჰკითხეს მაშინ ამერიკელს.

— ამერიკელებს გვიყვარს ფულის დათვლა. ამჯერად ეს ფრენა 35 0000 დოლარი დამიჯდა, მაგრამ ასეთი განცდები ღირს ამად.

მაშინ ნათელი გახდა, რომ ფოსეტი არ მოისვენებდა და მეოთხედაც სცდიდა გარსაქვეყნო მოგზაურობას.

— მაგრამ თუ სხვა დამასწრებს და გახდება პირველი, ვინც დედამიწას გარსშემოუფრენს, მას გულწრფელად მივულოცავ და გამარჯვებას ერთადაც ვიზეიმებთ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში გარსაქვეყნო ფრენაზე ხელს ნაღდად ავიღებ და რაიმე ახალ თავგადასავალს მოვიფიქრებ. მაგალითად, ავდგები და 2000 წელს დედამიწას ნავით გარს შემოვცურავ. ამ საქმეში სისწრაფის რეკორდის დასამყარებლად ვემზადები კიდეც.

შარშან დეკემბერში ამ ეულმა მოგზაურმა ეტყობა იფიქრა, საჰაერო ბურთით მარტო ვერას გავხდებიო და თავის ძველ მეტოქეს რიჩარდ ბრენსონს შეუამხანაგდა. მათ შვედი, ბრენსონის ასევე ძველი პარტნიორი პერ ლინდსტრანდიც დაემატათ და სამივე ერთად ახლა მაროკოდან აფრინდნენ დედამიწის გარსშემოსაფრენად. მათ გადაუფრინეს არაბეთის უდაბნოებს, ჰიმალაის ცათამბჯენებს, ჩინეთს, წყნარი ოკეანის უმეტესობას და 1 3000 კილომეტრის ფრენის მერე, როცა კიდევ ერთი ამდენი რჩებოდათ, დაბალი წნევის არეში მოხვდნენ და ჰავაიზე, კუნძულ ოაჰეს ნაპირიდან 15 მილის დაშორებით ოკეანეში ჩაცვივდნენ.

ამასობაში სხვა ეკიპაჟებთან ერთად იმავე მიზნით ცაში აფრინდა შვეიცარიელ ბერტრან პიკარისა და ბრიტანელი ბრაიან ჯოუზის ბურთიც, რომლებმაც მიზანს მიაღწიეს და გახდნენ პირველნი, რომლებმაც დედამიწას შემოუფრინეს.

სტივ ფოსეტმა კი სიტყვა შეასრულა — გამარჯვებულებს გულწრფელად მიულოცა, მერე გავარდა და, როგორც რამდენიმე დღის წინათ, ისევ წყალში ჩახტა — ხომ გახსოვთ, დაიქადნა, თუ დედამიწას პირველი ვერ შემოვუფრენ, 2000 წელს სისწრაფის რეკორდის დასამყარებლად შემოვცურავო.

ჰოდა, თავი მოუყარა თანაგუნდელებს და 32-მეტრიანი კატამარანით 24 საათიან რბოლაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 580 მილი, ძველი რეკორდი კი 400 მილი ყოფილა.

ეტყობა, ციდან ოკეანეში ჩავარდნილი სტივ ფოსეტი ისე გამეტებით ეკვეთა წყლის სტიქიას, აქ მისგან უფრო დიდ თავგადასავლებს უნდა ველოდოთ.

ავთანდილ გურასაშვილი



ჰაერში მსოფლიოს რეკორდსმენი ოკეანეში ჩავარდა...

REUTERS

წყალში ჩავარდნილი სტივ ფოსეტი თანაგუნდელებთან ერთად სისწრაფეში მსოფლიოს რეკორდის დამყარებას ზეიმობს

პროლოგის მოგებას ეპილოგი არ ადარდებს

„**რომანდის ტურის**“ 53-ე გათამაშების პროლოგი, რომელიც სამშაბათს შვეიცარიაში, ჟენევის მახლობლად გაიმართა, ფრანგი ლორან ჟალაბერის (ონსე) გამარჯვებით დასრულდა. ესპანეთში წლეულს გამართული ორი ტურნირის მოგებამ ჟალაბერმ: შვეიცარიაშიც კარგად დაიწყო ასპარეზობა. 4,9 კმ-იანი გზა მან მეორეადგილოსან რობერტო პეტიტოზე (იტალია, საეკო) 3 წამით სწრაფად გაიარა.

„ჩემი თავდაპირველი მიზანი „რომანდის ტურში“ ერთი ეტაპის მოგება მაინც იყო. ეს უკვე შევძელი. მომდევნო ეტაპებზე თუ ვიმარჯვებ, ცხადია, ძალიანაც გავიხარებ“ — თქვა ფრანგმა.

პირველი ეტაპი გუშინ გვიან დასრულდა. მბრბოლები ჟენევასა და ფლერიეს შორის არსებულ 165,4 კმ-ზე ერკინებოდნენ ერთმანეთს.

„საერთო ჩათვლაში მხოლოდ მინიმალური უპირატესობა მაქვს და ვერავინ იწინასწარმეტყველებს, ვინ მოიგებს საბოლოოდ. ერთი რამის თქმა კი ახლავე შემიძლია: მშვენიერ ფორმაში ვარ“ — განუცხადა ჟურნალისტებს ლორან ჟალაბერმა.

გაიოზ თალაძვაძე

პროლოგის შედეგები

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) 5 წთ და 44 წმ
2. რობერტო პეტიტო (იტალია) ჩამორჩა 3 წამით
3. გაბრიელე მისაგლია (იტალია) ჩამორჩა 6 წამით
4. მარიო ჩიპოლინი (იტალია) ჩამორჩა 7 წამით
5. ანდრეა პერონი (იტალია) ჩამორჩა 8 წამით

REUTERS ბერნეგენიდან

ლორან ჟალაბერი

ემანდ, კეტებით არ დამერივნონ...

სპორტულ ტელეარხ ESPN-სა და ბეისბოლის „მეიჯორ ლიგას“ მცირე რამ უთანხმოება მოსვლიათ. არხი სექტემბრის საკვირაო პრაგრამიდან ბეისბოლის მატჩების ფეხბურთის ეროვნული ლიგის (ფუტბლისმენ ამერიკული ფეხბურთი) მატჩებით შეცვლასა და მათი ESPN 2-ზე გადატანას აპირებს.

ESPN-ს ამჟამად უცქერიან 76,2 მილიონ ოჯახში, ESPN 2-ს კი მხოლოდ 64,5 მილიონში. ამიტომაც ბეისბოლის მამები არხის გადაწყვეტილებას წამგებიანად მიიჩნევენ და მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე კონტრაქტის გაწყვეტით იმუქრებიან.

კონტრაქტი 8-წლიანი და 455 მილიონი დოლარის ღირებულებისაა. იგი 1994 წლიდან მოქმედებს და ყავლის გასვლამდე, შესაბამისად, 3 წელი დარჩენია. ლიგა, არხის მიერ ხსენებული როქის განხორციელების შემთხვევაში, კონტრაქტის იმ ნაწილის გაუქმებით იმუქრება, რეგულარული სეზონის მატჩებს რომ შეეხება, თორემ საპლეიოფო შეხვედრები სურს, ძველებურად ESPN-ს მეშვეობით გადაიცემოდეს.

თუმცა, ტელეარხს არც რეგულარულ სეზონთან შელევა ეპიტნავება. როგორც არხის მახვშები ამბობენ, კონტრაქტის მიხედვით, მათ სრული უფლება აქვთ, ნებისმიერ მატჩი ESPN 2-ზე გადაიტანონ. ბეისბოლის ლიგის უფროსობა კი კონტრაქტის მავან მუხლებს თავის სასარგებლოდ კითხულობს და საბოლოო გამარჯვებაშიც უცილობლად დარწმუნებულია.

ასეა ეგ ამბავი თუ ისე, ამას ერთი ნიუ იორკელი გამოცდაჩაბარებული მოსამართლე გაარჩევს. არხის დამარცხების შემთხვევაში, „მეიჯორ ლიგის“ რეგულარულ სეზონს ან იქვე ჩასაფრებული FOX-ი დაეპატრონება, ანაც Turner Sports-ი.

ლევან კელაურაძე



REUTERS ანტ რეზერვორიდან

პიტსბურგელმა მარტინ სტრაკამ ამ სერიაში მეექვსედ გაუტანა ნიუჯერსელთა მეკარე მარტინ ბროდოს

განვედ, საჭანავ!

პინგვინებმა პლეი ოფს ეშმაკეული ჩემოაშორეს

სამშაბათის ორი მატჩის შემდეგ პლეი ოფის მეორე რაუნდში გაღწეული ბოლო ორი გუნდიც გამოვლინდა. სენტ ლუისმა, სერიაში 1:3 რომ აგებდა, ზედიზედ სამჯერ მოიგო და ფინიქსს თასისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება წაგლიჯა. სენსაცია აღმოსავლეთშიც მოხდა. კონფერენციის გამარჯვებულმა ნიუ ჯერსიმ მეშვიდე მატჩი ნააგო პიტსბურგთან და ზედიზედ მეორედ გამოეთიშა ასპარეზობას პირველივე რაუნდში.

STANLEY CUP PLAYOFFS

4 მაისი

აღმოსავლეთი

ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 3:4

ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 2:4

0:0 1:3 1:1

0:1 ტიტოვი 23'06 (1); 1:1 არნოტი 26'22 (2); 1:2 კოვალიოვი 37'04 (4); 1:3 ჰრდინა 39'43 (3); 2:3 ანდრეიჩუკი 47'24 (2); 2:4 სტრაკა 54'30 (6)

ნიუ ჯერსიმ მიზნის მისაღწევად ყველაფერი იღონა. „ეშმაკები“ ყველა კომპონენტში სჯობდნენ მეტოქეს, მეტჯერ დაარტყეს (შესაბამისად, 20-13), ძალისმიერ ბრძოლაშიც დაჩაგრეს, მაგრამ ვერ შეძლეს მთავარი — გოლების გატანა.

„მე ყოველთვის ვეუბნებოდი ბიჭებს, რომ თამაშის მოსაგებად მთავარი დარტყმების რაოდენობა კი არა, მათი ხარისხია“ — ასე ახსნა პიტსბურგის ბედნიერმა თავკაცმა კევინ კონსტანტინმა თავისიანების გამარჯვება. თუმცა მესამე პერიოდში, როცა სტუმართა კარს ნამდვილი შტურმი მიაწყდა, ისინი ერთი-ორჯერ განგებამ იხსნა და კონსტანტინის თეორია იქნებ არც გამართლებულიყო. თუმცა პიტსბურგმა გაუძლო ზეწოლას და ყველას დაუმტკიცა, რომ ის მარტო იარომირ იაგრის გუნდი არ არის. მართალია, მეექვსე მატჩში სუპერჩეხმა ორი გადამწყვეტი შაიბა შეაგდო და ამჯერადაც 2 ქულა (ოღონდ პასების ხარჯზე) მიითვალა, მაგრამ „პინგვინთა“ წარმატების სულისჩამდგმელი იგი კი არა, მარტინ სტრაკა და ალექსი კოვალიოვი იყვნენ.

დასავლეთი

ფინიქსი — სენტ ლუისი 3:4

ფინიქსი — სენტ ლუისი 0:1

0:0 0:0 0:0 0:1

0:1 ტარჯონი 77'59 (2)

პიერ ტარჯონს უამრავი დასამახსოვრებელი შაიბა გაუტანია, მაგრამ ეს გოლი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ პიერმა სენტ ლუისი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა, მან ამასთან სკეპტიკოსებს დაუმტკიცა, რომ პლეი ოფშიც ჩინებულად შეუძლია თამაში და არც ბრძოლის ჟინი აკლია. რიკარდ პერსონის შორეული დარტყმა ფინიქსელმა ნიკოლაი ხაბიბულინმა კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ტარჯონმა ტანმაღალ მეტოქეებს აჯობა (მასზე ამბობდნენ, კარის სიახლოვეს არასდროს იბრძვისო) და უაღრესად საინტერესო და დაძაბულ სერიას წერტილი დაუსვა. არადა, მიუხედავად იმისა, რომ წინა ორი მოგების შემდეგ სენტ ლუისს ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა, ბევრს ეგონა, მასპინძლები გაიმარჯვებდნენ. მით უმეტეს, რომ სერიაში 1:3 ჩამორჩენის შემდეგ ნჰლ-ის ისტორიაში მანამდე მხოლოდ 14 გუნდმა შეძლო მოგება. ერთი სიტყვით, ფინიქსის (ყოფილი ვინიპეგის) უიღბლობა გაგრძელდა. გუნდმა 1987 წლის შემდეგ ზედიზედ მეცხრე საპლეიოფო სერია წააგო.

თასის მეორე რაუნდში ერთმანეთს შეხვდებიან:

აღმოსავლეთი

ტორონტო — პიტსბურგი

ბოსტონი — ბუფალო

დასავლეთი

დალასი — სენტ ლუისი

კოლორადო — დეტროიტი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

4 მაისი

B ჯგუფი

ლატვია — საფრანგეთი 8:5

2:3 2:2 4:0

1:0 ციპრუსი 2'29; 1:1 უელე 12'41; 2:1 ფოლტოკსი 15'25; 2:2 ბრიანი 16'00; 2:3 ბოზონი 18'28; 3:3 ბელიავსკისი 21'00; 4:3 ნიფვიისი 27'24; 4:4 პერესი 34'33; 4:5 ალარი 37'37; 5:5 სემონოვსი 44'07; 6:5 ბელიავსკისი 47'34; 7:5 ციპრუსი 55'39; 8:5 ციპრუსი 59'45

თამაშის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა. ფრანგები სამნახევარი წუთის განმავლობაში ორკაციან რიცხვრავლობაში იყვნენ, მაგრამ ლატვიელებმა გმირულად დაიცვეს თავი და სულ ცოტა ხანში, როცა შემადგენლობები გათანაბრდა, აიგარს ციპრუსმა (3+0) თავისი მეორე და გადამწყვეტი შაიბა შეაგდო.

შვედეთი — შვეიცარია 6:1

2:0 4:0 0:1

1:0 ნესლუნდი 0'30; 2:0 სუნდსტრიომი 3'41; 3:0 ალფრედსონი 24'44; 4:0 ნესლუნდი 26'27; 5:0 ნესლუნდი 36'26; 6:0 ლარსონი 39'59; 6:1 ფიშერი 56'04

წინა ჩემპიონატის პირველი და მეოთხე გუნდების თამაშში სერიოზულ ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. სკანდინავიელებმა ორი სწრაფი შაიბით თავიდანვე გააოგნეს მეტოქე, ხოლო მეორე პერიოდში ყველა გოლი ულამაზესი კომბინაციების შემდეგ გაიტანეს. მარკუს ნესლუნდმა 3 შაიბას 2 პასიც დაამატა და 6 (3+3) ქულით ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

შვედეთი	2	0	0	10:2	4
ლატვია	1	0	1	11:10	2
შვეიცარია	1	0	1	6:9	2
საფრანგეთი	0	0	2	6:12	0

D ჯგუფი

რუსეთი — უკრაინა 4:1

0:1 3:0 1:0

0:1 სინკოვი 12'22; 1:1 აფინოგენოვი 22'58; 2:1 იაშინი 24'24; 3:1 იაშინი 38'01; 4:1 მარკოვი 40'58

ჩემპიონატის დებიუტანტებს შეუძლიათ იამაყონ. ჯგუფის ორივე ფავორიტთან — ფინელებთან და რუსებთან შეხვედრებში, მათ ანგარიში გახსნეს და მეტოქეები საკმაოდ ანერვიულეს. ამჯერად უკრაინელები მხოლოდ ოტაველი სუპერვარსკვლავის, ალექსეი იაშინის მიერ 39-ე წუთზე უმცირესობაში შეგდებული შაიბის შემდეგ დანებდნენ. იაშინის გარდა რუსებში ნიჭიერი მცველი ანდრეი მარკოვი (1+2) გამოირჩა.

ფინეთი — ბელარუსი 4:1

2:0 2:0 0:1

1:0 კიპრუსოვი 6'52; 2:0 იოკინენი 17'25; 3:0 კარალაჰტი 23'03; 4:0 სელიანე 34'43; 4:1 ხმილი 47'03

ამ თამაშამდე ერთი დღით ადრე ჩამოსულმა კიდევ ერთმა ვარსკვლავმა უმალვე გაიბრწყინა. ანაჰაიმის ფინელ დიდოსტატ ტეემუ სელიანეს ერთი ვარჯიშიც ეყო საკუ კოვუსთან (2 პასი) შესათამაშებლად. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვების შემდეგ მან მაინც მიაღწია თავისას და „სუომის“ ნაკრებს მომდევნო ეტაპზე გასვლა დაუბევა.

ფინეთი	2	0	0	7:2	4
რუსეთი	1	1	0	6:3	3
ბელარუსი	0	1	1	3:6	1
უკრაინა	0	0	2	2:7	0

გრეცკის საიდუმლო

ვიდრე შენ ფიქრობ, ის უკვე აკეთებს

უეინ გრეცკი ძალიან სწრაფად, სულ ორიოდე კვირაში აირჩიეს ჰოკეის „დიდების დარბაზის“ წევრად. ამგვარი პატივი არასოდეს რგებია ვინმეს — დაირღვა წესდება და რეგლამენტი, „დარბაზში“ შეყვანის წესი. „დარბაზში“ უსწრაფესად არჩევა სიმბოლური აქტია, თორემ „დიდების დარბაზი“ ოლიმპოს მთა კი არ არის, რომ იქ ღმერთები ისხდნენ. ასე სწრაფი არჩევა კი გულისხმობს, რომ გრეცკისთანა მოთამაშე მართლაც არავინ ყოფილა.

რატომ?

სრულიად გამოცალკევებულად რომ შეხედო, გრეცკი არ იყო სანიმუშო და ეტალონური მოთამაშე გარკვეული კუთხით. ასეთად შეიძლება მოვიაზროთ დიადი ბოსტონელი მცველი ბობი ორი. გრეცკი ასევე არ იყო თავზეხელაღებული ლიდერი და გიუმაჟი ცენტრი — ისეთი, როგორიც ფილ ესპოზიტო გახლდათ. იგი ასევე ვერ დასრიალებდა იმგვარი სინატიფით, როგორც ეს მონრეალელ გი ლეფლერს შეეძლო. მისგან დაკრული შაიბაც არ მიფრინავდა ისე სწრაფად, როგორც ბობი ჰალისა.

მაგრამ გრეცკიმ ყოველი ამათგანის რეკორდი დაამხო და იქცა დიად ვინმედ.

ამბობენ, მან ინტელექტი მოიტანა თამაშშიო.

მისი მოძრაობა, დარტყმა და პასი იყო სრულიად ახლებური და მოულოდნელი. ერთხელ ენახა ბავშვობაში დაუვიწყარ გორდი ჰაუს და ეთქვა, ყველას გადაგვისწრებს, ცოტა აცადეთო. მამამისს ბავშვობიდანვე შეეშინა ერთი უცნაურობა, რაღაც საქმისთვის დაძახებას რომ დააპირებდა, უეინ უკვე იქ იყო. მოგვიანებით მცველები ამბობდნენ — „ა“ პუნქტიდან „ბ“ პუნქტამდე ჩვენ ვასწრებთ მოსვლას, „ბ“-დან „ც“-მდეც ჩვენა ვართ, „დ“-მდე მისულებს კი იქ გვხვდებაო. ეს უცნაურობა გამოდგა მთავარი საიდუმლო უეინ გრეცკის საჰოკეიო სიდიადისა (რაღა თქმა უნდა, სათამაშო თვისებების გათვალისწინებით).

ჟურნალისტები ამბობდნენ, ეს არის გენიალური ინტუიციაო, მეცნიერებმა კი იკვლიეს, იკვლიეს და თავად გრეცკისაც დაეკითხნენ, აგვიხსენი რამეები, შენი ფიქრები და განცდებიო. კარგად რომ შეისწავლეს გრეცკის ავანჩავანი, მეცნიერებმა აღიარეს, რომ ინტუიცია არაფერ შუაშია, რადგან გრეცკის აქვს აზროვნების გასაოცარი უნარი' და სრულიად გასაგიჟებელი მეხსიერება. თავად ნახეთ — მას ახსოვს ყოველი თავისი საგოლე პასის სრული სურათი, ყოველი გოლი, სრიალისა და ფინტის ყოველი ხერხი. როგორც მოჭადრაკე, იგი თავში გაიტარებს ხოლმე შედეგიან ვარიანტებს და ამოირჩევს საუკეთესოს. მაგრამ ჰოკეი უსწრაფესი გუნდური თამაშია და მოჭადრაკეთაგან განსხვავებით, გრეცკიც უსწრაფესად, წამში ამოარჩევს ხოლმე საუკეთესო ხერხს. ვიდრე შენ ფიქრობ,



უეინ გრეცკი უცხოპლანეტელია?

ის უკვე აკეთებს. აი, მთავარი საიდუმლო.

აი, ეს დაადგინეს მეცნიერებმა და ამგვარ რამესთან დიდების დარბაზი ფრიად მიწიერი რამ ჩანს.

ვინ არის ეს კაცი? უცხოპლანეტელი? აბა, რას გაიგებ. საზოგადოებას მხოლოდ ის შეუძლია, რომ პატივითა და დიდებით შეამკოს ამგვარი ადამიანები. მის ტვინში ჩახედვა კი ლამის შეუძლებელია.

ირაკლი გამყრელიძე

გერმანია

XXX ტური

ჰერტა 2:0 ვოლფსბურგი
1:0, 2:0 პრეეტცი (32, 74)

ნიურნბერგი 2:2 ლევერკუზენი
0:1 რამელო (2), 1:1 ჩირიჩი (24), 2:1 ვიგლი (74), 2:2 ემერსონი (85)

შალკე 1:1 დორტმუნდი
0:1 ნიპუისი (3), 1:1 მულდერი (32)

ბოხუმი 0:2 დუისბურგი
0:1 შაიტო (25), 0:2 ვოლერტი (55)

მიუნხენ 1860 2:0 ფრაიბურგი
1:0 ვანენბურგი (37), 2:0 ჰობში (84)

ინგლისი

ჩელსი 1:0 ლიდსი
1:0 პოიეტი (67)

ლესტერი 1:2 დერბი
0:1 სტურიჯი (18), 1:1 სინკლერი (28), 1:2 ბეკი (60)

ლივერპული 2:2 მანჩესტერი
0:1 იორკი (22), 0:2 ირვინი (57პ), 1:2 რედნაპი (70პ), 2:2 ინსი (87)

ტოტენჰემი 1:3 არსენალი
0:1 პეტი (15), 0:2 ანელკა (33), 1:2 ანდერტონი (42), 1:3 კანუ (85)

ამხანაგური მატჩი

ესპანეთი 3:1 ხორვატია
0:1 შუკერი (9), 1:1 ენგონგა (33), 2:1 იერო (48პ), 3:1 გარსია (84)

საფრანგეთი

XXXII ტური

ნანტი 2:1 რენი
0:1 ბარდონი (12), 1:1 შანელე (17), 2:1 ტურე (78)

მონაკო 2:1 სტრასბური
1:0 ჟიული (28), 1:1 ბერტენი (64), 2:1 ტრეზეგე (75)

ნანსი 2:0 ლორიანი
1:0 კასკარინო (16), 2:0 ბიანკალანი (90)

ოსერი 0:0 ლე ავრი

ლიონი 2:1 გასტია
0:1 ლორანი (4), 1:1 ჟობი (45), 2:1 კაზანოვა (56 ს.კ.)

სოშო 2:1 ტულუზი
1:0 ბუჟ (56), 2:0 ფრო (60), 2:1 ლოუერსი (70)

ბელგია

XXXII ტური

ლოკერენი 1:2 ოსტენდე
ჰარელბეკი 1:1 სტანდარდი
ანდერლეხტი 4:0 გენტი
ლომელი 0:3 გენკი
ეკერენი 2:0 შარლეროა
ბრიუგე 3:1 ბევერენი
ვესტერლო 1:1 მუსკრონი
ლიერსი 3:1 აალსტი

რუსეთი

სპარტაკი 3:1 სატურნი

შვეიცარია

თასის მეოთხედფინალი

დელემონტი 1:2 ლოზანა
ლუცერნი 1:2 გრასჰოპერი
რედ სტარი 2:1 ლუგანო
სიონი 1:2 სერვეტი

პორტუგალია

თასის ნახევარფინალი

ესპოსენდე 0:2 კამპომაიორენსე

იტალია

თასის ფინალი

მეორე მატჩი

ფიორენტინა 2:2 პარმა
0:1 კრესპო (43), 1:1 რეპკა (47), 2:1 კოისი (63), 2:2 ვანოლი (71)

თასს „პარმა" დაეუფლა
(პირველი მატჩი 1:1)

თურქეთი

თასის ფინალი

მეორე მატჩი

გალათასარაი 2:0 ბეშიქთაში
1:0, 2:0 დავალა (51, 67)

თასს „გალათასარაი" დაეუფლა
(პირველი მატჩი 0:0)

REUTERS სატელევიზიოდან

გალათასარაი — ბეშიქთაში 2:0. დიდმა სიხარულმა უცნაურობაც იცის: გამარჯვებულთა ბრაზილიელი მეკარე ტაფარელი ერთ თანაგუნდელს ჰიტლაყითაც „მიეფერა"

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

5 მაისი

A ჯგუფი

ჰამარი

კანადა — იტალია 5:2
4:0 1:1 0:1

კანადა: ქინტალი (04'11), სავაჟი (09'12), სტილმანი (18'09), ნიდერმაიერი (18'45), მაკეიბი (36'13)
იტალია: ბუსილო (32'53, 40'57)

ნორვეგია — სლოვაკეთი 2:8
1:3 1:2 0:3

ნორვეგია: შკროდერი (17'05), ანდერსონი (27'34)
სლოვაკეთი: ჰოსა (01'07, 34'44, 45'49), პალფი (02'39, 30'31, 40'22), კოლნიკი (07'05), დანო (50'43)

C ჯგუფი

ოსლო

ჩეხეთი — აშშ 4:3
2:1 1:2 1:0

ჩეხეთი: ვლასაკი (02'47), კალოუნი (17'41), უიჩიკი (24'15), პატერა (51'06)
აშშ: ემა (18'26), ბისეტი (25'12), კეჩმერი (33'07)

ავსტრია — იაპონია 4:2
3:1 0:0 1:1

აუსტრია: პუშნიკი (00'36, 08'05, 59'23), კონიგი (15'14)
იაპონია: ნაკაიამა (11'21), სუძუკი (53'07)

REUTERS ოსლოდან

ავსტრია — იაპონია. ავსტრიელმა რისმანმა იაპონელთა მეკარე იმოს აჯობა და მესამე შაიბა გაუტანა

მგელს მგლობა დააშლევინეს



REUTERS ტოკიოდან

საბჭოს (ვბკ) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს, ტაილანდელ ვანდეე სანგვანგხას (მარჯვნივ) ტიტულის დაცვა არ გასჭირვებიაო, ასე ჰყვებიან... ის კი არა და, შიგ შუაგულ ტოკიოში იაპონელი „მგელიკა" (ეგრე უხმობენ) ტოკიმიცუსთვის იმდენი და ისეთი მოუდვია, მსაჯს ბრძოლა დროზე ადრე, ტექნიკური უპირატესობით დაასრულებინაო. ჰოდა მერე აუღია და მოგებულ-შენარჩუნებული თურმე ისეთი რიხით უქნევია, ვინძლო, ბარე ბევრი მოცილესათვის დაეფრთხო მასთან სამომავლოდ რინგზე ასვლის მუღამიო... აი, ასე ჰყვებიან და რავი, აბა...

იქ, ზემოთ ხალხი დაცურავს

ეს ბაყაყურად მცურავი კაცი სხეულსა და მასთან დაკავშირებულ რამე-რუმეებს ვანკუვერის ერთ მინის აუზში იკაჟებს... აუზი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და იმგვარი აგებულებისაა, მის ქვეშ ფეხით მოსიარულეებსაც გაესვლებათ და ავტომოტოველოებსაც. გაესვლებათ და აგერ ერთმა მათგანმაც ეს შთამბეჭდავი ფოტო გადაიღო.



REUTERS ვანკუვერიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29